

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

მხარეთა უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენება
სამოქალაქო პროცესში

კობა საყვარელიძე

წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თბილისი, 0178

საქართველო

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით კობა საყვარელიძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „მხარეთა უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენება სამოქალაქო პროცესში“ და ვამღებთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი /...../...../...../

ხელმოწერები:

რეზიუმე

სამოქალაქო პროცესში მხარეები უფლება-მოვალეობებს ხშირად იყენებენ ბოროტად, საპროცესო ნორმების დანიშნულების საწინააღმდეგოდ. საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენებას ადგილი აქვს, როდესაც მხარეთა მოქმედება ფორმალურად შეესაბამება საპროცესო კანონის მოთხოვნებს, მაგრამ სცილდება ამ ნორმის მოქმედების ფარგლებს.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის დროული და სამართლიანი განხილვა უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. ამ უზრუნველყოფის გარანტიად საქართველოში გვევლინება სასამართლო. საზოგადოებაში სასამართლოს როლის ასამაღლებლად აუცილებელია, რომ იგი დროულად და სამართლიანად განიხილავდეს საქმეებს. თუმცა კი, ეს მიზანი მარტოდენ სასამართლოს ძალისხმევით არ მიიღწევა, არამედ საჭიროა მხარეთა მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად გამოყენება. ნებისმიერ შემთხვევაში, მხარე, როდესაც იყენებს საკუთარ უფლება-მოვალეობებს ბოროტად, იგი უპირიპირდება მართლმსაჯულების მიზნებსა და ამოცანებს.

სადისერტაციო კვლევის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო პროცესში მხარეთა მიერ უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების შემთხვევებისა და ფორმების ანალიზი. შესაბამისად რეკომენდაციების შემუშავება საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, რაც შეამცირებს საპროცესო უფლება-მოვალეობათა ბოროტად გამოყენებას სამოქალაქო პროცესში. ამ საკითხის შესწავლის გზაზე, განხილულია მხარის ცნების მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი ასპექტები. უფლება-მოვალეობები, რომელიც სამოქალაქო პროცესში დამახასიათებელია მხოლოდ მხარეებისთვის. მოცემულია მათი განმარტება და შინაარსი. ხაზგასმულია მხარეთა მიერ უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად გამოყენების აუცილებლობის მნიშვნელობა მართლმსაჯულების მიზნების შესრულებისთვის. დღეს არსებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარეთა არაკეთილსინდისიერი მოქმედებების წინააღმდეგ იყენებს ე.წ. დამცავ ნორმებს, რაც ნაკლებად ეფექტიანია. უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენებისათვის, მხარეს შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო საპროცესო პასუხისმგებლობა ამგვარი მოქმედებების თავიდან ასაცილებლად.

მოცემულ კვლევასთან დაკავშირებით ნაშრომში გამოყენებულია, როგორც ქართული, ისე უცხოური კანონმდებლობა და პრაქტიკა. ნაშრომი შედგება რეზიუმეს, შესავალის, ლტერატურის მიმოხილვის, აბრევიატურის ნუსხის, სამი თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან. თავები დაყოფილია ქვეთავებად. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

I თავში განხილულია საქმის მონაწილე პირების შინაარსი. ის აუცილებელი ნიშან-თვისება, რაც დამახასიათებელია მხარეთა

არსებობისათვის სამოქალაქო პროცესში. ხშირად სამოქალაქო პროცესში ადგილი აქვს ტერმინების აღრევას. „საქმის მონაწილე პირები“ არ არის ტოლფასი- „პირები მონაწილე სამოქალაქო პროცესში.“ საქმის მონაწილე პირებიდან მოხდა მხარეთა გამოყოფა და მისი სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლა. პირი მიმართავს სასამართლოს დარღვეული უფლების აღსადგენად, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირი იქცეს პროცესში მოსარჩელედ. იმისათვის, რომ აღიძრას საქმე ვინმეს წინააღმდეგ, საჭიროა პირმა დააკმაყოფილოს ყველა ის მოთხოვნა, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-187-ე მუხლებით. სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ წარმოიშვებიან მხარეები პროცესუალური გაგებით. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში არიან სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის სავარაუდო სუბიექტები და დაირღვა თუ არა მათი უფლება სინამდვილეში, უნდა დადგინდეს საქმის განხილვის დროს. მაშასადამე მხარეთა პროცესში მონაწილეობის აუცილებელი ნიშანია მატერიალური სამართალურთიერთობა, ამიტომ მატერიალური და საპროცესო თვისება არის მხარის პროცესში არსებობის აუცილებელი, სავალდებულო ელემენტი. მხარეებზე ვრცელდება მატერიალურ-სამართლებრივი ძალა სასამართლო გადაწყვეტილების და ეკისრებათ სასამართლო ხარჯები.

ამ თავში გაერთიანდა მესამე პირები, როგორც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ისე ამ მოთხოვნის გარეშე, რომლებიც აღჭურვილი არიან თითქმის იგივე უფლებებით და შესაბამისი მოვალეობებით, როგორც მხარეები. გამომდინარე აქედან, ყურადღება გამახვილდა მათი მხრიდან საკუთარი უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად და დროულად განხორციელებაზე. სსსკ-ის 88-ე მუხლით მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, შეიძლება ჩაებას საქმეში მთავარ სხდომაზე მხარეთა მიერ პაექრობის დაწყებამდე, რაც ყოველთვის გამოიწვევს სხდომის გადადებას და პროცესის გაჭიანურებას. ეს, რომ არ მოხდეს უმჯობესია მესამე პირის პროცესში ჩაბმა საქმის მომზადების სტადიაზე მოხდეს. სხვა შემთხვევაში პირს შეუძლია აღძრას სარჩელი თავდაპირველი მხარეების, ან ერთ-ერთი მხარის მიმართ საერთო წესების საფუძველზე.

სსსკ-ის 364-ე და 391 მუხლებით, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე არ ითვლება სააპელაციო და საკასაციო საჩივრის სუბიექტად. მიუხედავად ამისა, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, მას აქვს გასაჩივრების უფლება, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება უშუალოდ მის უფლებებს ეხება. აქედან გამომდინარე ნაშრომში შემოთავაზებულია საკანონმდებლო ცვლილება მათ მიერ უფლებების სწორად განხორციელების მიზნით.

II თავი მიძღვნილი აქვს მხარეთა თანასწორობას და მხარეთა უფლება-მოვალეობებს სამოქალაქო პროცესში. სამართლებრივად მხარეები არიან თანასწორუფლებიანი და აქვთ შესაძლებლობა სასამართლოს წესით თანაბრად დაიცვან თავიანთი უფლებები და მოვალეობები, მაგრამ მათ თანასწორობას

პროცესში აქვს სპეციფიური ხასიათი. მოსარჩელის და მოპასუხის უფლება-მოვალეობები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმ მიზნის მიხედვით, რასაც ახორციელებს მხარე კონკრეტული მიზნის მისაღწევად. მხარეთა საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების პრობლემის კვლევის ჩასატარებლად, საჭიროა თავად ამ უფლება-მოვალეობების შესწავლა, ვინაიდან აღნიშნული პრობლემის კვლევა განუყოფლად არის დაკავშირებული მხარეთა უფლება-მოვალეობების შინაარსის ანალიზთან. მოცემულ თავში გაკეთებულია განსაზღვრება მხარის საპროცესო უფლების შესახებ, მხარის საპროცესო მოვალეობის შესახებ და ასევე მოცემულია მხარეთა უფლება-მოვალეობების სახეები სამოქალაქო პროცესში.

III თავში ჩატარებულია ძირითადი კვლევები. ეს თავი ეხება მხარეთა საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას და მხარის პასუხისმგებლობას სამოქალაქო პროცესში. სამოქალაქო სამართალწარმოებაში კეთილსინდისიერების პრინციპი არის ძირითადი, რითაც უნდა ხელმძღვანელობდეს პროცესის მონაწილე. მხარის მიერ ამ პრინციპის დარღვევა ხდება სამართალწარმოების შეფერხების და სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მიზნით. პირმა სასამართლოში შეიძლება შეიტანოს დაუსაბუთებელი სარჩელი, მაგრამ მიუხედავად დიდი მსგავსებისა, დაუსაბუთებელი და არაკეთილსინდისიერი პოზიცია არის სხვადასხვა. საჭიროა სასამართლოს მიერ მოიძებნოს კრიტერიუმები, რომლებიც ერთმანეთისგან განასხვავებენ ამ ორ მოვლენას.

სამოქალაქო სამართალწარმოების მიზანია საქმის დროული და სამართლიანი განხილვა, ყოველი მცდელობა ამ მიზნის წინააღმდეგ უნდა აღიკვეთოს სასამართლოს მხრიდან და მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება. ნაშრომში განხილულია მხარეთა მხრიდან უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების სხვადასხვა მაგალითები და სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართულებით. მოყვანილი მსჯელობებიდან გამომდინარე გადმოცემულია საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების განსაზღვრება.

მართლმსაჯულების და პროცესის მონაწილის ინტერესების დაცვა წარმოუდგენელია საპროცესო პასუხისმგებლობის ზომების გარეშე. პასუხისმგებლობის ნორმების დამკვიდრება სამოქალაქო პროცესში გამოიწვევს არახელსაყრელ შედეგებს მხარისათვის, ვინც ბოროტად იყენებს საპროცესო უფლებებს. მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების მიზნით სასამართლოს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება მიიღოს მკაცრი ზომები და ზოგიერთ შემთხვევაში დააკისროს ფულადი სანქციები მხარეს, რომელიც ბოროტად იყენებს ამ უფლებებს. ამ საკითხში არსებული საკანონმდებლო რეგულაციები არასაკმარისი და არასრულია.

სასამართლო პრაქტიკის და მეცნიერ-იურისტების შრომების საფუძველზე, შემუშავებულია რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო ნორმების სრულყოფისათვის ამ მიმართულებით.

Resume

In civil proceedings, the parties often abuse their rights and duties in violation of the rules of procedure. Abuse of procedural rights and duties occurs when the action formally complies with the requirements of the procedural law, but goes beyond the scope of this norm.

In order to successfully carry out the aims and objectives of justice, the parties have to perform in good faith the rights and duties assigned to them by law. Otherwise, any action of the parties in civil proceedings against the interests of a timely and fair trial must be duly assessed and prevented by the court.

The purpose of the dissertation research is the abuse of rights and responsibilities by the parties in the civil process. Case hearings in court are becoming more and more frequent. The advancement of democratic processes has led to the expansion of the rights of the parties. The parties were given more opportunity to defend their rights. Although this tendency is accepted, there is a delay in the trials for a long time, which is unacceptable for the interests of justice. In order to resolve this issue positively, it is necessary to develop a unified approach, which includes the following: to establish at the legislative level that the parties are obliged to be honest and to respect each other's rights. At the same time, the abuse of rights and responsibilities of the parties can be discussed only if it is defined what the abuse of rights and responsibilities by the parties means. Also, based on the existing case law and the opinions of various scholars-lawyers, conclusions can be drawn as to how harmful it is for the purposes of justice and how we should fight this problem. Directly related to the dissertation research is the development of procedural norms that will prevent this phenomenon.

The parties in the civil process are the plaintiff and the defendant. Civil procedural law has given them rights and responsibilities to enable them to be parties to civil proceedings, to protect their violated rights and interests under the law. On the way to the study of this issue, the material and procedural legal aspects of the notion of a party are discussed. Rights and obligations, which are typical only for the parties in the civil process. Their definition and content are given. The importance of the need for the parties to exercise their rights and duties in good faith in order to achieve the goals and objectives of justice is emphasized. The current Code of Civil Procedure uses the so-called Code of Criminal Procedure against the unscrupulous actions of the parties. Protective norms, which prevent such actions, are less effective. A party may be held criminally liable for abuse of rights and duties.

Both Georgian and foreign legislation and practice are used in the paper in connection with this research.

The paper consists of three chapters, an introduction and a conclusion. Chapter I discusses the content of the persons involved in the case. It is a necessary feature of the existence of the parties in the civil process. Definition of parties is made. This chapter includes third parties, both with and without an independent claim, who enjoy almost the same rights and responsibilities as the parties. Therefore, the focus was on their rights and responsibilities, in order to exercise them in good faith and in a timely manner. Involvement of third parties with an independent claim is best done at a preparatory hearing to avoid delays in the process. There should be a provision in the law that third parties should be allowed to appeal without a claim for an independent claim if the court decision concerned their legitimate interests.

Chapter II deals with the equality of the parties and the rights and obligations of the parties in the civil process. Legally, the parties are equal and have the opportunity to equally defend their rights and duties in court, but their equality has a specific character in the process. The rights and responsibilities of the plaintiff and the defendant differ according to the purpose pursued by the party to achieve a specific purpose. In order to investigate the abuse of procedural rights and responsibilities of the parties, it is necessary to study these rights and responsibilities themselves, as these events are interrelated. This chapter defines the procedural rights of a party, the procedural duties of a party, and the types of rights and responsibilities of the parties in civil proceedings.

Chapter III deals with the inadmissibility of the abuse of the procedural rights and duties of the parties and the procedural responsibility of the party in the civil process. The principle of good faith in civil proceedings is fundamental, thus guiding the participant in the process. Violation of this principle by a party is done for the purpose of delaying the proceedings and misleading the court. The court, in this case, should have the power to apply procedural liability measures in the form of fines. The paper cites examples from court practice and discusses various examples of abuse of rights and responsibilities by the parties.

სარჩევი

შემოკლებანი.....	9
შესავალი	10
ლიტერატურის მიმოხილვა.....	14
თავი1.საქმის მონაწილე პირები სამოქალაქო საპროცესო სამართალში.....	19
1.1.საქმის მონაწილე პირების სამართლებრივი კატეგორიის შინაარსი.....	19
1.2.მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის გავლენა მხარის სტატუსზე.....	21
1.3. მხარის ცნების საპროცესო-სამართლებრივი ასპექტები.....	30
1.4 მესამე პირის ცნება სამოქალაქო პროცესში.....	33
1.5.მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.....	36
1.6. მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.....	39
თავი2.მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობები.....	46
2.1.მხარეთა თანასწორობა სამოქალაქო პროცესში.....	46
2.2. მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლებები.....	49
2.3.მხარეთა სამოქალაქო საპროცესო მოვალეობები.....	54
2.4.მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობების სახეები.....	65
2.4.1.მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლებების სახეები.....	65
2.4.2. მხარეთა სამოქალაქო საპროცესო მოვალეობების სახეები.....	70
თავი 3. მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა და მხარის პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგულირება.....	74
3.1.კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის მოთხოვნა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობების განხორციელებისას.....	74
3.2.მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების ცნება და ნიშნები.....	82
3.3. მხარეთა მიერ უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების სახეები სამოქალაქო პროცესში.....	98
3.4.მხარეთა სამოქალაქო საპროცესო პასუხისმგებლობა.....	110
დასკვნა.....	129

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება რეზიუმეს, შესავალის, ლიტერატურის მიმოხილვის, აბრევიატურის ნუსხის, სამი თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან. თავები დაყოფილია ქვეთავებად. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

შემოკლებანი

სსსკ- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

სსკ-საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სუსგ-საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი.
(კრებული).

ე. წ. ეგრეთ წოდებული.

ე. ი. ესე იგი.

ა. შ. ასე შემდეგ

სხვ. სხვა.

მაგ: მაგალითად.

იხ. იხილეთ.

წ. წელი.

გაერო. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

გკს-გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

Изд. გამომცემლობა.

M-მოსკოვი.

შესავალი

სამოქალაქო პროცესში მონაწილე მხარეებს აქვთ საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების ფართო წრე. მხარეთა ყველა საპროცესო უფლება და მოვალეობა ერთიანდება სამოქალაქო საპროცესო ინსტიტუტებში და მოწოდებულია სამართალწარმოების ამოცანების შესასრულებლად.

სადისერტაციო კვლევის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ მხარეები სამოქალაქო პროცესში ხშირად საკუთარ უფლება-მოვალეობებს იყენებენ არადანიშნულებისამებრ, კონკრეტული იურიდიული შედეგის მიღწევის გარეშე. აღნიშნული საკითხი უპირობოდ ეხმიანება მართლმსაჯულების თანამედროვე პრობლემებს. მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულება, წარმოადგენს ძირითად მექანიზმს, რომელზედაც ეფუძნება დროული და სამართლიანი მართლმსაჯულება. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მიხედვით ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის დროული და სამართლიანი განხილვა უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. ამ უზრუნველყოფის გარანტიად საქართველოში გვევლინება სასამართლო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. აღნიშნული უფლებები განმტკიცებულია ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში, რომლის მიხედვით ყოველ ადამიანს უფლება აქვს საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს საქმის დროული და სამართლიანი განხილვის მიზნით.

მაშასადამე, საზოგადოებაში სასამართლოს როლის ასამაღლებლად აუცილებელია, რომ იგი დროულად და სამართლიანად განიხილავდეს საქმეებს. თუმცა, ეს მიზანი მარტოდენ სასამართლოს ძალისხმევით არ მიიღწევა, არამედ საჭიროა მხარეთა მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად გამოყენება. მხარეებს სამოქალაქო პროცესში ურთიერთ დაპირისპირებული ინტერესი აქვთ. თითოეულ მხარეს მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მხოლოდ მისი მოთხოვნებია სამართლიანი და შესასრულებლად აუცილებელი. დღეს საქართველოში მართლმსაჯულება შეზღუდულია იმოქმედოს თავისუფლად, ამ მანკიერი მოვლენის წინააღმდეგ გამოიყენოს საპროცესო ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიებები და დაუპირისპირდეს მხარეთა მიერ საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენებას. სასამართლოები მოქმედებენ ძალიან ფრთხილად გაუბედავად. ეს აიხსნება იმით, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში არ არსებობს ერთიანი კონცეფცია იმასთან დაკავშირებით, რას ნიშნავს საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენება და როგორ უნდა დაუპირისპირდეს სასამართლო ამ მოვლენას. ეს კი ხშირ შემთხვევაში ხელს უხსნის მხარეს

იმოქმედოს თავისუფლად იმისათვის, რომ მართლსაწინააღმდეგო გზით არ დაუშვას მის წინააღმდეგ სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანა და მიმართოს სხვადასხვა ხერხებს სამოქალაქო პროცესის გაჭიანურების მიზნით.

მხარის მიერ უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ზიანი ადგება, როგორც მართლმსაჯულების ინტერესებს, ისე მხარეს, რომელიც საჭიროებს მისი უფლებების დაცვას სასამართლოს გზით, რასაც დაუყოვნებლივ უნდა მოჰყვეს რეაგირება სასამართლოს მხრიდან. სხვაგვარად შეუძლებელია სამართალწარმოების ამოცანების გადაწყვეტა და მისი ავტორიტეტულობის როლის გაზრდა საზოგადოებაში

კვლევის მიზანს წარმოადგენს: მხარის საპროცესო უფლება-მოვალეობების დადგენა და მის მიერ ამ უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების შემთხვევის გამოვლინება სამოქალაქო საქმეთა წარმოების დროს. მოცემული საკითხის შესწავლა, ანალიზი და იმ გზების ძებნა, რომელიც ეფექტურად დაუპირისპირდება ამ მოვლენას. შესაბამისად წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი კვლევითი ამოცანების გადაწყვეტა:

-განისაზღვროს მხარის ცნება სამოქალაქო საპროცესო სამართალში.
-დადგინდეს, რა საპროცესო უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ საქმეში მესამე პირები და შეიძლება თუ არა მათი უფლებების გაფართოება საკუთარი ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით.

-გაირკვეს მოსარჩელისა და მოპასუხის სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობები.

-გამოვლინდეს მხარეთა მიერ სამოქალაქო პროცესში უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების დროს, ამ უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების ნიშნები.

-ჩამოყალიბდეს, რას ნიშნავს სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობების არაკეთილსინდისიერად გამოყენება და რა მექანიზმები არსებობს საპროცესო კოდექსში საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის, მეცნიერთა მოსაზრებებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მოინახოს მიდგომა აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად.

კვლევის საგანი და ობიექტი არის სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობები, რომლებსაც ადგილი აქვს მხარეთა მიერ საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების დროს სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

-მხარეთა უფლება-მოვალეობების ძირითადი თეორიული ასპექტები.
-ნორმები, რომლებიც მიმართულია საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ სამოქალაქო პროცესში.

-სასამართლო პრაქტიკა სამართლებრივ ნორმებთან დაკავშირებით, რომელიც აწესრიგებს საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერად გამოყენებას სამოქალაქო პროცესში.

კვლევის მეთოდოლოგია: ნაშრომი ეფუძნება კვლევის დიალექტიკურ მეთოდს სამართლებრივი სინამდვილის შემეცნების, რომელიც მიმართულია მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობის ობიექტური და ყოველმხრივი კვლევებისაკენ. დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ზოგადმეცნიერული მეთოდების გამოყენების გარეშე, როგორც ანალიზი და სინთეზი. აზროვნების ლოგიკური კანონების გამოყენებით, ისტორიული, დედუქციური, ჰიპოთეზის წამოყენების, დამუშავებისა და შემოწმების მეთოდებით შემუშავებულია საკუთარი ხედვები და რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო ნორმებისათვის.

კვლევის ნორმატიულ საფუძველს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სხვა ნორმატიული აქტები.

თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა კვლევის მდგომარეობს მასში, რომ მიღებული თეორიული დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები, შესაძლოა გამოყენებული იყოს შემდგომი მეცნიერული კვლევებისათვის მხარეთა უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების კუთხით.

მეცნიერული კვლევის სიახლე უპირველეს ყოვლისა განპირობებულია, მისი მიზნებითა და ამოცანებით. აღნიშნული თემის შესწავლის დროს ჩატარდა მხარეთა საპროცესო უფლება-მოვალეობების საფუძვლიანი შესწავლა და ჩამოყალიბდა საკუთარი ხედვა ამ უფლება-მოვალეობათა ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად სამოქალაქო პროცესში.

მხარეთა მიერ საპროცესო უფლება-მოვალეობების განხორციელების სრულყოფისათვის და მათი ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, წარმოდგენილია რეკომენდაციები, სამოქალაქო საპროცესო ნორმების დამატებებისა და ცვლილებების შესატანად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში.

მოცემული კვლევის სიახლე, თავის უშუალო გამოხატულებას პოულობს შემდეგი საკითხების გადაჭრაში:

1. მხარეთა საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების სამართლებრივი ბუნების შესწავლის დროს გასათვალისწინებელია, რომ მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში არიან სავარაუდო სუბიექტები სადავო მატერიალურ-სამართლებრივი სამართალურთიერთობის. ისინი გამოდიან სასარჩელო საქმეთა წარმოების დროს და აქვთ საპროცესო კანონით მოცემული უფლება-მოვალეობები.

2. სამოქალაქო პროცესში დაპირისპირებულ მხარეთა გარდა მონაწილეობენ მესამე პირები, როგორც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ისე ამ მოთხოვნის გარეშე. მათი ინტერესები არის განსხვავებული მხარეთა ინტერესებისაგან და ამიტომ მათი განხილვა, როგორც თანამონაწილეებისა დაუშვებელია. მხარეთა საპროცესო უფლებებთან ერთად მათი საპროცესო უფლებების გაანალიზებას აქვს პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა, სამოქალაქო საქმის სწორად, დროულად წარმართვისათვის და საპროცესო უფლებების გაფართოების მიზნით.
3. პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობები არ არის ერთგვაროვანი. მათ უფლება-მოვალეობებს აქვს თავიანთი სპეციფიკური ნიშნები და იყოფა იმის მიხედვით, ვის მიეკუთვნება ისინი, მოსარჩელეს თუ მოპასუხეს. უფლება-მოვალეობები განაწილებულია მიზნის მიხედვით და მათი ამგვარი თანასწორობა შესაძლებლობას იძლევა მხარეებს ჰქონდეთ თანაბარი საპროცესო მდგომარეობა სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს სასამართლოში.
4. მხარეთა საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების შესწავლა უმჯობესია მოხდეს მათი განხორციელების პროცესში ანუ სასამართლოში. შეუძლებელია ამ პრობლემის განხილვა და სათანადო დასკვნების გამოტანა იმ სამართლებრივი ნორმებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც აწესრიგებს მხარეთა საპროცესო ურთიერთობებს, როგორც მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, ისე საქართველოს კონსტიტუციის და საერთაშორისო ნორმების მეშვეობით.
5. საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებაში უნდა გავიგოთ განსაკუთრებული ფორმა სამოქალაქო საპროცესო სამართალდარღვევის, რომელიც შეძლებისდაგვარად დროულად უნდა აღიკვეთოს სასამართლოს მიერ. საპროცესო უფლება-მოვალეობები უნდა განიხილებოდეს კეთილსინდისიერების ფარგლებში, როდესაც პროცესის სუბიექტის ინტელექტუალური მხარე, შეესატყვისება მისგან შესრულებულ საპროცესო მოქმედებებს და საერთო ჯამში მიმართულია კონკრეტული იურიდიული შედეგის დადგომისაკენ.

ლიტერატურის მიმოხილვა

მართლმსაჯულების მიზნები წარმატებით შესრულებდა, როდესაც მხარე კეთილსინდისიერად შეასრულებს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებებს და დაკისრებულ მოვალეობებს. სხვა სიტყვებით, დაცული იქნება საპროცესო ნორმების მოთხოვნები. ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ხელყოფს სამართალწარმოების დროული და სამართლიანი საქმის განხილვის ინტერესებს, გამოვლენილი და აღკვეთილი უნდა იყოს სასამართლოს მიერ.

მოსარჩელე და მოპასუხე სამოქალაქო პროცესში, მხარეები და მესამე პირები, საპროცესო უფლება-მოვალეობები და მათი განხორციელება სამოქალაქო პროცესში, არაერთხელ გამხდარა ქართველი და უცხოელი მეცნიერ-იურისტების განხილვის საგანი. მოცემულ კვლევაში ქართული იურიდიული ლიტერატურიდან გამოყენებულია: ლილუაშვილი, თ. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო თ. ლილუაშვილი და ვ. ხრუსტალი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. ქურდაძე, შ. სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. ძლიერიშვილი, ზ. უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის ძირითადი პრობლემები, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ლილუაშვილი, თ. და სხვ.

წინამდებარე თემასთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში რაიმე მონოგრაფიული ნაშრომი, სტატია და სადისერტაციო კვლევა, რომელიც უშუალოდ უპასუხებდა თემის სათაურს, არ დაწერილა, თუ არ ჩავთვლით წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ავტორის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებს, რომლებიც დაიბეჭდა სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში. მათგან შეიძლება გამოვყოთ „მხარეთა პასუხისმგებლობა უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენებისას სამოქალაქო პროცესში.(სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა,“ #12(14)2020). აღნიშნული სტატია წარმოადგენს მოცემული კვლევის მოკრძალებულ ნაწილს, სადაც მეცნიერ-იურისტების მოსაზრებების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რას ნიშნავს მხარეთა მიერ უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენება სამოქალაქო პროცესში. ასევე, ხაზგასმულია იმ საპროცესო ნორმების შემუშავების აუცილებლობაზე, რაც დაგვეხმარება ამ საკითხის მოგვარებაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარეებს საპროცესო ნორმების მეშვეობით ანიჭებს მთელ რიგ უფლებებს და აკისრებს შესაბამის

მოვალეობებს. მხარეები ერთმანეთს სასამართლო პროცესზე უპირისპირდებიან ამ უფლება-მოვალეობების გამოყენებით. ზოგჯერ მათი დაპირისპირდება სცილდება საპროცესო ნორმის ფარგლებს და იწვევს საქმის წარმოების გაჭიანურებას. სასამართლო ამ პრობლემის გადაწყვეტას უნდა ეკიდებოდეს დიდი სიფრთხილით ვინაიდან ხშირად არ არის ადვილი დასადგენი მხარე მოქმედებს კეთილსინდისიერად, თუ ბოროტად იყენებს უფლება-მოვალეობებს. ასეთ გამოვლინებებს შეიძლება ადვილი ჰქონდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, პირის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს კანცელარიისათვის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი სარჩელით მიმართვიდან, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ამგვარი მოქმედება გრძელდება შემდგომაც, როდესაც წაგებული მხარე ასაჩივრებს გადაწყვეტილებას მხოლოდ ერთი მიზეზით, რომ გარკვეული დროით თავიდან აიცილოს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებამ შეიძლება ვერ მოახდინოს გავლენა საქმის მსვლელობაზე. ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლო ამგვარ მოქმედებებს მშვიდად ხვდებოდეს და არ აძლევდეს მას შესაბამის სამართლებრივ შეფასებას.

ზემოთნახსენები პრობლემის განხილვა იურიდიულ ლიტერატურაში დიდი ხანია მიმდინარეობს. თემაში მოყვანილია მაგალითები, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისის მკვლევარებიდან. ხშირად მეცნიერებს საპროცესო უფლებები მიაჩნდათ მხარეთა მიერ შეუზღუდავად განხორციელების საშუალებად.

მაგ: გერმანელი მეცნიერი უთითებდა, რომ სამოქალაქო პროცესში მხარეები არიან თავისუფალი და საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენების ცნების შემოღება უარყოფითად იმოქმედებს მხარეთა თავისუფლებაზე. (Goldschmidt. Prozess als Pechtslage. Berlin, 1925.)

არსებობდა განსხვავებული მოსაზრებებიც, მაგ: ვასკოვსკი წერდა: როდესაც მხარეები საპროცესო მოქმედებებს სჩადიან პროცესის გაჭიანურების ან სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მიზნით, მათთვის მინიჭებული საპროცესო უფლება კარგავს თავის შინაარსს და გადის ფარგლებიდან. მაშასადამე საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებაში უნდა მოვიაზროთ, მხარეების მიერ დროული და სამართლიანი სასამართლოს წინააღმდეგ მოქმედება. (Васьковский, Е. В. Курс Гражданского Процесса Т. I, М; 1913.).

მეორე რუსი მკვლევარი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავდა შემდეგს: სამოქალაქო პროცესში არ უნდა დავუშვად უპატიოსნო ხერხები. რომელიც ზიანს მიაყენებს სასამართლოს ღირსებას და უარყოფითად

იმოქმედებს მეორე მხარის ინტერესებზე. (Гедда А. Н. Недабрасовестность Сторон в Гражданском Процессе, Журнал Министерство Юстиции, 1910, № 1).

საინტერესოა ამ მხრივ გერმანიის უმაღლესი სასამართლოს განმარტება: უფლების ბოროტად გამოყენებას ყოველთვის აქვს ადგილი, როდესაც პროცესის მონაწილის უფლება ხორციელდება ამ უფლების მიზნების საპირისპიროდ, რაც წინააღმდეგობაში მოდის მონაწილის ვალდებულებასთან იყოს კეთილსინდისიერი და გაითვალისწინოს სხვა პირთა ინტერესები. BGHZ 107. Bokelmann G. Rechtsmissbrauch des Anfechtungsrechts durch den Aktionar. BB. 1972.

გერმანიის მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მაქსიმალურად ითვალისწინებს მხარეთა მიერ არაკეთილსინდისიერი მოქმედების თავიდან აცილებას. ამას მოწმობს სხვადასხვა ნორმები, მათ შორის ამ კანონის 91-93 მუხლების მიხედვით მხარეს საკუთარი უფლებების არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება დაეკისროს არა მარტო სახელმწიფო ბაჟის, როგორც ეს ხდება საქმის წაგების შემთხვევაში, ასევე, სხვადასხვა საპროცესო ხარჯის გადახდა, რაც დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. (ZPO, Zivilprozessordnung, 62. Auflage, Beck-texte im dtv. 2020.).

პროცესის გაჭიანურების და უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენებისათვის საპროცესო პასუხისმგებლობის ზომებს ადგენს საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სხვადასხვა მუხლები. ამ კანონის 559-ე და 560-ე მუხლების მიხედვით გათვალისწინებულია ფულადი ჯარიმები ამგვარი მოქმედებებისათვის. (Гражданский Процессуальный Кодекс Франции. Перевод с Французского Языка Захватиев В. Н. Количество Страниц 960. Изд-Алерта, Киев, 2018.)

ამ პრობლემის აქტუალობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დღემდე მკვლევარებს შორის ამ მიმართულებით არ შეწყვეტილა მუშაობა, რამაც ასახვა ჰპოვა სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც ასევე გამოყენებული იქნა სადისერტაციო ნაშრომში. მაგ: Жильцова, Н. А. Голиченко, М. М. Гражданская Процессуальная Ответственность, Журнал-Понятие и Основания, М., 2008 Осокина, Г.Л. Право на судебную зашиту в искомом судопроизводстве, Томск, 1990. Юдин, А. В. Злоупотребление процессуальными правами в гражданском судопроизводстве, Диссерт. на соискание Докт. Юрид. Наук, Санкт-петербург, 2009. და სხვ.

როგორც აღინიშნა წინამდებარე თემა არის პირველი, ქართულ ენაზე დაწერილი მონოგრაფიული შრომა და შესაბამისად ამ მიმართულებით სხვა ქართველი პროცესუალისტების ნაშრომებზე მითითება და მათი გამოყენება შეუძლებელია. საქართველოს დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ე.წ. დამცავი, ნორმების გამოყენებით ცდილობს თავიდან აიცილოს და არ დაუშვას მხარეთა მიერ უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენება.

მაგ: სსსკ-ის 53-ე მუხლის მიხედვით ამ მხარის მიერ გაღებული ხარჯი, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. სსსკ-ის 215-ე მუხლის მიხედვით მხარის მიერ აღძრული შუამდგომლობა სასამართლოს მიერ მიღებული იქნება იმ შემთხვევაში თუკი: საქმის მომზადების სტადიაზე მხარეებს არ შეეძლოთ მათი წარმოდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე.

რაც შეეხება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, აქ უშუალოდ ნორმის სახით არის მოთხოვნა, მხარეთა მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის აუცილებლობაზე, ეს ასახულია სხვადასხვა მუხლებში. არსებობს ქართველი მკვლევარების შრომებიც ამ მიმართულებით, რომელიც ნათელ წარმოდგენას ჰქმნის, რამდენად მნიშვნელოვანია ამ პრინციპის დაცვა სამართალურთიერთობის მონაწილეებისათვის. მაგ: „კეთილსინდისიერების პრინციპს ხშირად უნივერსალურ სამართლებრივ პრინციპსაც უწოდებენ. კონტინენტური ევროპის სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპი „მხარეებს მოუწოდებს, რომ ურთიერთვალდებულებები შეასრულონ კეთილსინდისიერად ურთიერთნდობისა და რწმენის საფუძველზე.“ (ხუნაშვილი ნ. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმეკრულებო სამართალში. 2016 წ.)

მაგ: „სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი სამეფო მუხლის წარმოადგენს, რადგანაც მთელი სამოქალაქო კანონმდებლობა, სამოქალაქო ბრუნვა კეთილსინდისიერების პრინციპზეა დაფუძნებული.“ (ხარაზი ია. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. მესამე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა, 2014 წ.)

დავით კერესელიძე თავის ნაშრომში, (კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009წ.), აღნიშნავს: „კეთილსინდისიერების პრინციპს დაქვემდებარებული მოქმედების თავისუფლებიდან გამომდინარეობს სუბიექტის მიერ სხვა პირის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება იმ მოცულობით, რომელიც არ იწვევს თავად მისი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას.“

სასამართლომ არ უნდა დაუშვას მხარეთა მიერ საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენება და ამავდროულად საპროცესო უფლებების დამრღვევების მიმართ კანონი პასუხისმგებლობის ზომებსაც უნდა ითვალისწინებდეს. ქართველი მკვლევარები სუბიტაშვილი, დ. სუბიტაშვილი, თ. ნაშრომში: სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა,

თბილისი, 2016, აღნიშნავენ, რომ სანქციები იყოფიან უფლების დაცვის და პასუხისმგებლობის საშუალებად. სამოქალაქო პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი თვისებაა, რომ მისი გამოყენება უნდა იწვევდეს სამართალდამრღვევის მიმართ უარყოფით შედეგებს. ე.წ. დაცვითი ზომები სამოქალაქო პროცესში გამოიყენება ისეთი მოქმედების უზრუნველსაყოფად, რომელიც საფრთხეს უქმნის პროცესის სწორად წარმართვას. ამ ნორმების არსებობა აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი.

ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტის 1984 წლის 28 თებერვლის რეკომენდაციით, სასამართლოს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება არაკეთილსინდისიერ მხარეს დააკისროს ჯარიმა ან გამოიტანოს გადაწყვეტილება მეორე მხარისათვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ. <Zakon.rada.gov.ua./lows/show/994_126#Texst.> [2020.]

საპროცესო პასუხისმგებლობის სახით, ფულადი სანქციების შემოღება მართლმსაჯულებას გახდის უფრო ეფექტიანს და გახდება შემაკავებელი მათთვის ვინც ბოროტად იყენებს საპროცესო უფლებებსა და მოვალეობებს.

თავი 1. საქმის მონაწილე პირები სამოქალაქო საპროცესო სამართალში

1.1. საქმის მონაწილე პირების სამართლებრივი კატეგორიის შინაარსი

საქართველოს, როგორც თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების აუცილებელ და შეუქცევად მიზანს წარმოადგენს საკუთარი მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მიხედვით: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.“¹

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით: „ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესის დასაცავად.“²

უფლების სასამართლო წესით დაცვის ქვეშ იგულისხმება სასამართლოს საქმიანობა, რომელიც მიმართულია დახმარება აღმოუჩინოს საქმეში მონაწილე პირებს საკუთარი უფლებების განხორციელებისათვის. სასამართლომ აღნიშნულ სამოქალაქო საქმეზე უნდა შეისწავლოს ფაქტობრივი გარემოებები და მხარეთა პოზიცია ამ დავასთან დაკავშირებით.

“საქმის განხილვა მოიცავს საქმიანობას-მოიყვანო მექანიზმი მზადყოფნაში, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო სამართალწარმოების ამოქმედებას. სასამართლო დაკავებული უნდა იყოს პროცესის ხელმძღვანელობით დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის გზით. იგი უხსნის საქმეში მონაწილე მხარეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს. აფრთხილებს მოსალოდნელ შედეგებზე ცალკეული საპროცესო მოქმედებების შესრულების ან შეუსრულებლობის დროს, დახმარებას უწევს პროცესის ცალკეულ მონაწილეებს მათი უფლებების განხორციელებაში და ქმნის პირობებს მტკიცებულებების ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისათვის საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად“.³

მხარეები, თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით საპროცესო უფლებების რეალიზაციისა და საპროცესო მოვალეობების შესრულებით, დებულობენ აქტიურ მონაწილეობას სამოქალაქო საქმის განხილვის დროს სასამართლოში.

¹ საქართველოს კონსტიტუცია 2020 წლის 29 ივნისის მდომარებით მიღებული 24.08.1995 წელს.

<matsne.gov.ge/ka/[უზანასკნელ დგადმოწმებულ-14.01.21]

² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 2020 წლის 29 სექტემბრის მდომარებით მიღებული 14.11.1997. <matsne.gov.ge/ka/[უზანასკნელ დგადმოწმებულ-14.01.21]

³ Афансьев С. Ф. Зайцев А. И. Гражданский Процесс, Изд. Юрайт М., 2017, გვ. 248.

პროცესში მონაწილე პირთა შემადგენლობიდან აუცილებელია გამოვყოთ მხარეები, როგორც სუბიექტები, რომელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლა აუცილებელია ჩვენ მიერ დასახული მიზნის მისაღწევად.

მხარეების იურიდიული მდგომარეობის სწორი განსაზღვრება წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სასამართლოს მხრიდან საქმის სწორად გადაწყვეტის მიზნით. ამიტომ, ამ მიმართულებით არ უნდა შენელებს მუშაობა, რადგან სამოქალაქო საპროცესო ტერმინალოგიისა და ცნებების შემუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მეცნიერების განვითარებისთვის, ისე ზოგადად სამართალწარმოებისათვის. სამოქალაქო საპროცესო მეცნიერებისათვის დამახასიათებელია ტერმინების არსებობა, რომელიც გამოხატავს მის შინაგან არსს და ერთმნიშვნელობას. ისეთი ტერმინების წაკითხვის დროს კანონში ან სამეცნიერო შრომებში, როგორცაა სარჩელი, საქმეში მონაწილე პირები, მხარეები, მესამე პირები და ა. შ. არ წარმოადგენს სირთულეს გავიგოთ, რომ დასახელებული ტერმინები გამოხატავს სამართლებრივი მნიშვნელობის ცნებებს.

“საქმის მონაწილე პირები არიან მხოლოდ ის მონაწილეები სამოქალაქო პროცესისა, რომელთაც საქმის შედეგისადმი აქვთ იურიდიული დაინტერესება”.⁴

„საქმის მონაწილე პირები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამოქალაქო პროცესში. მათი მოქმედებები აქტიურ გავლენას ახდენს სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებზე, მთლიანობაში კი პროცესის წარმოშობაზე, შეცვლასა და შეწყვეტაზე. საქმის მონაწილენი არიან: მხარეები, მესამე პირები, განმცხადებლები უდავო წარმოების საქმეებზე, წარმომადგენლები.“⁵

მაშასადამე ტერმინი „საქმის მონაწილე პირები“ არ არის შესატყვისი ცნებების „პირები მონაწილე სამოქალაქო პროცესში“ ან „სამოქალაქო პროცესის მონაწილეები.“ პროცესში შეიძლება მონაწილეობას ღებულობდნენ სხვა პირებიც, მაგ: მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი და ა. შ.

“ზშირად იურისტთა საზოგადოებაში ადგილი აქვს ტენდენციას, ესა თუ ის ცნება გამოიყენება განსხვავებული გაგებითა და მნიშვნელობით. რა თქმა უნდა იურიდიული ცნებების გამოყენებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული მნიშვნელობით. თუმცა თეორიისა და პრაქტიკის ერთმანეთისაგან დაცილებამ შეიძლება გამოიწვიოს, რომ კანონმდებლობაში დამკვიდრებული ტერმინების მიღმა გაჩნდეს მხოლოდ პრაქტიკული გამოყენების ტერმინები”.⁶

⁴ Вукот М. А. Заицев И. М. Гражданский Процесс (курс лекций), Изд-Сгап, Саратов, 1998, გვ. 100.

⁵ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა (შევსებული და გადამუშავებული), გამომცემლობა „მერედიანი“, თბილისი, 2015 წ, გვ. 130.

⁶ Жуиков В. М. Судевная Защита Прав Граждан и Юридических Лиц, Изд. Городец, М., 1997, გვ. 305.

არ არსებობს ერთი და იგივე ცნებები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა აზრი და შინაარსი. სამართლებრივი ცნებები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ზუსტად ჩამოვყალიბოთ სამართლებრივი ცნებები და მივუსადაგოთ შესაფერის სამართლებრივ ურთიერთობებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მათ ჰქონდეთ მეცნიერული ღირებულება და მოვიდნენ შესაბამისობაში კანონმდებლობის განვითარებასთან, სასამართლოს სამართალშემოქმედებით საქმიანობასთან.

1.2. მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის გავლენა მხარის სტატუსზე

„სამოქალაქო პროცესში ყოველთვის მონაწილეობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე მხარე. გამონაკლისია ამ მხრივ უდავო წარმოება, სადაც მხოლოდ ერთი მხარე-განმცხადებელი გვყავს, რომელიც მიმართავს სასამართლოს ამა თუ იმ იურიდიული მნიშვნელობის გარემოებათა დასადგენად. შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად ამ ორ მხარეს, უფლება აქვთ წამოაყენონ სასამართლოს წინაშე თავიანთი მოსაზრებანი და წარადგინონ მასალები ამ მოსაზრებათა დასადასტურებლად. მათ თანაბარი უფლებები გააჩნიათ. მოპასუხეს შეუძლია უარყოს მოსარჩელის მოთხოვნა და ამ მოთხოვნის შედეგად წამოყენებული მოსაზრებები, ხოლო მოსარჩელეს შეუძლია უარყოს მოპასუხის შესაგებელი და ამ შესაგებლის დასასაბუთებლად წამოყენებული მოსაზრებები“.⁷

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ახდენს განსაზღვრებას მხარეების. ის იფარგლება დასახელებით „მოსარჩელე“ და „მოპასუხე“. მხოლოდ სხვადასხვა მუხლის შინაარსის ანალიზის შემდეგ შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ მოსარჩელე და მოპასუხე სასარჩელო წარმოებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. უმჯობესია, რომ კანონმდებელი ხშირად იყენებდეს დეფინიციის ფორმებს, რომელიც გააკეთებდა განმარტებას ძირითად საპროცესო ცნებებზე. თავისი იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე ასეთი სახის განმარტებები შეასრულებდა კონტურის როლს მთელი სამართლებრივი მოვლენისათვის. „ამ საკითხთან დაკავშირებით მხარდასაჭერია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ: უფრო სამართლიანი იქნება

⁷ ხოფერია ნ. დისერტაცია იურიდ. მეცნ. კანდ. მოსაპოვებლად, „შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაქო პროცესში. შედარებით სამართლებრივი კვლევა.“ თბილისი, 1999, გვ. 9.

საპროცესო კოდექსში, იქ სადაც მხარეებზეა საუბარი, მითითებული იყოს, რომ მხარეებს მიეკუთვნებიან მოსარჩელე და მოპასუხე“.⁸

„მოპასუხე და მოსარჩელე ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარეა. მოსარჩელე არის პირი, რომელსაც მხოლოდ სავარაუდოდ ეკუთვნის სადავო უფლება. მოპასუხე კი არის ის ვინც, სავარაუდოდ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით“.⁹

ეს განმარტება საჭიროებს დამატებას. ის, რომ ვინმეს უფლება დაირღვა არ არის საკმარისი მოსარჩელის ცნების განსამარტავად. რა თქმა უნდა ამ უფლების აღდგენის მიზნით მან უნდა მიმართოს სასამართლოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს იგი მოსარჩელედ. ამიტომ გაცილებით უფრო სწორია ქართველი პროცესუალისტების განმარტება:

„**მოსარჩელე** არის პირი, რომელმაც აღძრა სარჩელი თავისი დარღვეული და სადავო უფლების დასაცავად. აქედან გამომდინარე მოსარჩელედ ვერ ჩაითვლება პირი, რომელმაც აღძრა სარჩელი სხვა პირის უფლებების დასაცავად. ამიტომ მოსარჩელედ ვერ ჩაითვლება წარმომადგენელი, რომელიც მიმართავს სასამართლოს სარჩელით სხვა პირთა უფლებების დასაცავად.

მოპასუხე არის პირი, რომელმაც მოსარჩელის განცხადებით დაარღვია ან სადავო გახადა მისი უფლება. მოსარჩელემ უნდა დაასახელოს მოპასუხე ეს მისი მოვალეობაა. სხვა საკითხია მართლა უნდა აგოს, თუ არა მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებულმა პირმა პასუხი. ეს გაირკვევა პროცესის ბოლოს, სასამართლოს გადაწყვეტილებით. მაგრამ თავდაპირველად, მოსარჩელის მიერ მოპასუხის დასახელება არის საჭირო და აუცილებელი, რათა სასამართლომ მიიღოს და გადაწყვიტოს საქმე.“¹⁰

საპროცესო მდგომარეობა მოსარჩელისა და მოპასუხის გარკვეულწილად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, რაც თავს იჩენს საპროცესო უფლებების და მოვალეობების შინაარსში. სამოქალაქო საპროცესო თანასწორუფლებიანობის პრინციპის მიხედვით, მოსარჩელის უფლებას წარუდგინოს მოპასუხეს სარჩელი შეესაბამება მოპასუხის უფლება შესაგებელზე. არ იქნებოდა სწორი მოპასუხის მიკუთვნება, მხოლოდ პასიურ საპროცესო მდგომარეობასთან. მოპასუხის შესვლა პროცესში დამოკიდებულია მის უფლებასთან, იყოს მონაწილე პროცესის ისეთივე თანასწორუფლებიანობის საწყისებზე, როგორც მოსარჩელეა.

მხარეთა პრობლემებზე საუბრის დროს კარგი იქნება, თუკი მივმართავთ რომის სამართალს. ვინაიდან იგი წარმოადგენს საფუძველს, რომელზედაც ვითარდებოდა თანამედროვე ცივილური სამართალწარმოება.

⁸ კობახიძე ა. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2003, გვ. 130.

⁹ Заицев И. М. Надо ли Суду Заменять Ненадлежащую Сторону, Изд. Рооссийская Юстиция, №8, М.,1999, გვ. 23.

¹⁰ ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი, 2014, გვ. 134.

თითოეული სარჩელი რომის სამართალში გულისხმობდა სულ მცირე ორი პირის არსებობას.

„სამოქალაქო პროცესის პირველ სტადიაში მონაწილეობდნენ მოსარჩელე, მოპასუხე და მაგისტრატი. ამასთან ეს უკანასკნელი-სასამართლო მაგისტრატი არ გამოდის მოსამართლის როლში. ის მხოლოდ მხარეთა საზეიმო იურიდიულ აქტში მონაწილეობს და წარმოთქვამს სათანადო რიტუალით გათვალისწინებულ სიტყვებს. ცხადია, მოსარჩელე და მოპასუხეც ასრულებდა სამართლით გათვალისწინებულ სამართლებრივ რიტუალს-მოსარჩელე აცხადებს თავის მოთხოვნას, თავის პრეტენზიას, თავის მხრივ მოპასუხეც გამოთქვამს თავის საწინააღმდეგო მოსაზრებას. თუ მოპასუხე მოსარჩელის განცხადებას სამართლიანად ჩათვლიდა და დაეთანხმებოდა, საქმე ამით დამთავრდებოდა.“¹¹

მხარეთა ცნების განსაზღვრების საკითხი აქტიურად იხილებოდა მე-19 საუკუნის მკვლევარებთანაც. მაგ: „დაზარალებული პირი, რომელიც ახორციელებს თავის მოთხოვნებს სასამართლო პროცესზე, იწოდება მოსარჩელედ, ხოლო უფლების დამრღვევი, რომელიც სასამართლო პროცესში ჩაბმულია საპასუხოდ თავის ქმედებისათვის-მოპასუხედ. როგორც ერთი, ისე მეორე სუბიექტი სასარჩელო წარმოების იწოდება მხარედ, როგორც განსხვავებული და დაპირისპირებული ინტერესის მქონე, ამ ურთიერთობაში. პროცესში ანუ დავაში ჩართვის შემდეგ, ისინი იწოდებიან მოდავე მხარეებად, რადგან თითოეული მხარე ცდილობს გადაწონოს მართლმსაჯულების სასწორი თავის სასარგებლოდ.“¹²

“მოსარჩელე არის აქტიური მხარე, რომელიც აღძრავს საქმეს. ითხოვს სასამართლოს მხარდაჭერას და უყენებს მოთხოვნებს მოპასუხეს. მოპასუხე არის პასიური მხარე, რომელიც თავს იცავს და არ უტევს მოსარჩელეს, არ ითხოვს სასამართლო მხარდაჭერას, მაგრამ ცდილობს სასამართლომ არ აღმოუჩინოს ეს მხარდაჭერა მოსარჩელეს. პირველი ესწრაფვის სასამართლო დახმარებას, მეორემ უნდა იქონიოს პასუხი სასამართლოს წინაშე. ამიტომ პირველს ეწოდება მოსარჩელე, მეორეს მოპასუხე.“¹³

არსებული მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით მხარეები არიან სასამართლოში განსახილველი საქმის მონაწილე პირები, რომელთაც ამ საქმის მიმართ აქვთ ურთიერთდაპირისპირებული იურიდიული ინტერესი. ვისი განცხადებითაც დარღვეული ან სადაოდ გამხდარი უფლების დაცვის მიზნით აღიძრება სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოში ვინმეს წინააღმდეგ,

¹¹ ნადარეიშვილი გ. რომის სამოქალაქო სამართალი, გამომცემლობა „ზონა კაუზა“, თბილისი, 2009, გვ. 22.

¹² Мальшев К. И. Курс Гражданского Судопроизводства, Т. I, Изд-СПБ. ун-та, с.-Петербург, 1876, გვ. 181.

¹³ Васьковский Е. В. Курс Гражданского Процесса, Т. I, изд-Бр. Башмаковых, М., 1913, გვ. 573,

არის მოსარჩელე. მოპასუხე არის პირი, რომელიც პასუხობს მოსარჩელის წაყენებულ მოთხოვნებს.

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის მიხედვით მხარეებს და დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებს უფლება აქვთ პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ ზემდგომ ინსტანციებში. სააპელაციო სასამართლო საჩივრის წარდგენის შემდეგ არკვევს მნიშვნელოვან საკითხს: ა) შეიძლება თუ არა კონკრეტული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება და ბ) ვინ შეიძლება გაასაჩივროს სააპელაციო წესით სასამართლოს გადაწყვეტილებები.“¹⁴

მხარეებზე საუბრის დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ სამოქალაქო პროცესი არ შემოიფარგლება სამოქალაქო საქმეების განხილვით მხოლოდ პირველ ინსტანციაში. „საქმის მონაწილე პირებს შეუძლიათ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით სააპელაციო საჩივრით მიმართონ პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი დადგენილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით.“¹⁵

„ამავე კანონის 391-ე მუხლით მხარეებს და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით უფლება აქვთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრებაზე საკასაციო სასამართლოში. ამ შემთხვევაშიც საკასაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს რომელი სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით (საკასაციო გასაჩივრების ობიექტი) და ვის შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილებები (საკასაციო გასაჩივრების სუბიექტები).“¹⁶

ამ საკითხების დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მიიღება სააპელაციო და საკასაციო საჩივრები წარმოებაში და მოსარჩელე და მოპასუხე დაპირისპირებულ მხარეებად, რჩებიან ზემდგომ ინსტანციებში.

„საქმეში მონაწილე პირთათვის, გასაჩივრების უფლება გარანტირებულს ხდის შესაძლებლობას დაიცვას თავისი პოზიცია გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგაც, მიაღწიოს სასამართლო დადგენილების გაუქმებას, რომელიც მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება.“¹⁷

საპროცესო სამართლის თეორიის განვითარების პროცესში ყალიბდებოდა განსხვავებული შეხედულებები მხარეთა ცნების განმარტებასთან დაკავშირებით. ეს განმარტებები ზოგჯერ ავსებდნენ და ზოგჯერ წინააღმდეგობაში მოდიოდნენ ერთმანეთთან. ეს პოლემიკა ზოგიერთ ავტორთან გრძელდება დღემდე.

¹⁴ ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007 წ. გვ. 620.

¹⁵ ქურდაძე შ. სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, გამომცემლობა „მერედიანი“, თბილისი, 2006 წ. გვ. 8.

¹⁶ ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ. დასახელებული ნაშრომი გვ. 674.

¹⁷ ქურდაძე შ. დასახელებული ნაშრომი გვ. 74.

“მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში, არიან სავარაუდო სუბიექტები სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის. მონაწილეობა მატერიალურ სამართალურთიერთობაში, იძლევა საფუძველს მონაწილეობის მიღების სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეების სტატუსით. ისინი მიუთითებენ აუცილებლობაზე მხარეთა ცნების განმარტების დროს, რომ ცნება „მხარეები პროცესში“ მჭიდროდ არის დაკავშირებული ცნებასთან „მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტები“. მხარეები, როგორც წესი წარმოადგენენ სუბიექტებს სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის. იმისათვის, რომ პირი, ვინც მიმართა სასამართლოს, ცნობილი იქნას მხარედ სამართალწარმოებაში, საჭიროა სასამართლოს მხრიდან ვარაუდის დაშვება იმის შესახებ, რომ ეს პირი არის სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის მონაწილე.“¹⁸

„სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა თავისი არსით, რეგულაციური სამოქალაქო უფლებების დაცვის საშუალებად განიხილება. მათ შორის გამოიყოფა მოთხოვნები, რომლებიც ორიენტირებულია კანონით დაცული ინტერესების უზრუნველყოფაზე. მაგალითად, დელიქტური მოთხოვნები პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა. დაცვითი სამართლებრივი ურთიერთობა რეგულაციური ურთიერთობის დარღვევის შედეგად წარმოიშობა. რეგულაციურ ურთიერთობაში კონსტრუქცია „უფლება-მოვალეობა“ შეიძლება ორგვარად განხორციელდეს; უფლებამოსილი პირის ინტერესი შეიძლება მოვალეობის შესრულებით დაკმაყოფილდეს, ან მისი დარღვევის გამო არ დაკმაყოფილდეს. პირველ შემთხვევაში რეგულაციური სამართლებრივი ურთიერთობა მშვიდობიანად მთავრდება უფლებამოსილი პირის დამოუკიდებელი (სახელმწიფო ორგანოს ჩარევის გარეშე) მოქმედების განხორციელებით. მეორე შემთხვევა კრიზისულია, რადგან დავა ინტერესის დაკმაყოფილების შეუძლებლობას ადასტურებს. ამიტომ ის იცვლება სხვა-დამცავი სამართლებრივი ურთიერთობით, რომლის ფარგლებშიც უფლებამოსილი პირის ინტერესი შეიძლება იძულებით დაკმაყოფილდეს.“¹⁹

„როცა მხარეთა შორის მატერიალურ-სამართლებრივი დავა წარმოიშობა ანუ დაირღვა უფლება ან სადავოდაა იგი ქცეული ან არსებობს უფლების ხელყოფის საფრთხე, მოსარჩელე მიმართავს რა სასამართლოს სარჩელით, შესაძლოა ითხოვდეს უფლების დარღვევამდე არსებული პირვამდელი მდგომარეობის აღდგენას ან ისეთი მოქმედების აღკვეთას, რომელიც უფლების ხელყოფის საფრთხეს ქმნის.“²⁰

¹⁸ Вукот М. А. Стороны-Основные Лица Искового Производства, Изд. Саратовского ун-та, 1968, გვ.4.

¹⁹ ბიჭია მ. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის არსის გაგებისთვის, გ. ნაჭყებია 75, საიუბილეო გამოცემა, „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, თბილისი, 2016, გვ. 137

²⁰ ბიჭია მ. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2012 წ. გვ. 322

როგორც არსებული განხილვებიდან ჩანს პირს, რომელიც თვლის, რომ მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობაში დარღვეულია მისი უფლება, შეუძლია ამ უფლების დამრღვევს მოსთხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა ნებაყოფლობით. ასეთი მოქმედების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ის შეეცდება უფლება აღადგინოს სასამართლოს მეშვეობით.

პირები, რომლებიც მონაწილეობენ უდავო წარმოებაში არა აქვთ უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია დავის ობიექტის განკარგვასთან, რადგან ასეთ უფლებებს უდავო წარმოება არ ითვალისწინებს. მაშასადამე, უდავო წარმოებაში არ არსებობენ მხარეები და საერთოდ ეს წარმოება არ არის მიმართული მხარეებს შორის სადავო უფლების განსახილველად. რაც შეეხება ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობას აქ მხარეებად, ისევე, როგორც სამოქალაქო პროცესში ჩვეულებრივად შეიძლება მოგვევლინოს, როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირები.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საზღვრავს პირთა წრეს, რომელიც მონაწილეობს სამოქალაქო სამართალწარმოებაში. კანონმდებელი ფაქტობრივად ერთ დონეზე აყენებს, მხარეებს და განმცხადებლებს. სსსკ-ის 79-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების განცხადებით.

ქართველი პროცესუალისტების თ. ლილუაშვილის და ვ. ხრუსტალის განმარტებით აღნიშნული მუხლი გულისხმობს: „როგორც განმცხადებლებს, რომლებსაც აქვთ იურიდიული ინტერესი დაადასტურონ სასამართლოს მეშვეობით რაიმე, მაგალითად იურიდიული ფაქტი. ისე მოდავე მხარეებს სასარჩელო წარმოების დროს. უდავო წარმოების დროს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში გამარტივებული წარმოების დროს, ყოველთვის გვყავს ერთი მხარე-განმცხადებელი, სასარჩელო წარმოების დროს გვყავს ორი, თავისი ინტერესით ურთიერთდაპირისპირებული მხარეები-მოსარჩელე და მოპასუხე.“²¹

არსებობს შემთხვევები, როდესაც მხარედ სამოქალაქო პროცესში აღმოჩნდება პირი, რომელიც არ არის სუბიექტი სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის. ასეთ პირს აღმოჩენა, რომელიც არ წარმოადგენს სუბიექტს სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის შესაძლებელია პროცესში მაშინ, როდესაც პირი უთითებს ფაქტობრივ გარემოებებს, რომელმაც უნდა დაარწმუნოს მოსამართლე, რომ მოსარჩელე და მოპასუხე არიან სუბიექტები სადავო მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ საფუძველი მოსარჩელისა და მოპასუხის არსებობის. ეს არის, როგორც აღვნიშნეთ მატერიალური სამართალურთიერთობა.

ზოგიერთი ავტორის მიერ გამოყოფა სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის, როგორც მხარეთა პროცესში მონაწილეობის აუცილებელი ნიშანი, საჭიროებს კორექტირებას მაგალითად:

²¹ ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ. დასახელებული ნაშრომი გვ. 142

“მოსარჩელებად და მოპასუხეებად სამოქალაქო პროცესში შეიძლება იყვნენ, როგორც სავარაუდოდ, ისე ნამდვილი სუბიექტები მატერიალური სამართალურთიერთობის და არა მხოლოდ რეალურად არსებული უფლებების, არამედ სავარაუდოდ უფლებების დარღვევის შემთხვევაშიც.”²²

მოცემულ მოსაზრებაზე დათანხმება შეიძლება იმ შემთხვევაში, რომ არსებობს თუ არა მხარეთა შორის სადავო მატერიალური სამართალურთიერთობა, დარღვეულია მოსარჩელის უფლება, არის თუ არა ამ უფლების დამრღვევი პირი ის, ვინც ჩაბმულია საქმეში მოსარჩელედ ან მოპასუხედ, უნდა გადაწყდეს სასამართლოს მიერ, სასამართლოს დადგენილების საფუძველზე.

სამართლიანად აღნიშნავდა ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი მკვლევარი, რომ: “პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც მიმართავს სასამართლოს დარღვეული უფლების აღსადგენად, შესაძლოა მხოლოდ სავარაუდოდ დაადგინო და არა დანამდვილებით, ვინ არიან სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტები.”²³

გარდა ამისა პასუხს შეკითხვაზე სინამდვილეში არსებობს თუ არა სადავო უფლება და დაირღვა იგი მოპასუხისაგან თუ არა, სცემს სასამართლო. შესაბამისად, როგორც ზემოდ ავღნიშნეთ, მოსარჩელე და მოპასუხე არიან სავარაუდოდ მონაწილეები სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის.

მონაწილეობა მატერიალურ სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოადგენს სამოქალაქო პროცესში მხარეთა წარმოშობის ერთ-ერთ აუცილებელ საფუძველს. პირი, რომელიც მიმართავს სასამართლოს სასარჩელო განცხადებით, არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად იქნება მოსარჩელედ პროცესში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით „სარჩელი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით.“ თუკი სარჩელი აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, საქმე აუცილებლად მიღებული უნდა იყოს წარმოებაში. სხვა სიტყვებით, მხარეები წარმოადგენენ სავარაუდოდ მონაწილეებს მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის, რაც საბოლოოდ უნდა დაადგინოს სასამართლომ, მაგრამ იმისათვის, რომ მან სარჩელი მიიღოს წარმოებაში და გაიმართოს სასამართლო სხდომა, მოსარჩელემ უნდა იმოქმედოს საპროცესო კანონის სრული დაცვით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განჩინებით უარი თქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე და განმარტა შემდეგი: „სასამართლო მოსარჩელეს უთითებს, რომ სარჩელი წარმოდგენილი სახით ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მისი განსახილველად მიღება

²² Джалилов Д. Р. Лица Участвующие в Гражданских Делах Искового Производства, изд-Ирфон, Душанбе, 1965. გვ 14.

²³ Шакариан М. С. Субъекты Советского Гражданского Процессуального Права, изд-РИО. ВЮЗИ. М. 1970, гв. 137.

ვერ იქნება მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპის შესაბამისი, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I პარაგრაფშია ასახული. „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“ სამართლიანი სასამართლოს უფლება არ არის აბსოლიტური უფლება, სასამართლო ვალდებულია სარჩელის წარმოებაში არმიღების გზით მიუთითოს მოსარჩელეს მის მიერ კანონის მოთხოვნის დარღვევის შესახებ. მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ სწორი სამართალწარმოება მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის სწორად დაყენების პირობებშია შესაძლებელი. შესაბამისად, მას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის გზით ეძლევა შესაძლებლობა სარჩელი კანონით დადგენილი წესით მოამზადოს, რათა არასრულყოფილი სარჩელი არ გახდეს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, რითაც მხარეს სასამართლოსათვის იმავე მოთხოვნით, იმავე საფუძველით, იმავე მხარის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლება ერთმევა.²⁴

იმ ავტორების მიმართ, რომლებიც მხარეთა განმარტების დროს ეფუძნებიან მხოლოდ პროცესუალურ ასპექტებს, კრიტიკულ განწყობას ვხვდებით სხვადასხვა ნაშრომებში, მაგ: “დავა უფლებაზე ან პირთა კანონით დაცულ ინტერესზე, რომელიც უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ არ წარმოადგენს მხოლოდ მხარეთა ცნების მახასიათებელს, რადგან იგივე შეიძლება ითქვას მესამე პირებზეც. რომლებიც აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე.“²⁵

აქედან გამომდინარე საყურადღებოა მოსაზრება, რომ: “მხარეები, ესაა მატერიალური და საპროცესო სამართლის ინსტიტუტი. ამიტომ მხარეთა ცნების განმარტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც საპროცესო ასპექტი, ასევე მატერიალური. სასამართლო საქმის განხილვაში მხარეთა მონაწილეობის გარეშე მხარეები რჩებიან მხოლოდ მხარეებად სადავო მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობის.“²⁶

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არ არსებობს მითითება უშუალოდ იმ მომენტზე, როდის წარმოიშობა მოსარჩელე და მოპასუხე. რა საპროცესო მოქმედების შესრულება არის ამისათვის საჭირო.

პირი და არა მოსარჩელე მიმართავს სასამართლოს დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების დასაცავად. პირი შეიძლება იყოს რომელიმე მხარე, მოსარჩელე ან მოპასუხე, განმცხადებელიც ან მესამე პირი. მხოლოდ

²⁴ ბათუმის საქალქოსასამართლოს სამოქალაქოსაქმეთა კოლეჯის 27.01.20121წ. განჩინება საქმეზე # 2-168/21.

²⁵ Мельников А. А. Субъективные Процессуальные Права Старон в Гражданском Процессе, Журнал-“Советское Государства и Права“ №3, М.,1972. გვ. 20.

²⁶ Ченцов Н. В. Проблемы Защиты Государственных Интиресов в Гражданском Судапроизводстве, изд. Томского ун-та, 1989. გვ. 83

სასარჩელო განცხადების წარდგენა საკმარისი არ არის. მოსამართლე სსსკ-ის 184-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის ჩაბარებიდან არა უადრეს 5 და არა უგვიანეს 14 დღისა, ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება სარჩელის წარმოებაში მიღების ან არ მიღების შესახებ. არ მიღების შემთხვევაში მოცემული კოდექსის 187-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო ღებულობს დასაბუთებულ განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

მხოლოდ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ წარმოიშებიან მხარეები პროცესუალური გაგებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში. არ შეიძლება გავაიგივოთ ერთმანეთთან პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს საკუთარი უფლების დაცვის მიზნით და მოსარჩელე, ვიდრე არ იქნება საქმე სასამართლოს წარმოებაში მიღებული. სარჩელის წარმოებაში მიღება უკავშირდება მხარეთა წარმოშობას. სასამართლო ამ შემთხვევაში უნდა ღებულობდეს დასაბუთებულ განჩინებას საქმის წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით.

„სარჩელი ყოველთვის განხილული უნდა იყოს მისი ორივე მხარის ერთიანობაში. სარჩელის პროცესუალური მხარე-ესაა სასამართლოში მიმართული მოთხოვნა, რომ მან განიხილოს და გადაწყვიტოს უფლების შესახებ დავა მხარეთა ყველა იმ პროცესუალური გარანტიების დაცვით, რომელიც დადგენილია კანონით. მატერიალური სამართლებრივი მხარე-ესაა მოპასუხისადმი მიმართული მოთხოვნა მოსარჩელის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც ხელს უშლის, ეწინააღმდეგება მოსარჩელეს თავისი კუთვნილი უფლების ნორმალურად განხორციელების საქმეში. სასამართლოსადმი მიმართვა ეს ნიშნავს იმას, რომ ამოქმედო უფლების დაცვის ის საშუალება, რომელსაც ეწოდება სარჩელი. იღებს რა სარჩელს განსახილველად სასამართლო ვალდებულია კისრულობს რეალიზება გაუკეთოს ორივე მოთხოვნას, თუკი ისინი აკმაყოფილებენ კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას.“²⁷

საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ წარმოიშობიან მოსარჩელე და მოპასუხე. თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა სასამართლომ გამოარკვიოს, არსებობდა თუ არა დასახელებულ სუბიექტებს შორის მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, რადგან სწორედ ამაზეა დამოკიდებული სასამართლო გადაწყვეტილება.

“უფლება სარჩელზე, როგორც კანონით დაცული სამართალურთიერთობის ელემენტზე, ნიშნავს, რომ კანონით გათვალისწინებული საპროცესო და მატერიალური ნორმების არსებობის შემთხვევაში პირს, რომელსაც აქვს ეს უფლება, შეუძლია მოითხოვოს

²⁷ ძლიერიშვილი ზ. უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის ძირითადი პრობლემები, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 1999, გვ. 55.

სასამართლოსაგან გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც იქნება მისი უფლების და კანონით დაცული ინტერესის დაცვის საშუალება.“²⁸

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ სარჩელის უფლების საკითხი შეიძლება სწორად გადავწყვიტოთ თუკი გამოვალთ სარჩელის ერთიანი ცნების ორი მხრიდან. სარჩელის წაყენების უფლება განუყოფლადაა დაკავშირებული სარჩელის პროცესუალურ ბუნებასთან, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების უფლება მის მატერიალურ-სამართლებრივ მხარესთან. მთლიანად კი სარჩელის უფლება ეს არის როგორც, მისი წარმდგენისა და დაკმაყოფილების უფლება ანუ პროცესის უფლება და მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის იძულებითი განხორციელების უფლება.“²⁹

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მხარეები არიან საქმის ძირითადი მონაწილეები. ისინი ერთმანეთთან იმყოფებიან მატერიალურ სამართლებრივ დავაში უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების შესახებ. ამიტომაც აქვთ განსხვავებული მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო ინტერესები. სწორედ ეს დავა უფლებაზე წარმოადგენს სასამართლოში საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საგანს.

1.3. მხარის ცნების საპროცესო-სამართლებრივი ასპექტები

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ნორმებში არსებობენ აუცილებელი ნიშნები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს მხარეთა ცნების განმარტებისათვის. მათი გამოვლინება შესაძლებელია საპროცესო კანონმდებლობის ანალიზის მეშვეობით. ამ ნორმების მეშვეობით ხდება საქმეთა განხილვა სამოქალაქო სამართალწარმოების დროს.

“მხარეებს აქვთ მათთვის უშუალოდ დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც განსხვავდება პროცესში მონაწილე სხვა პირთა, უფლებებისაგან. ეს პირები შეიძლება იყვნენ მოსამართლე, ექსპერტი, თარჯიმანი და ა. შ. მხარეების დამახასიათებელი ნიშნები შეიძლება დავყოთ შემდეგნაირად:

1. საქმის მიმართ იურიდიული ინტერესი.
2. ერთმანეთისადმი დაპირისპირებული იურიდიული ინტერესი.
3. პროცესს მხარეები წარმართავენ საკუთარი სახელით.
4. სასამართლო გადაწყვეტილება გამოდის მხარეთა სახელზე.
5. მხარეებზე ვრცელდება სასამართლო გადაწყვეტილების ძალა.
6. სასამართლო ხარჯები გადახდებამ მხარეებს.“³⁰

მხარეთა ცნების განსაზღვრების დროს ამ ნიშნებს, რა თქმა უნდა გვერდს ვერ ავუვლით. თავისი მნიშვნელობით, გამოყოფის ღირსია მხარეთა

²⁸ Осокина Г.Л. Право на Судебную Защиту в Исковом Судопроизводстве, изд-ТГУ, Томск, 1990, გვ. 44-45

²⁹ იხ.ძლიერიშვილი ზ. დასახელებული ნაშრომი გვ. 92.

³⁰ Зайцев И. М. Самсонов В. В. Равноправие Сторон; Льготы и Привилегии, “Вестник Саратовской Академии Права“ №1, 1999, გვ. 25.

მონაწილეობა უფლებაზე დავაში. იმისათვის, რომ გაიმართოს სასამართლოში საქმის განხილვა და წარმოიშვას მხარეები კონკრეტულ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, საჭიროა არსებობდეს დავა მხარეთა შორის. დავა უნდა იყოს არა უბრალოდ დავა გაურკვეველ საკითხთან დაკავშირებით, გაურკვეველი მოსაზრებებით, არამედ დავა უნდა იყოს კანონით დაცული უფლებების შესახებ.

„დავის არარსებობა უფლებაზე, შეიძლება გამოვლინდეს სასარჩელო განცხადების წარდგენის დროს სასამართლოში. სსსკ-ის 178-ე მუხლში მოცემულია სარჩელის შინაარსი, სადაც დავის საგნის მითითება ითვლება აუცილებელ პირობად, იმისათვის, რომ სარჩელი მიღებული იქნას წარმოებაში. დავის საგნის მითითება არ ნიშნავს, რომ დავა უფლებაზე არსებობს რეალურად. ეს სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. პირს ჰგონია, რომ დარღვეულია მისი უფლება, ვერ გარკვეულა საკუთარ უფლებებში და ა. შ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამის შესახებ მხოლოდ სასამართლომ უნდა იმსჯელოს. უარის თქმა უფლების დაცვაზე ეს არის უარის თქმა მართლმსაჯულებაზე. მართლმსაჯულებაზე უარის თქმით პირი რჩება სამართლებრივი სფეროს მიღმა. ასეთ პირობებში შეუძლებელია ვილაპარაკოთ სამართლებრივ და საერთოდ, პოლიტიკური სისტემის სრულყოფაზე, ადამიანის უფლების დაცვის გარანტიებზე.“³¹

მაშასადამე იმისათვის, რომ პირი გახდეს სამოქალაქო პროცესში მოსარჩელედ აუცილებელია, რომ მან საპროცესო ნორმების დაცვით, წარუდგინოს სასამართლოს გარემოებები, რომელიც დაადასტურებდა მასსა და მოპასუხეს შორის მატერიალურ სამართალურიერთობას. სხვა შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია უარი უთხრას პირს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. საპროცესო კოდექსის ეს მოთხოვნა მოწოდებულია, რომ თავიდან ავიცილოთ უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი სარჩელების წარდგენის მეშვეობით, პირის მიერ არაკეთილსინდისიერი მოქმედებები და პროცესის გაჭიანურება სასამართლოში. მაგ: რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა განჩინება სარჩელის განუხილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო: „ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის “ე” და “ვ” ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს. სასამართლო მიუთითებს მხარეს, რომ სასარჩელო მოთხოვნების დაყენება არ გულისხმობს იმავდროულად ამ მოთხოვნებით სარჩელის განსახილველად მიღებას. მოსარჩელე ვალდებულია ზემოთ მითითებული მუხლების შესაბამისად, კონკრეტულად მიუთითოს გარემოებები და წარმოადგინოს მითითებული გარემოებების დამადასტურებელი

³¹ ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა. გამომცემლობა „ჯისიაი“, 2001წ. გვ. 15-16.

მტკიცებულებები (არსებობის შემთხვევაში). კანონის თანახმად იგივე მოთხოვნა წაეყენება მოპასუხის შესაგებელსაც. სარჩელისათვის და შესაგებლისათვის კანონით დადგენილი სტანდარტით დადგენილი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ვინაიდან სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპზე, წერილობითი მასალების გაცვლის შემდეგ თითოეული მხარისათვის ცნობილი უნდა იყოს რა გარემოებებს ემყარება მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია და რა სახის მტკიცებულებებით აპირებს იგი ამა თუ იმ გარემოების დადასტურებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა არ უნდა იქნეს განხილული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების მოგვიანებით მითითების საშუალებად. ³²

არის შემთხვევები, როდესაც უფლებაზე დავის არარსებობა გამოვლინდება სამოქალაქო საქმის განხილვის დროს. ამ შემთხვევაში სსსკ-ის 272-ე მუხლის ა¹) ქვეპუნქტის საფუძველზე დავის საგნის არ არსებობის გამო, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე. აღნიშნული ქვეპუნქტი, სრულიად სამართლიანად დაემატა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს 2007 წლიდან.

ურთიერდაპირისპირებული იურიდიული ინტერესი, როგორც მხარეთა არსებითი ნიშანი მოსარჩელესა და მოპასუხეს განათავსებს სხვადასხვა მხარეს. მოსარჩელის იურიდიული ინტერესი არის პირდაპირ დაპირისპირებული მოპასუხის იურიდიულ ინტერესთან და მდგომარეობს მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაში.

სსსკ-ის 177-ე მუხლის მიხედვით საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში აღიძვრება ვინმეს სასარჩელო განცხადების საფუძველზე და მასში სრულყოფილად და თანმიმდევრულად უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

სასამართლო გადაწყვეტილება გამოდის მხარეთა სახელზე. ამასთან კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება მისი მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო ვალდებულებებით სრულად ვრცელდება მხარეებზე. სასამართლო გადაწყვეტილებები წარმოადგენს დამამთავრებელ ეტაპს. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, უპირველეს ყოვლისა, ვრცელდება პროცესში მონაწილე მხარეებზე, ანუ მოსარჩელესა და მოპასუხეზე. გარკვეული ინტერესის არსებობა მხარეთა მიერ პროცესის მიმდინარეობისას გულისხმობს მათ საპროცესო უფლებებს, რომლებიც ძირითადად მიმართულია უზრუნველყოს კანონით მათთვის მინიჭებული უფლება, რაც გამოიხატება პროცესის აღძვრაში, მსვლელობაში და პროცესის დასრულებაში.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობებიდან გამომდინარე მხარეთა ცნების განმარტება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

³² ქ. რუთაძის საქალქოსასამართლოს სამოქალაქოსაქმეთა კოლეგიის 21.01.2021წ. განჩინება საქმეზე #2-6-21.

სამოქალაქო პროცესში მხარეები არიან სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის სავარაუდო სუბიექტები, რომლებიც დარღვეული სამოქალაქო უფლების აღდგენის მიზნით მონაწილეობენ სასარჩელო წარმოებაში, ფლობენ საპროცესო უფლება-მოვალეობებს, აქვთ იურიდიულ ინტერესი საქმის მსვლელობის მიმართ, ვისი სახელითაც და ვისი ინტერესითაც აღიძვრება წარმოება სასამართლოში. მათზე ვრცელდება მატერიალურ-სამართლებრივი ძალა სასამართლო გადაწყვეტილების და ეკისრებათ სასამართლო ხარჯები.

1.4. მესამე პირის ცნება სამოქალაქო პროცესში

სამოქალაქო პროცესში სასარჩელო წარმოების დროს, როგორც წესი მონაწილეობს ორი დაპირისპირებული მხარე. ესენია, მოსარჩელე და მოპასუხე. ორი ურთიერთ დაპირისპირებული მხარე პროცესში საპროცესო თანამონაწილეობის დროსაც გვყავს, როდესაც მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე გამოდიან თანამოსარჩელები ან თანამოპასუხეები. რიცხოვრივი რაოდენობა თანამონაწილეების არ ცვლის საპროცესო სურათს, რადგან მათი იურიდიული ინტერესი არსებობს მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე და შესაბამისად ისინი წარმოადგენენ ერთ ან მეორე მხარეს. მოსარჩელესა და მესამე პირს, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მიუხედავად დიდი მსგავსებისა, ერთმანეთისაგან განსახვავებული ინტერესები აქვთ. ამიტომ არ უნდა მოხდეს ამ ორი საპროცესო მდგომარეობის ერთმანეთში აღრევა. ასეთი შეცდომის დაშვების დიდი ალბათობაა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მესამე პირი პროცესში წარადგენს სარჩელს მხოლოდ მოპასუხის წინააღმდეგ.

„მესამე პირი შემოდის მხარეთა შორის უკვე დაწყებულ პროცესში თავისი საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომლებიც არა მარტო არ ემთხვევა, არამედ პირიქით ეწინააღმდეგება კიდევ მხარეების ინტერესებს. სწორედ ამიტომ ისინი არ შეიძლება ჩაებან პროცესში თანამონაწილეებად“.³³

„მესამე პირთა მონაწილეობა უზრუნველყოფს საქმეში მონაწილე პირთა უფლებებსა და ინტერესების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, უფრო სწრაფ და სწორ გადაწყვეტას. სასამართლო ორგანოების დროის დაზოგვას და განამტკიცებს სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საპროცესო ეკონომიკის პრინციპს. ამასთან მესამე პირების ინსტიტუტი, ფაქტობრივად წარმოადგენს ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი

³³ ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 168.

კულტურის განმსაზღვრელ ერთ-ერთ საზომს. ვინაიდან იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის განსაზღვრული მათი უფლებათა მოცულობა, შესაძლებელია მსჯელობა, თუ როგორ იცავს კანონმდებელი მოქალაქეთა უფლებებს.³⁴

მესამე პირებად საქმეში შეიძლება იყვნენ, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები. საქმის შედეგით დაინტერესების ხარისხის მიხედვით განასხვავებენ ორი სახის მესამე პირს:

ა) მესამე პირები, რომლებიც აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე.

ბ) მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

სსსკ-ის 88-ე მუხლის თანახმად: თითოეულ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე შეუძლია აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ მხარეთა პაექრობის დაწყებამდე (მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). მესამე პირის სარჩელის მიღება და განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით. მესამე პირისა და თავდაპირველი მოსარჩელის სარჩელის გადაწყვეტა ხდება ერთდროულად.

„მხოლოდ მესამე პირის სურვილი არ არის საკმარისი პროცესში ჩასაბმელად. მესამე პირები შეიძლება აცხადებდნენ დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე და მათი სარჩელის მიღება და განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით. თუ დამოუკიდებელ მოთხოვნას არ აცხადებენ და მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე სურთ ჩაებან, ასეთი მონაწილეობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება ამ საქმეზე შემდგომში რაიმე გავლენას მოახდენს მესამე პირის უფლება-მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.“³⁵

დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირის მატერიალურ უფლებებს სასამართლო არ განიხილავს და მას უშუალოდ არც სასამართლო გადაწყვეტილება ეხება. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვის მიზნით საშუალებას აძლევს პირს დაიცვას სამართლებრივი სიკეთე, როგორც სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით, ისე მესამე პირის სახით უკვე დაწყებულ პროცესში შესვლით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მესამე პირები პროცესში ერთვებიან საკუთარი ნებით. კანონი არ ითვალისწინებს სასამართლოს ინიციატივით მესამე პირის პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. თუმცა სსსკ-ის 201-მ. მე-2 ნაწილის ზ და ბ ქვეპუნქტების მიხედვით სასამართლოს შეუძლია მოუწოდოს მხარეებს დროულად ჩააბან საქმეში მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნით. როგორც წესი ისინი შეიძლება ჩაერთონ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

³⁴ ხარიტონაშვილი ნ. მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში, „სამართალი და მსოფლიო“, #4, 2016, გვ. 136,

³⁵ ხოფერია ნ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 27.

აპელაციაში მათი ჩართვა დასაშვებია თუკი არსებობს სსსკ-ის 215 მ. მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი.

არსებულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას ვხვდებით ზემოთ მოყვანილ მკვლევართან. „ევროპული საპროცესო სამართალი გამოირჩევა მოსამართლის ფართო უფლებით. ქართველი მოსამართლე მესამე პირების საქმეში ჩართვასთან მიმართებით პასიური როლითაა განსაზღვრული“.³⁶ ავტორის განმარტებით ვინაიდან, სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოოობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ საქმეში მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ პირმა, რომლებიც დაკავშირებული არიან დავის საგანთან, რათა არ მოხდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, კარგი იქნებოდა საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანა სასამართლოსათვის მესამე პირების საქმეში ჩაბმის უფლების მინიჭებით. „სასამართლოს, რომ შეეძლოს საკუთარი ინიციატივით ყველა იმ პირის მოწვევა მესამე პირად, რომელთა უფლებებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლო გადაწყვეტილებაც, შემდეგ უკვე ამ პირთა გადასაწყვეტი იქნება საქმეში მესამე პირად მონაწილეობის საკითხი და მათი საქმეში არ მონაწილეობა ვერ გახდება საფუძველი ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო საქმის განახლებისა.“³⁷

აღნიშნული მოსაზრება საგულისყუროა იმ მხრივაც, რომ სასამართლოსათვის ამგავრი მიმართვა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება საქმის გაჭიანურების და უფლების ბოროტად გამოყენების მიზნითაც მოხდეს.

³⁶ ხარიტონაშვილი ნ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 139.

³⁷ იქვე. გვ. 140.

1.5 მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით

საპროცესო მდგომარეობა მესამე პირების დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით იგივეა, რაც მოსარჩელის, რაზედაც პირდაპირ საუბრობს სსსკ-ის 88-ე მუხლი. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მოსარჩელე იწყებს პროცესს სარჩელის სასამართლოში წარდგენით, მესამე პირი კი შედის მოსარჩელისა და მოპასუხის შორის უკვე დაწყებულ პროცესში და შეიძლება გამოვიდეს, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის წინააღმდეგ.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირი წარუდგენს სარჩელს იმ სასამართლოს, რომელშიდაც უკვე წარმოებს საქმე თავდაპირველ მხარეებს შორის. შესაბამისად, მისთვის განსჯადი ხდება ის სასამართლო, რომელშიდაც მას შეაქვს სარჩელი საკუთარი უფლებების დასაცავად, თუნდაც მისი მოთხოვნა ამ სასამართლოს განსჯადი არ იყოს.

მესამე პირის სასარჩელო განცხადება ექვემდებარება ბაჟის გადახდას, რომელიც გამოითვლება მესამე პირის სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე.

მესამე პირი შედის პროცესში თავდაპირველ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, იწყებს დამოუკიდებელ სასარჩელო წარმოებას და მისი მოთხოვნა განხილული უნდა იყოს ადრინდელი თავდაპირველი მოსარჩელის მიერ დაყენებულ მოთხოვნასთან ერთად. ამიტომ საქმის შეწყვეტა თავდაპირველ მხარეებს შორის არ შეიძლება გახდეს საფუძველი საქმის შეწყვეტის მესამე პირის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირი წარადგენს დამოუკიდებელ მოთხოვნას ხდება ორი პროცესის გაერთიანება. ერთი, თავდაპირველ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის და მეორე, მესამე პირებსა და თავდაპირველ მხარეებს შორის. მესამე პირის მიერ წარმოდგენილი დამოუკიდებელი სარჩელი, განიხილება თავდაპირველ სარჩელთან ერთად, ვინაიდან აქვს ამ დავასთან საერთო საგანი.

გაერთიანება ასეთი ახლოს მდგომი სასარჩელო მოთხოვნების უზრუნველყოფს პროცესის ეკონომიას და სწრაფ მართლმსაჯულებას. ყველა მტკიცებულება სადავო საგანთან დაკავშირებით გაერთიანებულია ერთ წარმოებაში, რაც ზოგავს სასამართლოს დროს და ამცირებს მხარეთა სასამართლო ხარჯებს. ასეთი გაერთიანების მეშვეობით გამოდის მხოლოდ ერთი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს იურიდიული ურთიერთობების არსებობას დავის მონაწილეებს შორის.

მესამე პირი, როგორც აღვნიშნეთ სასამართლოში წარადგენს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე. თუმცა მას ამის გაკეთება შეუძლია მოგვიანებითაც, როდესაც დასრულდება პროცესი თავდაპირველ მხარეებს შორის, ის წარუდგენს სარჩელს ან ერთ ან ორივე მხარეს. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს შესაძლებელია ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილებების მიღება. ერთი და იგივე ნივთი, რომელიც წარმოადგენს

დავის საგანს, შეიძლება სასამართლომ მიაკუთვნოს თავდაპირველ მხარეთაგან რომელიმეს. ამ შემთხვევაში დიდია საფრთხე იმისა, რომ თავდაპირველ მხარეთაგან რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით მიეკუთვნა დავის საგანი, არ დააზიანებს, არ გაასხვისებს ან თუნდაც იმგვარად არ შეცვლის სადავო საგნის ნიშან-თვისებას, რომ მესამე პირისათვის დავა დაკარგავს მნიშვნელობას, ან გართულდება ამ ნივთის ამოღება და ა. შ.

სასამართლო ვერ ჩააბამს პროცესში მესამე პირს თავისი ინიციატივით. ანუ მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით საქმეში შედის მხოლოდ თავისი ინიციატივით. რა თქმა უნდა სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც იმართება მხარეებს შორის შესაძლოა შეუმჩნეველი დარჩეს სხვა დაინტერესებული პირისთვის. უფრო მეტიც, სადავო საგნის შესახებ დავის არსებობა, შეიძლება ხელს არ აძლევდეს თავდაპირველ მხარეთაგან რომელიმეს ან ორივეს. ამიტომ თუ მოსამართლე საქმის განხილვის დროს დაადგენს, რომ სარჩელი შეეხება მესამე პირის ინტერესებს, მან უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მესამე პირს და განუმარტოს საქმეში მონაწილეობის უფლება. მესამე პირს საქმეში შეუძლია შევიდეს მხარეთა პაექრობის დაწყებამდე. მხარეთა პაექრობის დაწყების შემდეგ, როგორც ზემოთ ითქვა, მხარეს შეუძლია თავისი უფლებების დასაცავად აღძრას სარჩელი საერთო წესების დაცვით იმ მხარის წინააღმდეგ ვის სასარგებლოდაც გამოვიდა სასამართლო გადაწყვეტილება.

სსსკ-ის 88-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე იმისათვის, რომ მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ჩაებას საქმეში საჭიროა, რომ სამართალურთიერთობა წარმოშობილი თავდაპირველ მხარეებს შორის და სამართალურთიერთობა ერთ-ერთ ან ორივე მხარესა და მესამე პირს შორის მიმართული იყოს, სადავო ერთი და იმავე მატერიალურ საგანზე და არსებობდეს გარკვეული კავშირი ამ ურთიერთობებს შორის. მაგალითად: თავდაპირველი მხარეები დავობენ სასამართლოში. დავის საგანს წარმოადგენს საცხოვრებელი ბინა. მოსარჩელე ა. მიიჩნევს, რომ მას ეს ბინა ეკუთვნის, როგორც მემკვიდრეს, ვინაიდან წარმოადგენდა მისი გარდაცვლილი დედის ჯ. ბინას და სარჩელით მოითხოვა აღნიშნული ბინიდან ბ. გამოსახლება. ბ. თავის შესაგებელში მიუთითა, რომ ბინაში იმყოფებოდა კანონიერად, ვინაიდან მოსარჩელის დედასთან დადებული ჰქონდა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება და შესაბამისად ბინა მას ეკუთვნოდა. საქმეში შემოვიდა მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და განაცხადა, რომ ბინა მას ეკუთვნოდა, ვინაიდან მან ეს ბინა შეიძინა ჯ. სიცოცხლეში რამოდენიმე წლის წინ. შესაბამისად, მესამე პირი ითხოვდა ბინაზე მისი საკუთრების ცნობას და მოქალაქეების ა. და ბ. მოთხოვნას მიიჩნევდა უსაფუძვლოდ.

მოყვანილი მაგალითიდან ირკვევა, რომ მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შევიდა უკვე დაწყებულ პროცესში ა. და ბ. შორის და განაცხადა სადავო ბინაზე საკუთრების უფლების ცნობა. ეს უფლება თავისი

შინაარსით გამომდინარეობს განსხვავებული ურთიერთობიდან, მაგრამ მიმართულია იმავე მატერიალურ ობიექტზე, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებენ მხარეები.

სსსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით საქმეში შეიძლება ჩაებას მთავარ სხდომაზე მხარეთა მიერ პაექრობის დაწყებამდე. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ მესამე პირის პროცესში ჩაბმით ფაქტობრივად ხდება ორი პროცესის გაერთიანება. თავდაპირველ მხარეთა შორის არსებული პროცესის და მესამე პირსა და თავდაპირველ მხარეებს შორის. მესამე პირების მიერ წარდგენილი სარჩელი განიხილება თავდაპირველ სარჩელთან ერთად. ცალკე ამ სარჩელის განხილვა დაუშვებელია, რადგან აქვს ამ დავასთან საერთო საგანი. მხარეთა მიერ საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების შესახებ ცალკე თავში იქნება საუბარი. კანონმდებელმა მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ საპროცესო უფლებები განხორციელდეს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიზნების შესაბამისად და მისი გამოყენებით არ შეილახოს კანონით დაცული ინტერესები. მესამე პირის პროცესში შესვლა მთავარ სხდომაზე ყოველთვის დაკავშირებული იქნება სხდომის გადადებასთან. ეს თავის მხრივ გააჭიანურებს სამართალწარმოებას, რადგან მესამე პირების საქმეში შემოსვლას უნდა მოჰყვეს დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა და გამოკვლევა. შესაძლებელია პირს ეს მიზანი იმთავითვე ამოძრავებდეს. მითუმეტეს, როცა იცის, რომ მას შეუძლია არ იჩქაროს მხარეთა პაექრობის დაწყებამდე და მხოლოდ შემდეგ განაცხადოს თავისი უფლება დავის საგანზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ არ მოხდეს პროცესის გაჭიანურება, რაც ხელს შეუშლის დროული სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, მხარდასაჭერია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ უმჯობესია დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის შესვლა პროცესში საქმის მომზადების სტადიაზე მოხდეს.³⁸

სხვა შემთხვევაში, პირს უფლება აქვს პროცესის დამთავრების შემდეგ აღძრას სარჩელი თავდაპირველი მხარეების, ან ერთ-ერთი მხარის მიმართ საერთო წესის საფუძველზე.

³⁸(იხ.ციტირება) ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. დასახელებული ნაშრომი გვ.180.

1.6. მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე

მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე. მისი მონაწილეობის ინტერესი სამოქალაქო პროცესში განპირობებულია საქმის გადაწყვეტით იმ მხარის სასარგებლოდ, რომელ მხარეზეც ის გამოდის პროცესში. როგორც ვიცით, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირები პროცესში შედიან მხოლოდ საკუთარი ინიციატივით, რაც შეეხება დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირებს სამოქალაქო სამართალწარმოებაში ისინი დაიშვებიან საკუთარი ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.(სსსკ-ის 89-ე მ.).

დავის საგანზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირი არ უნდა აგვერიოს თანამონაწილეებში (თანამოსარჩელე და თანამოპასუხე). მათი პროცესში მონაწილეობის საფუძველი მსგავსად სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირებისა არის ის, რომ გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენა მოახდინოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. განსხვავებით ამ კატეგორიის მესამე პირებისაგან თანამონაწილეები არიან სადავო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები. მაშასადამე, თანამოპასუხეც ისევე აგებს პასუხს მოსარჩელის წინაშე, როგორც ჩვეულებრივი მოპასუხე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში თანამონაწილეების დეფინიციას ვერ ვხდებით. თუმცა ამ კოდექსის 87-ე მუხლის პირველ ნაწილში ვკითხულობთ, რომ: თანამონაწილენი სარგებლობენ ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომელიც ამ კოდექსის თანახმად მინიჭებული აქვთ მხარეებს.

„თანამონაწილეები (თანამოსარჩელეები, თანამოპასუხეები) არიან მხარეები, რომლებიც იცავენ თავიანთ უფლებებს და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს. ამიტომ ისინი სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რა უფლებებიც აქვთ მხარეებს.“³⁹

„მესამე პირის მიერ ან ერთ-ერთი მხარის მიერ მოტივირებული განცხადებით სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში, მესამე პირად დაშვების საკითხს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით წყვეტს სასამართლო. „სასამართლომ თავად უნდა განჭვრიტოს, აქვს თუ არა ასეთ მესამე პირს იურიდიული ინტერესი, ე. ი. მოახდენს თუ არა ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება გავლენას მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ“.⁴⁰

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირთა პროცესში დაშვება სასამართლოს განჩინებით (სსსკ-ის 90-ე მ.). ემსახურება ამ პირთა იურიდიულ ინტერესს სხვის პროცესში. ეს არის შემთხვევები,

³⁹თ. ლილუაშვილი ვ. ხრუსტალი დასახელებული ნაშრომი. გვ.166.

⁴⁰ იქვე, გვ.171.

როდესაც მესამე პირი იმყოფება მოსარჩელესთან ან მოპასუხესთან ისეთ ურთიერთობაში, რომ სასამართლო გადაწყვეტილებამ შეიძლება იქონიოს პრეიუდიციული, წინასწარ გადაწყვეტი მნიშვნელობა სადაო სამართალურთიერთობის მესამე პირსა და პროცესში ჩაბმულ ერთ-ერთ მხარეს შორის. ასეთი მონაწილეობა მესამე პირის მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს საფუძველი რეგრესის წესით სარჩელის აღძვრის, იმ მხარის მიერ ვის წინააღმდეგაც გამოვიდა გადაწყვეტილება, მესამე პირის მიმართ, ვის მხარეზეც ეს უკანასკნელი გამოდიოდა პროცესში. სხვა სიტყვებით, თავისი მონაწილეობით მესამე პირი ცდილობს თავიდან აიცილოს რეგრესული სარჩელი ანუ ის იცავს თავის ინტერესებს.

„მაშასადამე მესამე პირებს პროცესში შეიძლება ჰქონდეთ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა და შეიძლება ასეთი მოთხოვნა არ ჰქონდეთ, მაგრამ დაინტერესებული იყვნენ რომელიმე მხარის, მოსარჩელის ან მოპასუხის სასარგებლოდ, რამდენადაც მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას მოახდენს მის ინტერესებზე.“⁴¹

გარდა იმისა, რომ მესამე პირი იცავს თავის კანონიერ ინტერესებს, რეგრესული პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად იგი ეხმარება მხარეს, ვისთანაც მას აკავშირებს ამ პროცესში სამართალურთიერთობა, მიაღწიოს მისთვის სასურველ სასამართლო გადაწყვეტილებას.

მაგალითად: სტუმრად ჩასულმა საკალათბურთო გუნდმა „ა.“ კადეტებში, წარადგინა სარჩელი სასამართლოში სპორტ-კომპლექსის „მ.“ წინააღმდეგ, თავისი აღსაზრდელების სპორტული ჩანთების დაკარგვის გამო. მოგვიანებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო აღნიშნულ სპორტ-კომპლექსში გასახდელეების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ვინაიდან, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სპორტ-კომპლექსის ხელმძღვანელობას შეეძლო რეგრესის წესით სარჩელი აღედრა პასუხისმგებელ პირზე. საქმეში მონაწილე მესამე პირი მოწოდებულია ამ შემთხვევაში, საქმე გადაწყდეს მოპასუხის სასარგებლოდ. ამიტომ მან უნდა იაქტიუროს ამ მიმართულებით. ფაქტობრივად ამ შემთხვევაში, ის გამოდის რა დამხმარე როლში სპორტ-კომპლექსის, იცავს საკუთარ ინტერესებსაც. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მოპასუხისა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის ბედი ამ საქმიდან გამომდინარე ერთმანეთთან არის მჭიდრო კავშირში. გარდა ამისა, თუკი მესამე პირი პროცესში დაამტკიცებს, რომ ნივთები არ დაიკარგებოდა სპორტსმენებს მისი მითითებების თანახმად, რომ ემოქმედათ და გასახდელი ღია არ დაეტოვებინათ, ანუ ახსნის ჩანთების დაკარგვის მიზეზთან მის უბრალოებას, შესაძლოა ამან გამოიწვიოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე სასამართლოს მიერ უარის თქმა. ამასთან, ეს მას დაეხმარება თავის დაცვაში, თუკი მომავალში მოპასუხის მიერ მის წინააღმდეგ სარჩელი იქნება აღძრული.

⁴¹კობახიძე ა. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, სამოქალაქო პროცესის სუბიექტები, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2002, გვ. 74.

მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში მონაწილეობის, როგორც ვნახეთ არის იურიდიული ინტერესი.

სსსკ-ის 89-ე მუხლის თანახმად: ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი საქმეში მესამე პირად მოპასუხის ან მოსარჩელის მხარეზე.

მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირის პროცესში მონაწილეობის აუცილებელი ნიშანი უნდა იყოს სამართლებრივი ნიშნით განსაზღვრული და არა საკუთარი ხედვებიდან გამომდინარე ინტერესი. აქ საუბარია, რაღა თქმა უნდა, იურიდიულ ინტერესზე, რომელზეც შეიძლება რაიმემ იმოქმედოს, როდესაც გამოვა სასამართლო გადაწყვეტილება მოდავე მხარეებს შორის. ამიტომ მესამე პირების საქმეში შესვლა დაუშვებელია, თუკი ის ეფუძნება მხოლოდ პირად განწყობას ან მეგობრულ დამოკიდებულებას მხარესა და მესამე პირს შორის. სხვა სიტყვებით, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირის დაინტერესებას სხვის პროცესში შესვლით უნდა გააჩნდეს ობიექტური ხასიათი.

ამ კატეგორიის მესამე პირის პროცესში დაშვების საფუძველი, როგორც ზემოთ ითქვა, ხშირ შემთხვევაში არის ის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სარეგრესო სარჩელი. დაუშვებელია სასამართლოს მიერ მოხდეს ერთდროულად თავდაპირველი და რეგრესული სარჩელის განხილვა. დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირი არ წარმოადგენს მხარეს, შესაბამისად მის წინააღმდეგ სარჩელი ვერ იქნება წარდგენილი. რეგრესული სარჩელი წარედგინება პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულება უკვე შესრულებულია სათანადო პირის მიერ. წინასწარ მხარემ არც კი იცის რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო. სარეგრესო და თავდაპირველი სარჩელის საფუძველის ფაქტები თავისი ბუნებით სხვადასხვაა და მათი ერთდროულად განხილვა გაართულებდა და გააჭიანურებდა პროცესს.

„თუმცა, გარდა სარეგრესო სარჩელისა, ამ კატეგორიის მესამე პირების პროცესში დაშვების საფუძველი, შეიძლება იყოს იურიდიული ფაქტი. მაგალითად: პრაქტიკა დასაშვებად თვლის და ვფიქრობთ გამართლებულია საქმეში მესამე პირად იმ ბავშვის მშობელის ჩაბმა, რომელიც ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე იღებს ალიმენტს, რადგან ამ მშობლის სხვა ქორწინებაში დაბადებული ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინების დაკისრებამ შეიძლება გამოიწვიოს პირველი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ალიმენტის ოდენობის შემცირება.“⁴²

„ამ სახის მესამე პირების პროცესში მონაწილეობა უზრუნველყოფს საპროცესო ამოცანების გადაწყვეტას, კერძოდ: 1.მესამე პირად პროცესში

⁴² ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ. დასახელებული ნაშრომი გვ. 172.

ჩაბმულ პირთა მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესების დაცვას; 2. მხარეთათვის დახმარებას, რათა მათ დაიცვან თავიანთი უფლებები; 3. საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ და სრულად დადგენას; 4. სასამართლოს დროის ეკონომიას.“⁴³

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 91-ე მუხლის მიხედვით: „მესამე პირები, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე, სარგებლობენ მხარეთა საპროცესო უფლებებით და მათ ეკისრებათ მხარეთა საპროცესო მოვალეობები. გარდა უფლებისა გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულება.“

კანონმდებელმა მას არ მიანიჭა მთელი რიგი ის საპროცესო უფლებები, რომლებიც მხარეებს აქვთ. მართალია, ასეთი მესამე პირები სარგებლობენ მხარეთა ყველა საპროცესო უფლებებითა და მოვალეობებით, მაგრამ ასეთ მესამე პირებს არ გააჩნიათ განკარგვითი უფლებები. ე.ი. უფლებები, რომლებიც მიმართულია დავის ობიექტის განკარგვაზე.

სსსკ-ის 91-ე მუხლი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირის გასაჩივრების უფლებაზე არ საუბრობს. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტების შესახებ საუბარია სსსკ-ის 364-ე და 391-ე მუხლებში, ესენია მხარეები და მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. მაშასადამე სხვას, როგორც ნორმაში ვკითხულობთ ამის უფლება არ გააჩნიათ.

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად სცნო დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება. სასამართლო დავა ეხებოდა სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენას და მემკვიდრედ ცნობას. აღნიშნულ პროცესზე სარჩელი დაკმაყოფილდა და გაუქმდა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირისათვის სანოტარო წესით შედგენილი ჩუქების ხელშეკრულება. მესამე პირს განჩინებით უარი ეთქვა გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე, რაც შემდგომ მის მიერ გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში.

საკასაციო სასამართლოს მსჯელობიდან გამომდინარე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირს შეუძლია სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება, როდესაც ის პირდაპირ და უშუალოდ ეხება კანონით დაცულ მის უფლებებს.⁴⁴

“რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 320-ე მუხლის მიხედვით: პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები,

⁴³ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. დასახელებული ნაშრომი გვ. 186.

⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 28.05. 2007 წ. გადაწყვეტილება საქმეზე # 323-676-07

რომელიც ჯერ არ შესულა კანონიერ ძალაში შეიძლება გასაჩივრდეს მხარეთა და პროცესში მონაწილე პირთა მიერ.⁴⁵

“უკრაინის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლის მიხედვით: მხარეები და სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ საქმის განხილვაში და მათ შეეხოთ სასამართლო გადაწყვეტილება, უფლება აქვთ გაასაჩივრონ სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ.”⁴⁶

“ყაზახეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით: სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება ეკუთვნის მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს.”⁴⁷

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 66-ემუხლის მიხედვით: 1. პირი, რომელიც სხვა პირთა შორის დავაში იურიდიულად დაინტერესებულია ერთ-ერთი მხარის გამარჯვებით, შეუძლია შეუერთდეს ამ მხარეს მისი მხარდაჭერის მიზნით. 2. მესამე პირის პროცესში შესვლა შეიძლება ყველა ეტაპზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ამასთან, გასაჩივრების საშუალებების გამოყენების მიზნითაც.

მოცემული კოდექსის 70-ე მუხლი აწესრიგებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირის პროცესში შესვლის პროცედურებსაც:

თუკი მესამე პირის პროცესში შესვლა წარმოებს საპროცესო დოკუმენტების სასამართლოში წარდგენის გზით და იგი შეიცავს გასაჩივრების საპროცესო საშუალებების გამოყენებას, ასეთ დროს, ამ კატეგორიის მესამე პირმა პროცესში შესვლის დროს წერილობით ორივე მხარეს უნდა წარუდგინოს ეს მასალები. მასალებში მოყვანილი უნდა იყოს: 1. მხარეთა დასახელება და დავის დასახელება. 2. ამ კატეგორიის მესამე პირის ინტერესი. 3. გაცხადება პროცესში შესვლის.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ერთ-ერთ ავტორს, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მოჰყავს მაგალითები სხვადასხვა მკვლევარის მსჯელობებიდან. „მაგ: დ. კეკენაძე მართებულად მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირებს უნდა მიეცეთ სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება.“⁴⁸ „ყველა ქვეყნის კანონმდებლობა აღიარებს ამ უფლებას და მესამე პირებს, რომელთაც აქვთ საპროცესო და მატერიალური ინტერესები, არ შეიძლება აეკრძალოთ სააპელაციო გასაჩივრების უფლება. იგი გადაჭრით მიუთითებს, რომ აპელაციის სუბიექტები არიან მხარეები (მოსარჩელე,

⁴⁵ <Base. Garant.ru.> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 24.04.19.]

⁴⁶ <Meget.kiev.ua/kodeks/gpk/> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 24.04.19]

⁴⁷ < Online.zakon.kz/document> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 24.04.16.]

⁴⁸ კეკენაძე დ. ჟურნ. „სამართალი“, 2002, #9-10, გვ. 36, იხ. ვარდიამილი, ს. „დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირები სამოქალაქო პროცესში“, „ჟურნალი „სამართალი“, #7-9, 2004, გვ. 32-36,

მოპასუხე) და მესამე პირები, როგორც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ასევე ამ მოთხოვნის გარეშე.⁴⁹

აღნიშნული ავტორი თავადაც მხარს უჭერს, რომ მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე უნდა ჰქონდეთ გასაჩივრების უფლება, მაგრამ ძნელია ბოლომდე დაეთანხმო მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ: „ახალი კოდექსის, 364-ე და 391-ე მუხლები, კი დაკონკრეტებით შეიცავენ მითითებებს მესამე პირებზე და მხოლოდ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირებს აღიარებენ აპელანტებად და კასატორებად, თუმცა, ვფიქრობ, არც ეს ნიშნავს იმას, რომ მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ეზღუდებათ ეს უფლება, ვინაიდან 91-ე მუხლში დღემდე არანაირი ცვლილება არ შესულა და, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ამ მუხლის მიხედვით, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირებისათვის გასაჩივრების უფლება აღიარებულია.⁵⁰

სსსკ-ის 364-ე და 391-ე მუხლები, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების, გასაჩივრების უფლება აქვთ მხოლოდ მხარეებსა და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. სხვა სიტყვებით მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით არ ითვლება სააპელაციო და საკასაციო საჩივრის სუბიექტად. კანონში მკაფიოდ უნდა იყოს მოცემული თითოეული საპროცესო სუბიექტის უფლება-მოვალეობები, ვინაიდან ასეთმა ბუნდოვანებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ამ უფლება-მოვალეობების სწორად განხორციელებისთვის. საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებაზე სწორედ მაშინ გვაქვს საუბარი, როდესაც მხარე თუ მესამე პირი ამ უფლება-მოვალეობას იყენებს არადანიშნულებისამებრ, კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შინაარსის საწინააღმდეგოთ. ზემოთ მოცემული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე ირკვევა, რომ მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, არა ყოველთვის, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში აქვთ გასაჩივრების უფლება.

ამრიგად, მათი უფლებების უკეთ განხორციელების და არასწორი გადაწყვეტილებების თავიდან აცილების მიზნით უმჯობესია სსსკ-ის 364 და 391-ე მუხლებიდან ამოღებულიყო სიტყვები: „დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით“ და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.

1. სსსკ-ის 364-ე მუხლი: სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა, რომელთა კანონიერ უფლებებს შეეხო სასამართლო

⁴⁹ Борисова Е. А. Апелляция в Гражданском и Арбитражном Процессе, М. 2000, Елисеев Г. Е. Гражданское Процессуальное Право Зарубежных Стран, Учебник, М., 2004 გვ. 409-415(მეორე გამოცემა). იხ. იქვე. დასახელებული ნაშრომი, ვარდიაშვილი ს.

⁵⁰(იხ. ციტირება) იხ. იქვე. ვარდიაშვილი ს. დასახელებული ნაშრომი.

გადაწყვეტილება შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

2. სსსკ-ის 391-ე მუხლი: სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა, რომელთა კანონიერ უფლებებს შეეხო სასამართლო გადაწყვეტილება, შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.

თავი 2. მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობები

2.1. მხარეთა თანასწორობა სამოქალაქო პროცესში

საპროცესო თანასწორობის პრინციპი ნიშნავს საქმეში მონაწილე პირთა თანაბარ შესაძლებლობას მიმართონ სასამართლოს დარღვეული უფლებების აღსადგენად და მონაწილეობა მიიღონ სასამართლო საქმის განხილვაში კანონის მიერ განმტკიცებული მოთხოვნების შესაბამისად.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7-8-ე მუხლების მიხედვით თითოეული ადამიანი უნდა ფლობდეს სრულ უფლებებსა და თავისუფლებებს აღიარებულს ამ დეკლარაციით. ყოველგვარი განსხვავების გარეშე ადამიანები არიან თანასწორი კანონის წინაშე და აქვთ უფლება თანასწორად იყვნენ დაცული კანონით. ყოველ ადამიანს უფლება აქვს ეფექტურად აღადგინოს კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებით უფლებები კონსტიტუციის ან კანონების მიერ მონიჭებული ძირითადი უფლებების დარღვევის შემთხვევაში.⁵¹

სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფცია მოიცავს „მხარეთა თანასწორობის“ პრინციპს. „მხარეთა თანასწორობის“ მოთხოვნა, მხარეებს შორის „სამართლიანი ბალანსის“ დაცვის მნიშვნელობით, ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე. (ფელდბრუგე ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ).⁵²

მხარეებს შორის „სამართლიანი ბალანსის“ შენარჩუნება გულისხმობს მხარეთა თანასწორობას, რომ თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს მისი საქმის, მათ შორის, მტკიცებულების წარმოდგენის გონივრული შესაძლებლობა ისეთ პირობებში, რომელიც მას მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არახელსაყრელ პირობებში არ ჩააყენებს. (Dombo beheer B.V. ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ & 33).⁵³

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2-5-ე მუხლების მიხედვით მართლმსაჯულება სამოქალაქო საქმეებზე ხორციელდება კანონისა

⁵¹ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე 1948 წელს 10 დეკემბერს, საქართველოში ძალაშია 1991 წლის 15 სექტემბრიდან. საქართველოს კანონები ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები. გამომცემლობა „მერედიანი“ თბილისი გვ. 382.

⁵² < Felldbrugge v. Netherlands, 29.05. 1986, & 44, Series A N 99> [უანასკნელდადმოწმებულ იქნა 25.05.2020].

⁵³ <Dombo beheer B.V. v. Netherlands, 27.10. 1993, & 33, Series A N 274> [უანასკნელდადმოწმებულ იქნა 25.05.2020].

და ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე, შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის წესების გამოყენებით.

„მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ბუნებიდან გამომდინარეობს. სამოქალაქო პროცესში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესის მქონე მხარე მონაწილეობს. მართლმსაჯულების ამოცანაა ამ ორ მხარეს შორის არსებული სამართლებრივი კონფლიქტის მოწესრიგება, დარღვეული უფლების აღდგენა. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ საქმის განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელმაც უნდა ცხადდეს თუ ვინ არის მართალი მოდავე მხარეთაგან.“⁵⁴

საპროცესო თანასწორობა არის პრინციპი, რომელიც აწესრიგებს მოსარჩელისა და მოპასუხის სამართლებრივ მდგომარეობას. ამ პრინციპის დარღვევა ვლინდება, როდესაც ერთ-ერთი მხარე მეორესთან იმყოფება აშკარად არახელსაყრელ მდგომარეობაში, მაგ:

მოპასუხე მხარე შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი უპირატესობით სარგებლობდა. სამართალწარმოებაში იკავებდა დომინანტურ პოზიციას და სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მიმართებით მას დიდი გავლენა ჰქონდა (ივონი საფრანგეთის წინააღმდეგ).⁵⁵

მოპასუხე მხარე, დაკავებული პოზიციიდან ან დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე უპირატესობით სარგებლობდა და სასამართლო, შესაბამისი დოკუმენტების ან მოწმეთა ჩვენებების გადაუცემლობით, მეორე მხარეს ურთულებდა მის წინააღმდეგ დავას (*De Haes and Gijssels ბელგიის წინააღმდეგ*, §§ 54 და 58)⁵⁶

საპროცესო უფლება-მოვალეობებს, რომელიც აქვთ მხარეებს, აქვთ თავიანთი სპეციფიკური ნიშნები იმის მიხედვით ვის მიეკუთვნებიან ისინი მოსარჩელეს თუ მოპასუხეს. ვინაიდან მოსარჩელე და მოპასუხე არიან მხარეები მატერიალურ-სამართლებრივი დავის, ისინი სარგებლობენ თანაბარი უფლებებით პროცესში. პროცესში თანასაწორობა განპირობებულია სამოქალაქო საპროცესო ფორმის დემოკრატიულობით. კანონი განსაზღვრავს, რომელმა მხარემ რა უნდა დაამტკიცოს. ვის ეკისრება მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენის მოვალეობა. რომელი ფაქტები არ საჭიროებენ მტკიცებას, როგორ ხდება მტკიცებულებათა შეგროვება და როგორია მტკიცებულებათა შეფასების წესი და ა. შ.⁵⁷

ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: საპროცესო სამართლებრივი უფლება გამოყენებული უნდა იქნეს

⁵⁴ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. დასახელებული ნაშრომი, გვ.98.

⁵⁵ <Yvon v. France, N44962/98 &37, ECHR 2003-v> [უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 25.05.2020].

⁵⁶ <De Haes and Gijssels v. Belgium, 24.02 1997, § 54 და 58, Reports of Judgments and Decisions 1997-I;> [უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 25.05.2020].

⁵⁷ საყვარელიძე კ. მხარეთა საპროცესო უფლება-მოვალეობები მტკიცებულებათა წარდგენის დროს სამოქალაქო პროცესში „მართლმსაჯულება და კანონი“. #1(49) გვ. 92.

მართლზომიერად და კეთილსინდისიერად. სასამართლო საქმეს განიხილავს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით. მხარის მიმართ რაიმე შეღავათის გავრცელებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მეორე მხარის ინტერესები. სასამართლომ მხარეთა ინტერესების და მხარეთა თანასწორობის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს საკითხი, რათა დაუსაბუთებლად არ შეილახოს მხარის უფლებები.⁵⁸

“ის, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით, ეს არ ნიშნავს, რომ მხარეებს აქვთ ზუსტად ერთნაირი საპროცესო უფლებები. მხარეთა თანასწორობა პროცესში ნიშნავს მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას გამოიყენონ საპროცესო საშუალებები დასახული მიზნის მისაღწევად. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მკვლევარი წერდა, რომ მხარეები თანასწორუფლებიანი მონაწილეები არიან სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის. მათზე ვრცელდება ერთი და იგივე სასამართლო პროცედურები. იურიდიულად მხარეებს აქვთ ერთნაირი წვდომა უფლებამოვალეობის სასამართლო წესით დაცვაზე. აქვთ თანაბარი საპროცესო შესაძლებლობები ყველა სასამართლო ინსტანციაში. აღინიშნება მხოლოდ ის იურიდიული განსხვავებები, რომელიც ასახავს საპროცესო ფუნქციას მხარეების და გათვალისწინებულია კანონით. რა თქმა უნდა მხარეები მხოლოდ იურიდიულად, საპროცესო თვალსაზრისით არიან თანასწორი, მაგრამ ართანაბარი ძალის. მათი რეალური მდგომარეობა, სტატუსი ამა თუ იმ მხარის ერთმანეთისაგან განსხვავდება და ამგვარი რეალური უთანასწორობის წინაშე სასამართლო ინსტრუმენტები უძლურია. მხარეებს აქვთ თანაბარი საპროცესო შესაძლებლობები გამომდინარე თანასწორობის პრინციპიდან და არსებობს კორელაცია მათ საპროცესო მოქმედებებს შორის.”⁵⁹

ამრიგად, მოსარჩელე და მოპასუხე კანონმდებელმა აღჭურვა განსაზღვრული უფლებებით, რომელიც არ შეიძლება ეკუთვნოდეს მოწინააღმდეგე მხარეს. მაგალითად: მოსარჩელეს აქვს უფლება უარი თქვას სარჩელზე ან შეცვალოს სარჩელის საგანი და საფუძველი. მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი, ან აღძრას შეგებებული სარჩელი და ა. შ. მოსარჩელეს აქვს საპროცესო უფლებები და მოვალეობები, ასე ვთქვათ, შემტევითი, აქტიური ხასიათის, მოპასუხეს-დაცვითი ხასიათის. ამრიგად, უფლება-მოვალეობები განაწილებულია მიზნის მიხედვით და მათი ამგვარი თანასწორობა, შესაძლებლობას იძლევა მხარეებს ჰქონდეთ თანაბარი საპროცესო მდგომარეობა სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს სასამართლოში.

⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 მაისის განჩინება საქმეზე # ას-496-2019..

⁵⁹ (იხ.ციტირება). Мурадян Е. М. Судебное Право, изд-“Проспект“ М., 2003, გვ. 59.

2.2. მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლებები

უფლება-მოვალეობები, რომელსაც მხარეები იყენებენ სამოქალაქო პროცესში არაერთგვაროვანია. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმ მიზნის მიხედვით, რომელსაც მხარეს კონკრეტულ შემთხვევაში სურს მიაღწიოს.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში, როდესაც მხარის მოქმედებები შესაბამისობაში მოდის საპროცესო უფლება-მოვალეობების ნორმებთან ვამოხმობ, რომ მხარე მოქმედებს საპროცესო სამართლის ფარგლებში. როგორ შეიძლება შეფასდეს მხარის მოქმედება, როდესაც ის ამ უფლება-მოვალეობების განხორციელების დროს არღვევს მეორე მხარის უფლებებს და საერთოდ წინააღმდეგობაშია სამართალწარმოების მიზნებთან? საინტერესოა სად გადის ზღვარი ამ უფლება-მოვალეობათა კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ, ანუ ბოროტად გამოყენებას შორის.

„კეთილსინდისიერების პრინციპს დიდი მნიშვნელობა აქვს: ა) მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების დადგენის დროს (ხელშეკრულების დადების თაობაზე მოლაპარაკების წარმოების დროს და ა. შ.); ბ) უფლებებისა და მოვალეობების შექმნის დროს; გ) უფლებების განხორციელების და ვალდებულებათა შესრულების დროს; დ) უფლებათა დაცვის დროს.“⁶⁰

“სამოქალაქო საპროცესო უფლება არის სამოქალაქო პროცესის მონაწილის თავისუფლად მოქმედების საშუალება, რომლის ფარგლები განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. ასეთი დასაშვებობა დგინდება ობიექტური სამართლის ნორმის ფარგლებით და წარმოადგენს პროცესის მონაწილის ინტერესების დაკმაყოფილების უზრუნველყოფას. ამასთან პირის საპროცესო უფლება ხორციელდება პირის მიერ თავისი ნებით საკუთარი ინტერესების შესაბამისად. პროცესის მონაწილეს არ შეიძლება იძულებით დაეკისროს საკუთარი უფლებების განხორციელება. პროცესის მონაწილის მიერ საპროცესო უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვისი უფლებები. საპროცესო უფლებები პროცესის მონაწილეს საშუალებას აძლევს არა მხოლოდ თვითონ იმოქმედოს საპროცესო ნორმის ფარგლებში, არამედ მოსთხოვოს სასამართლოს პროცესის სხვა მონაწილეს შეასრულოს გარკვეული მოქმედებები.“⁶¹

⁶⁰ ხუნაშვილი ნ. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, გამომცემლობა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2016, გვ.11.

⁶¹ Юдин А., В., Злоупотребление Процессуальными Правами в Гражданском Судопроизводстве, Дисерт. на Соискание Докт. Юрид. Наук, Санкт-Петербург, 2009, გვ. 144-145.<dissertCat-Электронная библиотека диссертаций>[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.01.21].

“მხარეთა საპროცესო უფლებებისა და მხრეთა საპროცესო მოვალეობების ბოროტად გამოყენების შესწავლა ხაზს უსვამს გარემოებას, რომ ეს მოვლენები ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებენ. ისინი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. იმისათვის, რომ უფლება გამოყენებული იქნას ბოროტად ცხადია უნდა არსებობდეს თავად უფლება. ამ უფლების განხორციელება არასწორად, მაშასადამე სამოქალაქო საპროცესო მიზნების საწინააღმდეგოდ, როდესაც სუბიექტის მოქმედება მიმართულია სამოქალაქო პროცესში დამკვიდრებული პრინციპებისათვის მიუღებელი მოქმედებების შესასრულებლად, ართმევს საპროცესო უფლებებს იმ ძირითად ღირებულებებს, რისთვისაც მოწოდებულია საპროცესო უფლება. კერძოდ, კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე დადგეს დროული და სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილება. მხარის სამოქალაქო საპროცესო უფლება თავის თავში შეიცავს ერთი მხრივ შესაძლებლობას უფლების ბოროტად გამოყენების და მეორე მხრივ, ამგვარი არაკეთილსინდისიერი მოქმედებისაგან დაცვის საშუალებას. საპროცესო უფლება, გულისხმობს უფლებამოსილი პირის მოქმედების შესაძლებლობას, რაც გამოიხატება მასში, რომ ეს პირი თავად წყვეტს მისი უფლების ბედს. უფლების გამოყენება არის მხოლოდ ამ უფლებამოსილი პირის პრეროგატივა, რომელიც მოქმედებს დამოუკიდებლად ვინმეს ჩაურევლად. ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ საპროცესო უფლება არის პირის თავისუფლების, ინიციატივისა და თვითმყოფადობის გარანტია.”⁶²

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერესები აქვთ, რაც წარმოადგენს დავის საგანს მათ შორის. მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობების პრობლემის შესწავლა და ასევე ანალიზი იურიდიულად მნიშვნელოვანი ურთიერთობების, რასაც ადგილი აქვს პროცესის მსვლელობის დროს, წარმოადგენს ქვაკუთხედს ამ ურთიერთობების მონაწილეების სტატუსის განსასაზღვრად. მხარეთა ცნების არსი გვეხმარება გავითავისოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მუხლები, რომლებშიც საუბარია მოსარჩელის უფლებაზე უარი თქვას სარჩელზე. მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი და მხარეებმა საქმე დაამთავრონ მორიგებით. უფლება, განკარგოს მატერიალურ სამართლებრივი დავის საგანი, შეიძლება ეკუთნოდეს მხოლოდ მის მფლობელს.

მოსარჩელისა და მოპასუხის უფლება-მოვალეობები შექმნილი და გარანტირებულია შესასრულებლად სახელმწიფოს მიერ. სწორედ ამ მოქმედების შესაძლებლობა გამიჯნავს მხარეებს, მოსარჩელესა და მოპასუხეს და მათ საპროცესო უფლება-მოვალეობებს ერთმანეთისაგან.

⁶² Алексеев С. С. Общая Теория Права Т. 2. М., изд-„Госюриздат“ 1982, გვ. 115

“საპროცესო უფლებების ერთობლიობა სტრუქტურული აგებულების მიხედვით, შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი შემადგენელი ელემენტებით: 1) პირის უფლება საკუთარი მოქმედებებით ან უმოქმედობით მოახდინოს რეალიზაცია საკუთარი სამოქალაქო უფლებების. 2). უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს საკუთარი სამოქალაქო უფლებების დაცვა. 3) თვითდაცვის უფლება. 4). მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში უფლება მიმართოს არასახელმწიფო იურისდიქციის ორგანოებს (არბიტრაჟი, მედიაცია) დავის გადასაწყვეტად. 5.) პირის უფლება მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს სამოქალაქო უფლებების დარღვევის დროს. 6). უფლება მიმართოს საერთო იურისდიქციის სასამართლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს დარღვეული უფლების დასაცავად. ავტორის აზრით პირს უფლება მიმართოს ამა თუ იმ ორგანოს ენიჭება იმის მიხედვით თუ რომელი მისი უფლება იქნა დარღვეული.“⁶³

სამოქალაქო უფლებებში მოცემული იურიდიული შესაძლებლობები გამოიხატება უპირველესად გარკვეულ მოქმედებებში, რომელიც ზის კანონიერების და სამართლებრივი დასაშვებობის ფარგლებში, რაც აუცილებელი პირობაა უფლების არსებობისათვის. შესაძლებლობა ნიშნავს კონკრეტული მიზნის მიღწევის საშუალებას საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ მოცემული უფლების ფარგლებში. ამ ფარგლებში კანონი პირს აძლევს მოქმედების საშუალებას უფლების სახით და ამასთან უფლება, რომელიც ეკუთვნის კონკრეტულ პირს, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პირმა იმოქმედოს დამოუკიდებლად პირადი ინტერესების შესაბამისად, ისე, რომ არ დაარღვიოს სხვა პირთა უფლებები.

უფლების შინაარსისათვის დამახასიათებელი პირობაა მოქმედების ფარგლები, რომელიც უზრუნველყოფილია არა მარტო კანონით, არამედ სხვა პირთა მოვალეობებით. სამართალურთიერთობის მონაწილეთა მოქმედების შესაძლებლობა ეფუძნება შესატყვის იურიდიულ მოვალეობებს სხვა პირთა მხრიდან. ამის გარეშე შეუძლებელია უფლების არსებობა.

სამართლის თეორიის ქართველი მკვლევარის მიხედვით: „უფლება არის სამართლის ნორმით განსაზღვრული მოქმედების ზომა, მასშტაბი, საზღვარი ანუ სამართლის ნორმით განსაზღვრული პირის იურიდიული შესაძლებლობა.“⁶⁴

ამასთან, ავტორი პირის უფლებას ყოფს ორ ნაწილად: უფლება, როგორც სამართლის ნორმით განსაზღვრული პირის იურიდიული შესაძლებლობა, ორი სახისაა: აბსოლუტური და შეფარდებითი. აბსოლუტური უფლება არის სუბიექტის იურიდიული შესაძლებლობა, როგორც საკუთარ აქტიურ მოქმედებაზე, ასევე იურიდიული შესაძლებლობა მოსთხოვოს მეორე სუბიექტს აქტიური მოქმედება.

„შეფარდებითი უფლება, როგორც პირის სამართლებრივი შესაძლებლობა, გულისხმობს უფლებას სამართლებრივი ურთიერთობის

⁶³ Бабилин Е. Б. Недарустимость Ненадлежащего Осуществления Субъективных Гражданских Прав, изд. Тольяттского ун-та, 2004, гл. 247-248.

⁶⁴ სავანელი ბ. თანამედროვე სამართლის თეორია, მესამე გამოცემა, თბილისი, 2004, გვ.97.

მხოლოდ მეორე მონაწილის აქტიურ მოქმედებაზე, ანუ უფლებას მოსთხოვოს მეორე პირს აქტიურობა პირველი პირის სასარგებლოდ. მოცემულ შემთხვევაში უფლებამოსილი პირის ინტერესების დაკმაყოფილება არა იმდენად მის აქტიურ მოქმედებაზეა დამოკიდებული, რამდენადაც მეორე პირის მოქმედებაზე, ანუ მისი უფლება შეეფარდება მეორე პირის მოვალეობას.⁶⁵

მაშასადამე, იურიდიული არსი ნებისმიერი უფლებისა მდგომარეობს იმაში, რომ უფლებამოსილ პირს ეძლევა საშუალება გამოავლინოს თავისი ნება და ინიციატივა მიაღწიოს ვალდებული პირის მხრიდან გარკვეული მოქმედების შესრულებას. მოთხოვნის უფლება ქმნის ამოსავალს ნებისმიერი დანარჩენი სამართალურთიერთობისათვის. უფლება შეიძლება გამოხატული იყოს მოთხოვნით ვალდებული პირების მიმართ, როგორც აქტიური, ისე პასიური მოქმედების შესასრულებლად. პირი აცნობიერებს, რომ აქვს მოქმედების არჩევანის შესაძლებლობა სხვადასხვა შესაძლებლობებიდან იმისათვის, რომ დაცული იყოს მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე პირის უფლება არის კანონით განმტკიცებული და უზრუნველყოფილი შესაძლებლობა, თავისი შეხედულებით განახორციელოს მოქმედება საკუთარი ინტერესების დასაცავად.

არსებობს ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული შეხედულებები სამოქალაქო საპროცესო სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ის, რომ სამოქალაქო საპროცესო უფლებები ნებისმიერ შემთხვევაში მოიაზრება მოცემული ურთიერთობის შემადგენელ ელემენტად.

“პროცესუალისტების ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების შინაარსი მოიცავს საპროცესო უფლებებსა და მოვალეობებს პროცესის მონაწილეებსა და სასამართლოს შორის. სხვა პროცესუალისტები, სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებს უყურებენ საპროცესო მოქმედებებში, რომელსაც ახორციელებენ ამ ურთიერთობის მონაწილეები. მესამე ჯგუფი, სწავლული პროცესუალისტების თვლის, რომ საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობების შინაარსი მოიცავს, როგორც უფლებასა და მოვალეობას საპროცესო სამართალურთიერთობის მონაწილეების, ისე საპროცესო მოქმედებებს მათი რეალიზაციისათვის.”⁶⁶

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული აზრის თანახმად: „სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკურობა ისაა, რომ ისინი სამართლის ნორმის საფუძველზე, მათი განხორციელების შედეგად წარმოიშვებიან.”⁶⁷ ავტორი სხვადასხვა მეცნიერის მიერ გამოთქმულ მოსაზრების საფუძველზე აკეთებს დასკვნას:

⁶⁵ იქვე. იხ. სავანელი, ბ. გვ. 97.

⁶⁶ Афанасьев С. Ф. Зайцев А. И. Гражданский Процесс., изд.-ЮРАЙТ, М. 2017, გვ. 111.

⁶⁷ ინწკირველი გ. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 1997წ, 158-159 გვ.

„მიუხედავად აზრთა ამგვარი სხვადასხვაობისა და თეორიული ხასიათის დავისა, რომელიც ზოგჯერ წმინდა თეორიულ ხასიათს ატარებს, არავინ არ უარყოფს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა არ შეიძლება არსებობდეს სამართლის ნორმის გარეშე და რომ ეს ურთიერთობანი მხოლოდ სამართლის ნორმის საფუძველზე მისი განხორციელების შედეგად წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობების შემდეგი სპეციფიკური თავისებურება ისაა, რომ მისი მონაწილენი გამოდიან სამართლის ნორმებით დადგენილ უფლებათა და მოვალეობათა მატარებლად. უფლებებისა და მოვალეობების დაწესებით სამართლის ნორმა ზემოქმედებას ახდენს ცალკეულ პირებზე და სწორედ ამ უფლება-მოვალეობათა არსებობის გამო, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ, მყარდება იურიდიული, ანუ სამართლებრივი ურთიერთობა ცალკეულ პირთა შორის.“⁶⁸

საპროცესო უფლებები დგინდება მხოლოდ კანონით. სასამართლო არ არის უფლებამოსილი მიანიჭოს მხარეს, რომელიმე იმ უფლებათაგანი, რაც გათვალისწინებული არ არის კანონით. სამოქალაქო საპროცესო უფლება წარმოადგენს შესაძლებლობას წარმოშობილს საპროცესო ნორმებიდან, რომლის ძალითაც ურთიერთობის სუბიექტი განსაზღვრავს თავის მოქმედებას, რაც აუცილებელია საკუთარი ინტერესების დასაცავად იმისათვის, რომ მან შესძლოს დაიცვას პირადი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები. შეასრულოს საპროცესო მოქმედებები, როგორც კონკრეტულმა სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის სუბიექტმა, ისარგებლოს შესაძლებლობით, მოსთხოვოს სასამართლოს მისთვის კანონით მოცემული მოვალეობის შესრულება.

პირის მოქმედება სასამართლო პროცესზე ატარებს საპროცესო ხასიათს და სამოქალაქო საპროცესო უფლება, წარმოადგენს შესაძლებლობას, წარმოშობილს საპროცესო კანონმდებლობიდან, სადაც სუბიექტი თვითონ განსაზღვრავს, როგორ იმოქმედოს საკუთარი ინტერესების დასაცავად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ: მხარის სამოქალაქო საპროცესო უფლება არის სამოქალაქო საპროცესო ნორმებით გამყარებული, მხარის მიერ მოქმედების განხორციელების საშუალება, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია სხვა პირთა მხრიდან საპროცესო მოვალეობებით.

⁶⁸ იქვე. გვ. 158-159.

2.3. მხარეთა სამოქალაქო საპროცესო მოვალეობები

მხარეებს უფლებებთან ერთად კანონმდებლობა აკისრებს მოვალეობებს. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო რეგულირების მიზნით, სამოქალაქო საპროცესო მოვალეობებს, საქმის განხილვის დროს ენიჭება დიდი მნიშვნელობა, საპროცესო კანონში ვერსად ვერ ვნახულობთ სამოქალაქო საპროცესო მოვალეობის განმარტებას.

ერთიანი ტერმინი განმსაზღვრელი სამოქალაქო საპროცესო მოვალეობების კანონში არ არსებობს. კანონში ვხვდებით სიტყვებს-უნდა, ან ვალდებულია და ა. შ. ამ ტერმინების ანალიზი იძლევა საშუალებას დასკვნისთვის, როგორ უნდა მოიქცეს პირი ამა თუ იმ სიტუაციაში და რისი გაკეთებისგან შეიკავოს თავი.

სამოქალაქო საპროცესო მოვალეობა წარმოადგენს საპროცესო ურთიერთობების აუცილებელ ელემენტს, რომლის გარეშე საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა ვერ იქნება სრულყოფილი.

სამოქალაქო საპროცესო სამართალურ ურთიერთობაში თითოეულ მონაწილეს ერთდროულად აქვს, როგორც საპროცესო უფლებები, ისე მოვალეობები. მხარეებს თანაბარი მოცულობით აქვთ უფლებები და მათ თანაბარი მოცულობით აკისრიათ საპროცესო მოვალეობები.

სამართლის თეორიაში იურიდიულ მოვალეობასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები, რომელთა დაპირისპირება და ანალიზი საშუალებას მოგვცემს ჩამოვაყალიბოთ სამოქალაქო საპროცესო მოვალეობები, მაგალითად:

„მოვალეობა ეწოდება სამართლის სუბიექტის ისეთ სავალდებულო ქცევას (მოქმედებას ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას), რომელიც მან უნდა შეასრულოს უფლებამოსილი პირის მოთხოვნით, სამართლის ნორმის საფუძველზე.“⁶⁹

„იურიდიული მოვალეობა არის მოვალე პირისათვის მითითებული და სახელმწიფო იძულების შესაძლებლობით უზრუნველყოფილი აუცილებელი ქცევის ზომა (მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება), რომელსაც უნდა მოჰყვეს უფლებამოსილი პირის ინტერესების დაკმაყოფილება. ე. ი. მოვალეობა (ვალდებულება) არის სამართლის ნორმით განსაზღვრული ფიზიკური ან იურიდიული პირის აუცილებელი ქცევა, ზომა მასშტაბი, ანუ ვალდებულება, რომელიც გულისხმობს პირის მოქმედების სამართლებრივ აუცილებლობას.“⁷⁰

“იურიდიული მოვალეობები რეალიზდება ქმედების შედეგად. ამას ადასტურებს ყველა სწავლული პროცესუალისტი. ქმედება შეიძლება გამოვლინდეს მოქმედების ან უმოქმედობის ფორმით. სამართლებრივი

⁶⁹ ინწკირველი გ. დასახელებული ნაშრომი გვ. 168.

⁷⁰ სავანელი ბ. სამართლის თეორია, თბილისი 1993 წ. ლობჯანიძე, გ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, გამომცემლობა “ბონა კაუზა“ თბილისი, 2010, გვ. 355.

აკრძალვა, ესაა პირის მოვალეობა თავი შეიკავოს გარკვეული მოქმედებისაგან ანუ, ე.წ. პასიური მოვალეობა. აღნიშნულთან დაკავშირებით არ უნდა დავეთანხმეთ ერთ-ერთი მკვლევარის მოსაზრებას, რომლის თანახმად: იურიდიული მოვალეობა მოითხოვს არა უმოქმედობას, არამედ მოქმედებას და უმოქმედობით არ შეიძლება დადგეს საპროცესო მოქმედება.⁷¹

ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა გავიზიაროთ მოსაზრება, რომ: “ამკრძალავი ნორმები ადგენს პირთა მოვალეობებს თავი შეიკავონ გარკვეული მოქმედებებისაგან.”⁷²

ამრიგად, სწორედ ამ მოქმედებებისაგან თავშეკავება, ანუ უმოქმედობაა საპროცესო მოქმედება და საუბარი იმაზე, რომ უმოქმედობით საპროცესო მოქმედება შეუძლებელია, მცდარი მოსაზრებაა.

“საკითხი იმასთან დაკავშირებით, როგორი უნდა იყოს მოქმედება ვალდებული პირის, როგორც ჩანს, იხსნება სხვადასხვანაირად. თანახმად ერთი მოსაზრებისა, მოვალეობა-ესაა სავალდებულო მოქმედება. მეორე მოსაზრების თანახმად, საპროცესო მოვალეობა არის აუცილებელი მოქმედება, რომელსაც ახორციელებს პირი უფლებამოსილი სუბიექტის სასარგებლოდ. ლიტერატურაში არ არის მიღებული ერთიანი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რა არის უპირველესად დამახასიათებელი იურიდიულ მოვალეობისათვის სავალდებულო თუ აუცილებელი. არ არის ნათელი, იქნებ ადგილი აქვს ამ ტერმინებს შორის შინაარსის წინააღმდეგობრიობას ან ეს ტერმინები თავისი გაგებით თანხვედრია. იურიდიული მოვალეობები ადგენს საჭირო მოქმედების საზღვრებს. მოვალეობები არ შეიძლება არსებობდეს კონკრეტულობის გარეშე. კონკრეტული საპროცესო მოვალეობა წარმოიშობა, როდესაც სუბიექტი აცნობიერებს, რომ სხვა მოქმედების შესრულება შეუძლებელია, გარდა კანონით გაწერილი მოქმედებისა და ეს მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი ვალდებულებისადმი ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას. ამ გარემოებისათვის დამახასიათებელია გააზრება არამართლზომიერი მოქმედების, რაც დაკავშირებულია მოვალეობების შეუსრულებლობასთან. გააზრება იმისა, რომ ზედმიწევნით უნდა შეასრულო შენი მოვალეობა.”⁷³

სამართლის თეორიაში იურიდიული მოვალეობის შემდეგ ელემენტებს გამოყოფენ:

“-ვალდებულება შეასრულო გარკვეული მოქმედება, ან თავი შეიკავო მოქმედებისაგან, რომელიც არ არის ნებადართული კანონით.

-ვალდებულება მოვალე პირის, შეასრულოს აქტიური დადებითი მოქმედება უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ, კანონიერი მოთხოვნების შესაბამისად.

⁷¹ Малько А. В. Стимулы и Ограничения в Праве, М. Изд. LAMBERT, 2012. გვ. 97-98.

⁷² Юков М. К. Гражданское Процессуальное Право, Структура и Применение, Научные Труды, Свердловск, 1976 გვ. 76.

⁷³ Резниченко И. М. Основные Проблемы Психологии Гражданского Процесса, Учебное Пособие, изд.-ДВГУ. .Владивосток, 1978 გვ. 41.

-ვალდებულება მოვალე პირის, ითმინოს ის არასასურველი შედეგები, რომლებიც გამოწვეულია მისი არამართლობიერი მოქმედებით. ანუ მან უნდა აგოს პასუხი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის.

ვალდებულება, არ შეუშალოს ხელი კონტრაგენტს ისარგებლოს იმ სიკეთით, რისი უფლებაც მას გააჩნია.⁷⁴

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იურიდიული მოვალეობების საფუძველში დევს იურიდიულად გამყარებული ვალდებულება, რომელიც არსებობს ორი სახით: პასიური, ეს არის-ვალდებულება თავი შეიკავო რაიმე ქმედებისაგან და აქტიური-ვალდებულება, შეასრულო რაიმე მოქმედება.

“საპროცესო უფლება მოიცავს, საპროცესო კანონმდებლობისაგან სათანადოდ დასაშვებ ქცევის წესს. იურიდიული მოვალეობის შინაარსში შედის სავალდებულო ქცევის წესი. ანუ, სუბიექტს მიეწერება სათანადო ქცევის წესის შესრულება უფლებამოსილი პირის ინტერესების დასაკმაყოფილებლად. უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული მოვალეობა არის გარანტია უფლებამოსილი პირის ინტერესების განხორციელების. რაც შეეხება მოვალეობის განხორციელებას, ეს პროცესი იწყება, როცა შესაძლებელი და სათანადო მოქმედება იწყებს რეალურად განხორციელებას. ძირითადად უმრავლესობა სამართალურთიერთობის თავისი ბუნებით არის ასეთი. თითოეული მონაწილე ერთდროულად ფლობს უფლებასა და მოვალეობას. მხარეებს აქვთ თანაბარი უფლებამოსილება და ურთიერთვალდებულება ერთმანეთის მიმართ. მათი უფლება-მოვალეობები რეალიზდება ერთმანეთის მიერ. ასეთი კორელაცია არის ჩადებული სამართლებრივ ნორმაში, რომელიც ატარებს მავალდებულებელ ხასიათს.”⁷⁵

საზოგადოებრივ ურთიერთობებში იურიდიული მოვალეობების გარდა არსებობს სხვა მოვალეობებიც, ამიტომ უნდა გამოვყოთ ნიშნები, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ იურიდიული მოვალეობებისათვის.

იურიდიული მოვალეობა წარმოადგენს სავალდებულო ქცევას ანუ შესასრულებლად სავალდებულოა, რომელზეც უარის თქმა დაუშვებელია. მოვალეობის შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში დგება მხარისათვის არახელსაყრელი შედეგი. სხვა სიტყვებით სათანადო ქცევის წესის დარღვევა იწვევს იურიდიულ პასუხისმგებლობას.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში დადგენილი ქცევის წესი მხარეთათვის არის აუცილებლად შესასრულებელი. ყურადღებას იმსახურებს იმ ავტორების აზრი, რომლებიც საუბრობენ სახელმწიფო იძულების შესაძლებლობაზე სამოქალაქო საპროცესო მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მაგალითად: “სამოქალაქო საპროცესო მოვალეობები დგინდება უფლებამოსილი პირის ინტერესებისათვის და წარმოადგენს ვალდებულებას საპროცესო მოქმედებების შესასრულებლად, რაც უზრუნველყოფილია

⁷⁴ Матузов Н. И. Малко А. В. Теория Государства и Права, М. ИЗД. ЮРИСТ, 2001, гв. 227.

⁷⁵ იქვე, გვ. 228.

საბოლოო ჯამში სახელმწიფო იძულების გამოყენებით.⁷⁶ მოცემულ განსაზღვრებაში არ არის მოცემული, ვის მიერ დგინდება საპროცესო მოვალეობები. აღნიშნულია მხოლოდ სახელმწიფო იძულების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არასწორი გაგება მოცემული საკითხის.

აღნიშნულ პოზიციას ნაწილობრივ მხარს უჭერდა ერთ-ერთი ავტორი და წერდა, რომ: “სამოქალაქო საპროცესო მოვალეობები ეს არის პროცესის მონაწილის სავალდებულო ქცევის წესი დადგენილი სამოქალაქო საპროცესო კანონით და მისი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ იძულების ზომების გამოყენებით.”⁷⁷

იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით განსხვავებულ მოსაზრებებსაც. “მაგ: სამოქალაქო საპროცესო მოვალეობები განისაზღვრება, როგორც სამოქალაქო საპროცესო ნორმებით დადგენილი სავალდებულო ქცევა ვალდებულები პირის, რომლის დარღვევის შემთხვევაში გამოყენებული იქნება სამოქალაქო საპროცესო სანქციები.”⁷⁸

მაშინ, როდესაც არ არსებობს ერთიანი პოზიცია ამ საკითხზე, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მოსაზრება, რომ: “სამოქალაქო საპროცესო მოვალეობა არის სახე, ზომა და ხარისხი სავალდებულო და საზოგადოებრივად მოთხოვნადი სათანადო ქცევა სამოქალაქო საპროცესო სამართალურთიერთობის სუბიექტის, რომელიც არსებობს მხოლოდ საპროცესო სამართალურთიერთობების ჩარჩოებში. ეს უკანასკნელი რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო ნორმებით იმ მიზნით, რომ დაიცვას კანონით გარანტირებული სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების სუბიექტის უფლებები და თავისუფლებები შესაბამისად მათი სამართლებრივი სტატუსისა. ამ უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სახელისუფლებო, იმპერატიული ხასიათის სამოქალაქო საპროცესო ნორმებით, რომელთა სანქცია განისაზღვრება სასამართლოს მიერ.”⁷⁹

“თუკი სამართლებრივი ნორმის სტრუქტურას გადავხედავთ, გაგვახსენდება მისი ელემენტები: ჰიპოთეზა, დისპოზიცია და სანქცია. დისპოზიცია გამყარებულია სანქციით, რომლის ქვეშ იგულისხმება სახე და ზომა იურიდიული პასუხისმგებლობის. ეს პასუხისმგებლობა ეკისრება საპროცესო ურთიერთობის კონკრეტულ სუბიექტს. ამრიგად, არ შეიძლება ერთმანეთსაგან ძალიან შორი-შორს განვიხილოთ საპროცესო მოვალეობა

⁷⁶ (შეადარე)Гукасиан П. Е. Проблема в Советском Гражданском Судопроизводстве, приволожское книжное изд-во, саратов. 1970, გვ. 59.

⁷⁷ Мелников А. А. Теоретические Основы Пправасудия по Гражданским Делама, изд-Наука М., 1981, გვ. 232.

⁷⁸ Евстифеева Т. И. Гражданские Процессуальные Правоотношения, Автореф. Дисс. Канд. Юрид. Наук. Саратов, 2001, გვ. 15 <diccerCat-Электронная библиотека диссертаций> [უკანასკნელად შემოწმებულია 07.08.19.]

⁷⁹ Бабаков Б. А. Гражданская Процессуальная Обязанность, Автореф. Дисс. Канд. Юрид. Наук., Саратов, 1999, გვ. 22 <dslib.net/ библиотека диссертаций > [უკანასკნელად შემოწმებულია 07.08.19.]

საპროცესო სანქციისაგან. არც ის იქნება ზუსტი თუ ვიტყვით, რომ იურიდიული მოვალეობა უნდა აღვიქვამთ, როგორც სანქცია. საპროცესო მოვალეობაზე საუბრისას უნდა ვიცოდეთ, რომ მის არსებობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც მისი შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებულია გარკვეული პასუხისმგებლობა, რაც განსაზღვრულია ნორმის იმ ელემენტით, რომელსაც ეწოდება სანქცია. სხვა სიტყვებით სანქცია ამუშავდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საპროცესო სამართალურიერთობის სუბიექტი არ ასრულებს საპროცესო კანონით ან სასამართლოს დადგენილებით გათვალისწინებულ მოვალეობას.⁸⁰

განსაზღვრება იმის შესახებ, რომ სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებში კონკრეტული მოვალეობის შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებითი მექანიზმების გამოყენებით, სწორად უნდა იყოს გაგებული. მხარეთა მოვალეობების შეუსრულებლობას უკავშირდება არახელსაყრელი, უარყოფითი შედეგები იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობები არ შეასრულა. მაგ: წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის ამღვძვრელი პირი ვალდებულია დაასაბუთოს, თუ საქმისათვის მნიშვნელოვანი რა გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებებით და რას ეფუძნება მისი ვარაუდი, რომ მტკიცებულება მის მიერ მითითებული პირის ხელთაა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები დადგენილია სახელმწიფოს მიერ და მისი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. სანქცია, ზემოთ დასახელებული მაგალითიდან გამომდინარე იქნება ის, რომ სასამართლო არ დააკმაყოფილებს პირის შუამდგომლობას წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე. მაშასადამე, მხარე თავად უნდა იყოს დაინტერესებული იმოქმედოს საპროცესო მოვალეობების მითითებების შესაბამისად. სხვა შემთხვევაში ადგილი ექნება მისთვის არახელსაყრელ შედეგებს.

მხარის ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით საინტერესო განმარტებას ვხვდებით ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში:

„არცერთ შემთხვევაში საქმე არა გვაქვს ვალდებულებასთან, რომლის დროს ვალდებული პირი მოვალეა შეასრულოს რაიმე მოქმედება მეორე უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ. საპროცესო ურთიერთობებში მხარე ასრულებს მოქმედებას მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდან აიცილოს მისთვის არახელსაყრელი შედეგი, მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანა. უფრო მეტიც, მხარეებს შორის პროცესში, ანუ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის საპროცესო ურთიერთობა საერთოდ არ არსებობს.“⁸¹

⁸⁰ Михайлова Е. В. Правовой Статус Сторон в Гражданском Процессе РФ., Автореферат. Дисс. Канд. Юрид. Наук., Самара, 2004, გვ. 25 <diccerCat-Электронная библиотека диссертаций>[უკანასკნელად შემოწმებულია 07.07.19.]

⁸¹ ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“ თბილისი, 2005წ. გვ. 147.

„სასამართლო საპროცესო ურთიერთობის სავალდებულო სუბიექტია. სასამართლოს გარეშე საპროცესო ურთიერთობები არ წარმოიშობა და არ შეიძლება არსებობდეს. მხარეები, მესამე პირები და პროცესის სხვა მონაწილეები საპროცესო ურთიერთობებში ერთმანეთთან არ იმყოფებიან, ანუ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, სამოქალაქო საპროცესო სამართალი პროცესის მონაწილეებს ერთმანეთის მიმართ არ ანიჭებს რაიმე უფლებებს და არ აკისრებს რაიმე მოვალეობებს.“⁸²

„თუ მხარეთა საპროცესო მოვალეობებს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ არ შეიძლება არ გავაკეთოთ დასკვნა, რომ ასეთი მოვალეობა მართლაც არ არსებობს, რადგან როდესაც მხარე (სულერთია მოსარჩელე თუ მოპასუხე) არ ასრულებს საპროცესო მოვალეობას, იგი ამით არავის უფლებას არ არღვევს. სწორედ ამიტომ, არც არსებობს იურიდიული მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც შეიძლებოდა საპროცესო მოვალეობის შესრულების უზრუნველყოფა სახელმწიფო იძულების ღონისძიების გამოყენების საშუალებით.“⁸³

სხვადასხვა მეცნიერთა მიერ გამოთქმულია არაერთგვაროვანი მოსაზრებები, იმასთან დაკავშირებით, რომ მტკიცებულებების წარდგენა სასამართლო პროცესზე უფლებაა თუ მოვალეობა. საინტერესოა, რაში მდგომარეობს, საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების ურთიერთკავშირი. ერთ-ერთი მკვლევარის აზრით: „ცალკეულ მუხლებში ნორმის ზოგიერთი ელემენტი იგულისხმება მთლინად ან ნაწილობრივ. მაგალითად: “ზოგიერთი ნორმის დისპოზიციასში ხშირად მითითებულია მხოლოდ საპროცესო უფლებაზე ან საპროცესო მოვალეობაზე რომელიმე მხარის, მაგრამ იმავდროულად სათანადო წესით ხდება გათვალისწინება მეორე მხარის შესაბამის უფლებაზე ან მოვალეობაზე.“⁸⁴

„სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი არის იურიდიული უფლება-მოვალეობები. უფლება და მისი შესაბამისი მოვალეობა ქმნის იურიდიულ კავშირს უფლებამოსილ და მოვალე მხარეთა შორის.“⁸⁵

მეცნიერთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ასაბუთებენ, რომ მტკიცება არის ერთდროულად უფლებაც და მოვალეობაც.

“ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც არსებობს ისეთი მოვალეობა, რომელიც იმავდროულად არის უფლებაც. ასეთი მოვალეობა-უფლება არის სწორედ მტკიცების მოვალეობა. ამ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის არ არის კანონისაგან გათვალისწინებული მისი იძულებითი შესრულება. მტკიცებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ ერთდროულად, პროცესის მონაწილეების და უპირველესად მხარეების,

⁸² ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. დასახელებული ნაშრომი გვ. 123.
⁸³ ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი, 2014, გვ. 176-177.
⁸⁴ Байтин, М. И. Сушность Права, изд-Стар, Саратов, 2001, გვ. 210.
⁸⁵ ლობჯანიძე გ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 353.

როგორც უფლებაზე და როგორც მოვალეობაზე. მტკიცება, როგორც უფლება, არის შესაძლებლობა წარმოადგინო მტკიცებულება. მონაწილეობა მიიღო მის გამოკვლევაში, გამოთქვა საკუთარი მოსაზრებები და საპროცესო ნორმების თანახმად, გამოიყენო ნებისმიერი საპროცესო შესაძლებლობა წარმოდგენილი მტკიცებულებების მხარდასაჭერად. მტკიცების მოვალეობა, განსხვავებით უფლებისაგან არის მტკიცების სუბიექტის მიერ აუცილებლად შესასრულებელი მოქმედება, მისთვის არახელსაყრელი შედეგების დადგომის თავიდან ასაცილებლად.⁸⁶

ზემოაღნიშნულ განმარტებასთან, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს თ. ლილუაშვილის მოსაზრება სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობების შესახებ.

„არსებობს უფლების ცნების შინაარსის სხვადასხვანაირი განმარტება, მაგრამ ერთ-ერთი ფართოდ აღიარებული განმარტება ასეთია: უფლება-ესაა კანონით გათვალისწინებული შესაძლებელი (დასაშვები) ქცევის ზომა. ეს იმას ნიშნავს, რომ პირს, რომელსაც აქვს ესა თუ ის უფლება, შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება, ისარგებლოს ამ უფლებით, მაგრამ შეუძლია არ გამოიყენოს იგი. ეს აგრეთვე იმასაც ნიშნავს, რომ უფლების გამოყენება არაა ვალდებულება. უფლების გამოყენება, რომ ვალდებულება იყოს, მაშინ ის იქნებოდა არა უფლება, არამედ ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობას კანონი ყოველთვის უკავშირებს გარკვეულ შედეგს და რომლის შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულების ძალით. სხვა სიტყვებით, ვალდებულება უფლების საპირისპიროდ არის პირის სავალდებულო ქცევის ზომა, რომლის შესრულება კანონითაა გარანტირებული. პირს შეუძლია ითმინოს ან არ ითმინოს უფლების დარღვევა სხვა პირის მიერ. არავის არა აქვს უფლება აიძულოს პირი, რათა მან მიიღოს ზომები თავისი დარღვეული უფლების დასაცავად.“⁸⁷

სსსკ-ის მე-2 მუხლის მიხედვით განცხადების (სარჩელის) წარდგენა სასამართლოში ეს არის პირის უფლება. პირმა თვითონ უნდა განსაზღვროს დარღვეული უფლებების აღდგენის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს თუ არა და რა მტკიცებულებები დაურთოს მას საფუძვლად.

სსსკ-ის 4 და 102-მუხლებით მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი მტკიცებულებები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და დაამტკიცონ გარემოებები, რომლებზედაც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს.

მაშასადამე სასამართლოში განცხადებაზე თანდართული მასალების, მტკიცებულებების წრის განსაზღვრაც მხარის პრეროგატივაა. მხარეები თავად ღებულობენ გადაწყვეტილებას, რომელი მტკიცებულებები გამოიყენონ მიზნის მისაღწევად. შეჯიბრებითობის პრინციპიც ამ მიზანს ემსახურება, რომ მხარეებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობა მტკიცებულებების მოპოვების

⁸⁶ (შეადარე)Треушников М. К. Судебные Доказательства, изд-Городец, М, 1999, გვ. 55.

⁸⁷ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2005, გვ. 78.

და პროცესზე წარდგენის. ამ მიმართულებით საპროცესო კოდექსი მოითხოვს გარკვეულ ცვლილებებს. კერძოდ, დღემდე გაურკვეველია რა სახის მტკიცებულებებს ეკუთვნის აუდიო-ვიდეო ჩანაწერები და რომელი საპროცესო ნორმების დაცულობაა საჭირო ამ სახის მტკიცებულებების ვარგისიანობისთვის. არსებობს მოსაზრება, რომ აუდიო-ვიდეო ჩანაწერები მტკიცებულებათა დამოუკიდებელი სახეა და საჭიროა შეიქმნას მტკიცებულების ამ სახისათვის დამახასიათებელი გამოთხოვის, გამოკვლევის, ინფორმაციის ასახვის, შენახვისა და დაბრუნების სპეციფიკური წესები. ამ კუთხით არსებული მდგომარეობა არ არის საკმარისი ვუზრუნველყოთ იმ პირთა საპროცესო უფლებები, რომლებიც მონაწილეობენ საქმეში. საჭიროა გავანალიზოთ აუდიო-ვიდეო ჩანაწერების დასაშვებობისა და უტყუარობის საკითხები, მითუმეტეს, როცა საქმე ეხება მონაცემებს პირთა პირადი ცხოვრების შესახებ მათი ცოდნის გარეშე. სამოქალაქო პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და სატელეფონო საუბრების საიდუმლოების დაცვა დაკავშირებულია მხარეთა მიერ საპროცესო უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებაზე.

სამოქალაქო საქმეებზე არსებულ სასამართლო პრაქტიკაში ერთ-ერთ საქმეზე ნათქვამი იყო: სსსკ-ის 102-ე მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის მტკიცების საშუალებებს. „საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადასტურებლად შეიძლება გამოყენებული იქნას აქ მითითებული (იგულისხმება 102-ე მუხლში ჩამოთვლილი მტკიცებულებათა სახეობები). მტკიცების ნებისმიერი საშუალება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.“⁸⁸

კიდევ ერთ საქმეზე, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატამ დასაშვებად მიიჩნია მტკიცებულებად აუდიო ჩანაწერის გამოყენება და განმარტა შემდეგი: „სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აუდიო ჩანაწერს არ განიხილავს დამოუკიდებელ მტკიცებულების სახედ. მას მოიცავს ნივთიერი მტკიცებულების ცნება და განიხილება, როგორც ნივთიერი მტკიცებულების ერთ-ერთი სახე.“⁸⁹

აუდიო-ვიდეო ჩანაწერებთან დაკავშირებით საინტერესო განმარტებას ვნახულობთ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში:

„ ვფიქრობ, მტკიცებულებათა ამომწურავი ჩამონათვლის გამო, აუდიო-ვიდეო ჩანაწერების ნივთიერი მტკიცებულებებისადმი მიკუთვნება ხელოვნურია. ამგვარი მტკიცებულებების ცალკე სახედ გამოყოფა აუცილებელია. ავტორი იქვე დასძენს: აუდიო-ვიდეო ჩანაწერი მტკიცებულებათა დამოუკიდებელი სახეა და შესაბამისად, მოწესრიგებული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. მტკიცებულების ამ სახისათვის

⁸⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 26. 12. 2008 წ. გადაწყვეტილება საქმეზე #ას-474-822-07..

⁸⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ივნისის განჩინება საქმეზე #ას-1154-1416-09.

დამახასიათებელია მისი გამოთხოვის, გამოკვლევის, ინფორმაციის ასახვის, შენახვისა და დაბრუნების სპეციფიკური წესი.“⁹⁰

აუდიო-ვიდეო ჩანაწერების სპეციფიური ბუნებიდან გამომდინარე საჭიროა დადგინდეს საპროცესო ნორმები, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს მხარის შესაძლო მოქმედების ფარგლებს. ამ ნორმების არარსებობის შემთხვევაში მხარეს შეუძლია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით იმოქმედოს თავისუფლად, მოიპოვოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო გარემოებებთან დაკავშირებით და წარადგინოს სასამართლოში ვინმეს წინააღმდეგ გარკვეული მიზნის მისაღწევად.

ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგი: კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევის მართლობიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას.

სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების დადასტურების მიზნით მტკიცებულებების შესაქმნელად პირად სფეროში ჩარევა და ამით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის უფლების შეზღუდვა გამართლებული არ არის. ამგვარი ჩარევა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი თვითდაზმარების ან „თვითდაზმარებასთან მიახლოვებულ“ ფარგლებში იმოქმედებს. მაგალითად, თუ ფარული ჩანაწერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად, იმის გამო, რომ სხვაგვარად საკუთარ უფლებას ვერ დაიცავ. ასეთ ვითარებაში ფარული ჩაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია. ამდენად თუ პირზე ხორციელდება ზეწოლა, მუქარა, შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი აწონ-დაწონის შედეგად შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა. თუმცა აღნიშნული დაუშვებელია, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა თვითდაზმარებას კი არ ემსახურება, არამედ მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. პირად სფეროში ჩარევა კი საჭირო გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ უფლება-მოვალეობათა კრედიტორმა თავის დროზე არ იზრუნა შესაბამისი მტკიცებულების, ხელშეკრულების, ხელწერილის შექმნაზე. ასეთ ვითარებაში, როდესაც გაუმართლებელია ჩარევა პირად სფეროში, ამგვარი გზით მოპოვებული მტკიცებულება, დაუშვებელი მტკიცებულებაა.

სააპალაციო სასამართლოს განმარტებით, სატელეფონო საუბრის ჩაწერა იქნებოდა დაშვებული მტკიცებულება მხოლოდ ერთ შემთხვევაში: „მხოლოდ მეორე მხარის თანხმობით, ამასთან თანხმობა უნდა ეხებოდეს არა მტკიცებულების ფორმალურ დასაშვებობას, არამედ იმას, რომ მტკიცებულების შინაარსი სასამართლომ გადაწყვეტილებას დაუდოს საფუძვლად. ამგვარი თანხმობის არარსებობის პირობებში, დაუშვებელია

⁹⁰ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. დასახელებული ნაშრომი, 2012წ. გვ. 282.

ფარულ ჩანაწერს გადაწყვეტილება დაეფუძნოს, მაშინაც კი, თუ ფარული ჩანაწერიდან უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომლის დადასტურების მიზანსაც ფარული ჩაწერა ემსახურებოდა.“⁹¹

მოცემული მაგალითიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ამ კუთხით არსებული მდგომარეობა არ არის საკმარისი უზრუნველყოთ იმ პირთა საპროცესო უფლებები, რომლებიც მონაწილეობენ საქმეში და ასევე, განვსაზღვროთ მონაცემების უტყუარობა დაფიქსირებული ხმოვანი სიგნალისა და წარმოსახვითი ვიზუალური ფიქსაციის სახით.

აუდიო-ვიდეო ჩანაწერების დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით, პიროვნებას, რომელსაც სასამართლოს მიერ ეთხოვება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ჩანაწერების წარდგენა სასამართლოში, კანონის მიერ უნდა დაევალოს ზომების მიღება, რათა არ მოხდეს ჩანაწერების ხელყოფა მესამე პირთა მხრიდან მათი გაყალბებისა თუ განადგურების მიზნით. აუდიო-ვიდეო ჩანაწერების, როგორც მტკიცებულების, სამართლებრივი ბუნება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოითხოვს მისი გამოკვლევისათვის სათანადო წესების შემუშავებას გარკვეული რიგის მიხედვით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში უნდა შევიდეს სათანადო საკანონმდებლო ცვლილება და აუდიო-ვიდეო ჩანაწერები აისახოს დამოუკიდებლად სხვა მტკიცებულებებისაგან.

მხარეთა საპროცესო უფლებას წარადგინონ მტკიცებულებები თანასწორუფლებიანობის ფარგლებში და მიიღონ მონაწილეობა ამ მტკიცებულებების გამოკვლევაში გამიზნულია, იმისათვის, რომ მხარემ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით მიაღწიოს მისთვის სასურველ შედეგს. ანუ ამ მტკიცებულებების ვარგისიანობისთვის აუცილებელია მთელი რიგი ნორმების შემოღება. აუდიო-ვიდეო ჩანაწერების გამოყენებამ არ უნდა შელახოს პირთა კონსტიტუციით და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დაცული უფლებები.⁹²

მტკიცების ტვირთის განაწილება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ამოსავალი წერტილია და იგი დიდ გავლენას ახდენს, ყოველი პირისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს პრინციპის განხორციელებაზე. დამტკიცების ტვირთის დაკისრება საქმეში მონაწილე ერთ რომელიმე პირზე არ იქნებოდა მიზანშეწონილი არც ფაქტების დადგენისა და არც სამართლიანობის თვალსაზრისით. ეს პროცესში თანასწორობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებას წარმოადგენს.⁹³

⁹¹თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 7.10. 2014.

გადაწყვეტილება საქმეზე #28/6800-13.

⁹² საყვარელიძე ვ. აუდიო-ვიდეო ჩანაწერების გამოყენების პრობლემა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში „მართლმსაჯულება და კანონი“ #2/3 15. გვ.152

⁹³საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 24 იანვრის განჩინება საქმეზე #ას-1284-2019.

არის შემთხვევები, როდესაც მხარეები თავიანთი ძალებით ვერ ახერხებენ მტკიცებულებების გამოთხოვას. ამ შემთხვევაში სსსკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: მხარეების შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები ვისთანაც არ უნდა იყოს ისინი.

სსსკ-ის 136-ე და 157-ე მუხლები ეხება წერილობითი და ნივთიერ მტკიცებულებებს. სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-5 ქვეპუნქტში ვკითხულობთ შემდეგს:

თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა, და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეს აქვს რაიმე სახის მტკიცებულება და არ უარყოფს ამას, მაგრამ წინააღმდეგია გადასცეს მტკიცებულება სასამართლოს, უადგილოა მოსაზრება, რომ საქმე ეხება მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის შეუსრულებლობას, რაც უარყოფითად აისახება მხარის იურიდიულ ბედზე. ამ შემთხვევაში აღნიშნული სანქცია, რომ მტკიცების ტვირთისაგან თავისუფლდება მხარე და მისი ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, ვინც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე, ძალიან მსუბუქია. მხარის მიერ ამგვარი არაკეთილსინდისიერი ქმედების დროს ერთი, რომ საქმე გვაქვს მხარის მიერ ვალდებულების, კერძოდ სასამართლოს მოთხოვნის შეუსრულებლობათან, ასევე საქმის განხილვის ხელშეშლასთან და როგორც მოწინააღმდეგე მხარის, ასევე სასამართლოს უპატივცემულობასთან. მხარე შესაძლოა ამ დროს უშვებდეს ვარაუდს, რომ მის ხელთ არსებული მტკიცებულება დაეხმარება სასამართლოს საქმის განხილვაში, დროული და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაში, რაც ეწინააღმდეგება მის ინტერესებს. მოტივი, რით ხელმძღვანელობს მხარე, არ არის მნიშვნელოვანი. მხარის ასეთი საქციელი, როდესაც ის არ უარყოფს, რომ აქვს მტკიცებულება, მაგრამ არ გადასცემს სასამართლოს, შეიძლება ნაკარნახევი იყოს მისი ცინიკური დამოკიდებულებითაც მხარის, თუ სასამართლოს მიმართ. ფაქტია, რომ საქმე გვაქვს უხეშ და გაუმართლებელ მოქმედებასთან. ამიტომ ამ შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ სასამართლომ არა თუ გადააკისროს მხარეს მტკიცების ტვირთი, რომელიც უარს ამბობს მტკიცებულების წარდგენაზე, არამედ ფაქტი, რომელიც უნდა დადასტურებულიყო ამ მტკიცებულებით ჩათვალოს დადასტურებულად. შესაბამისად მიზანშეწონილია სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილში შევიდეს შესწორება და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება

მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის ამღმვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ეს ფაქტი დაედასტურებულად ჩათვალოს.

ეს ცვლილება უნდა შეეხოს 157-ე მუხლსაც, ვინაიდან იმავე პრობლემასთან გვაქვს საქმე და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

თუ ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის ამღმვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ეს ფაქტი დაედასტურებულად ჩათვალოს.

ერთობა სამოქალაქო საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების თავს იჩენს უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ მათ აქვთ საერთო წყარო წარმომავლობის. მხარის უფლებები და მოვალეობები ემსახურება საერთო მიზნის მიღწევას, მართლმსაჯულების მიზნებისა და ამოცანების შესრულებას, ანუ სამოქალაქო საქმეზე დროული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. მაშასადამე სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის მონაწილის მოვალეობა, საპროცესო უფლების სწორად, კანონის შესაბამისად გამოყენებაა. სხვა სიტყვებით, საპროცესო ურთიერთობის მონაწილე ვალდებულია კეთილსინდისიერად განხორციელოს მასზე კანონით მინიჭებული საპროცესო უფლებები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა გარკვეული ხედვა სამოქალაქო საპროცესო მოვალეობის. სამოქალაქო საპროცესო მოვალეობა არის კანონით გათვალისწინებული სავალდებულო ქცევის წესი, რომლის შესრულება შედის უფლებამოსილი პირის ინტერესებში და ამ მოვალეობის შეუსრულებლობა იწვევს მოცემული ნორმით გათვალისწინებულ სანქციას.

2.4. მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობების სახეები

2.4.1. მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლებების სახეები

სასამართლო განხილვის სტადიაზე მხარეები სარგებლობენ ფართო საპროცესო უფლებებით. საპროცესო უფლებები ქმნიან მხარეებისათვის რეალურ შესაძლებლობას დაიცვან თავისი სიმართლე, დაამტკიცონ თავიანთი მოსაზრებების სისწორე და უარყონ მეორე მხარის მტკიცებები. იბრძოლონ, რომ სასამართლომ გამოიტანოს სამართლიანი გადაწყვეტილება საქმეზე.

ყურადღების ღირსია მოსაზრება, რომელიც გვთავაზობს მხარეთა უფლებების დაყოფას:

“1. უფლებები, რომლებიც ეკუთვნის მხოლოდ მოსარჩელესა და მოპასუხეს, რაც საშუალებას აძლევს მათ განახორციელონ საპროცესო მოქმედებები სარჩელის მოთხოვნებთან და ამ მოთხოვნების უარყოფასთან დაკავშირებით. ანუ შეასრულონ მოქმედებები, რომლებიც გათვალისწინებულია დისპოზიციურობის პრინციპით.

2. უფლება, დამახასიათებელი პროცესის ამა თუ იმ სტადიასათვის, რომელიც თავის მხრივ იყოფა: უფლებად, დაკავშირებული სამოქალაქო საქმის აღძვრასთან. უფლება, მიიღო სასამართლო გადაწყვეტილება. უფლება, შეტყობინების მიღების სასამართლო საქმის განხილვასთან დაკავშირებით. უფლება, მიიღო სასარჩელო განცხადების კოპია. უფლება, მხარი დაუჭირო სარჩელს ან უარყო იგი პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით.

3. უფლება, დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანასთან. უფლება, შეიტანო საკასაციო საჩივარი და უფლება, მხარი დაუჭირო საჩივარს ზემდგომ ინსტანციაში განხილვის დროს. უფლება, საჩივრის ახსნა-განმარტების.

4. უფლება, რომელიც დაკავშირებულია კანონიერ ძალაში სასამართლო გადაწყვეტილების შესვლასთან.”⁹⁴

საინტერესოა მოვიყვანოთ ერთ-ერთი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შინაარსიდან გამომდინარე გამოყოფდა სამ ჯგუფს საპროცესო უფლებების.

“მხარეთა პირველი ჯგუფის საპროცესო უფლებას ავტორი მიაკუთვნებს უფლებას, გამოხატულს დისპოზიციურობის პრინციპით. (სარჩელზე უარის თქმის უფლება და სარჩელის ცნობა). მეორე ჯგუფს მიაკუთვნებს უფლებას: უფლება პირადად მონაწილეობის სასამართლო საქმის განხილვაში ან წარმომადგენლის მეშვეობით. მესამე ჯგუფი შეიცავს ისეთ საპროცესო უფლებებს, როგორცაა უფლება სარჩელის უზრუნველყოფის და აცილების უფლება.”⁹⁵

მითითებული ავტორი გვთავაზობს, რომ: „საპროცესო უფლებების კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დავუდოთ სამოქალაქო პროცესის ძირითადი პრინციპები. საქმეში მონაწილე პირების მიერ, კანონის მოთხოვნებით დადგენილი სამოქალაქო საპროცესო უფლებების განხორციელება, წარმოადგენს დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობის, საქვეყნოობის და ა. შ. პრინციპების კონკრეტუზაციას.”⁹⁶

⁹⁴ Шегелов В. Н. Субъекты Судебного Гражданского Процесса, изд.-ТГУ, Томск, 1979, გვ. 71.

⁹⁵ Вукот М. А. Проблема Правового Регулирования Процессуального Положения и Деятельности Сторон в Советском Гражданском Судопроизводстве, Свердловск, 1971, გვ. 27.

⁹⁶ Вукот М. А. Комментарий к Гражданскому Процессуальному Кодексу Российской Федерации, “изд.-Юрайт“ М., 2012, გვ.103. <Base. Garant.ru 57796508> {უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.03.19.}

მაშასადამე მხარეთა უფლებების შინაარსი შესაძლებელია განისაზღვროს მხარეთა სამოქალაქო საპროცესო პრინციპებზე დაყრდნობით. სხვადასხვა სამოქალაქო საპროცესო ნორმებში ასახული საპროცესო პრინციპები წარმოადგენს მხარეთა მიერ საპროცესო უფლების განხორციელების საფუძველს სასამართლოში, საქმის განხილვის და გადაწყვეტილების გამოტანის დროს.

“მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლებები შეიძლება დაიყოს სასამართლოში მათი განხორციელების მიხედვით, მაგ: უფლება, სასამართლოში საქმის აღძვრისა ანუ სარჩელის შეტანის და იმავდროულად მოპასუხის უფლება შეიტანოს შეგებებული სარჩელი.

მოსარჩელის უფლება, სასამართლოში ჰქონდეს იურიდიული მოთხოვნა და დაასაბუთოს იგი. ამასთან, მოპასუხესაც უნდა ჰქონდეს უფლება განსაზღვროს საფუძველები, რომლითაც უარყოფს სარჩელს და მოიყვანოს ფაქტები, რომელიც დაასაბუთებს მის მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ფაქტების მტკიცების უფლება: უფლება-სასამართლო საქმის განხილვაში მონაწილეობაზე. ახსნა-განმარტებების, შეკითხვების დასმის, მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტების უარყოფის, სარჩელის ცნობის ან სარჩელზე უარის თქმის, საქმის მორიგებით დამთავრების. სასამართლო აქტების-გადაწყვეტილებების გასაჩივრების. უფლება-მოითხოვო სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება, მოითხოვო გადაიხედოს სასამართლო გადაწყვეტილება ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო და სხვ“⁹⁷

“ზოგიერთი ავტორი გამოყოფს სამ ჯგუფს სამოქალაქო საპროცესო უფლებების: უფლება, რომლის განხორციელებაზეა დამოკიდებული წარმოშობა, განვითარება და შეწყვეტა სამოქალაქო მართლმსაჯულების კონკრეტულ საქმეზე. ისინი გამოხატავენ დისპოზიციურობის პრინციპს სამოქალაქო საპროცესო სამართლოში.

უფლება, სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვაში მონაწილეობის. ეს უფლება გამოხატავს შეჯიბრებითობის პრინციპს. მისი განხორციელების პროცესში სასამართლოს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და მტკიცებულებითი მასალა.

უფლება-რომელიც დაკავშირებულია შესაძლებლობასთან მიუთითო სასამართლოს შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, რომელიც მან უნდა შეასრულოს საკუთარი მოვალეობიდან გამომდინარე, მიუხედავად საქმეში მონაწილე, რომელი მხარე ითხოვს ამ შესრულებას“⁹⁸

სამოქალაქო საპროცესო უფლებების ამგვარი კლასიფიკაცია იწვევს ინტერესს, ვინაიდან საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ გარკვეული სახით

⁹⁷ Елеискин П. Ф. Гражданские Процессуальные Правоотношения, Учебное пособие, изд-ЯГУ, Ярославль, 1975, გვ. 79.

⁹⁸ Гурвич М. А. Гражданские Процессуальные Проваатнашения и Процессуальные действия, изд-РИО ВЮЗИ, Т., III, М., 1965, გვ. 70.

სამოქალაქო უფლებების დიფერენციაცია, რომელიც დაფუძნებულია საპროცესო უფლებების შინაარსობრივ მხარეზე. აქ მოყვანილი ავტორების მოსაზრებების თანახმად, უფლებები პროცესის მონაწილეთა არ არის ერთგვაროვანი. ამიტომ მათი სრული და ყოველმხრივი გამოკვლევის მიზნით საჭიროა მათი კლასიფიკაცია შინაარსის მიხედვით.

მნიშვნელოვანია ამ მხრივ ერთ-ერთი მკვლევარის მოსაზრება: “საპროცესო უფლებები შეიძლება დავაჯგუფოთ მიზნის მიხედვით შემდეგი სახით: უფლება, დაკავშირებული თვითონ განსაზღვრო, როგორ დაიცვა საკუთარი უფლება და კანონით დაცული ინტერესი. უფლება, გამოიყენო საპროცესო დაცვის საშუალებები. უფლება, მხარეებმა მოითხოვონ კანონიერება და დასაბუთებულობა სასამართლო გადაწყვეტილებების. უფლება მოითხოვო სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება”⁹⁹.

„მხარეთა უფლება იყოფა ორ დიდ ჯგუფად. საერთო ანუ ზოგადი საპროცესო უფლებები, რომლებიც მხარეთა გარდა ეკუთვნის პროცესის სხვა მონაწილეებს და სპეციალური უფლებები, რომლითაც აღჭურვილი არიან მხოლოდ მხარეები. რა თქმა უნდა მოცემული კლასიფიკაცია არის ზოგადი და მოითხოვს კონკრეტიზაციას. საერთო უფლებების შესახებ საუბარია სსსკ-ის 83-ე მუხლის 1-ლ ნაწილში და ასევე ამავე კანონის მთელ რიგ სხვა მუხლებში. გარდა ამისა ამ მუხლში მითითებულია, რომ ჩამოთვლილის გარდა მხარეები სარგებლობენ საპროცესო კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებითაც.

რაც შეეხება სპეციალურ უფლებებს ისინი მითითებულია სსსკ-ის მე-3 მუხლში, 21-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, 83-ე მუხლის მე-2, მე-3, და მე-4 ნაწილებში, 83¹-ე მუხლში, 188-ე მუხლსა და საპროცესო კოდექსის სხვა მუხლებში. მოცემული უფლებები მხარეთა განკარგვითი, დისპოზიციური უფლებებია და ამ უფლებებით სარგებლობენ მხოლოდ მხარეები.”¹⁰⁰

უფლებების ამგვარ დაყოფას სხვა ქართველ მკვლევარებთანაც ვხვდებით:

„პირველ ჯგუფში შედიან უფლებები, რომლითაც სარგებლობენ მხოლოდ მხარეები. ისინი იწოდებიან სპეციალურ უფლებებად. მოცემული ჯგუფიც შეიძლება დაიყოს ორ ქვეჯგუფად. პირველ ქვეჯგუფში შევა უფლებები დაკავშირებული განკარგვით უფლებამოსილებებთან. მეორე ქვეჯგუფში აუცილებელია შევიყვანოთ უფლებები, რომლებიც აწესრიგებენ მხარეთა მონაწილეობას პროცესში საქმის განხილვის და გადაწყვეტის დროს. ამრიგად სპეციალურ უფლებებში არ უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ განკარგვითი უფლებები და ის უნდა გავიგოთ ფართოდ.

⁹⁹ Комаров Б. Б., Бигун Б. А Баранова Б. Б. Проблемы Науки Гражданского Процессуального Права, изд-Харковского ун-та, 2002. გვ. 129.

¹⁰⁰ ქურდაძე შ. ხუნაშვილი, ნ. დასახელებული ნაშრომი გვ. 142-143..

მეორე ჯგუფი მხარეთა საპროცესო უფლებებისა მთლინად ემსახურება მხარეთა აღჭურვას დაცვის საპროცესო საშუალებებით. ასეთ საშუალებად გვევლინება მხარეთა უფლება გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები, გააკეთონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, უარყონ მერე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები, მოსაზრებები და ა. შ.

მესამე ჯგუფი საპროცესო უფლებებისა მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების უზრუნველყოფისკენ. ამ მიზნით მხარეებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები¹⁰¹.

მოყვანილი მსჯელობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოვახდინოთ მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლებების კლასიფიკაცია, მათი შინაარსის მიხედვით. რა თქმა უნდა ეს ჩამონათვალი ვერ იქნება ამომწურავი, ვინაიდან მხარეები სარგებლობენ მოცემული და მათგან გამომდინარე უამრავი უფლებებისაგან.

1. უფლება, წარადგინო სარჩელი სასამართლოში დარღვეული ან სადაოდ გახდილი უფლების ან კანონით დაცული ინტერესების დასაცავად.

2. უფლება, წარადგინო შესაგებელი ან შეგებებული სარჩელი.

3. უფლება, ისარგებლო სასამართლო საქმის მასალებით და გააკეთო ამონაწერები.

4. უფლება, უარი თქვა სარჩელზე, ცნო სარჩელი ან საქმე მორიგებით დაამთავრო.

5. უფლება, სარჩელის უზრუნველყოფის და აცილების უფლება.

6. უფლება, აწარმოო საქმეები პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით.

7. უფლება, აღადგინო გაშვებული საპროცესო დრო სასამართლოს მეშვეობით და წარადგინო საკუთარი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

8. უფლება, მოიყვანო ფაქტობრივი გარემოებები შენი შუამდგომლობების დასამტკიცებლად და ოპონენტის შუამდგომლობების უარსაყოფად.

9. უფლება, წარადგინო მტკიცებულებები მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დასამტკიცებლად, ანუ წარადგინო დოკუმენტები რაზედაც დაფუძნებულია მოთხოვნები.

10. უფლება, მისცე ახსნა-განმარტება საქმეზე. ანუ იმსჯელო, განმარტო, უარყო ფაქტობრივი გარემოებები და სასამართლოს დადგენილებები.

11. უფლება, თვალყური ადევნო საქმის წარმოების დროს სასამართლოს ყველა მოქმედებას.

12. უფლება, მოსთხოვო სასამართლოს, მოწინააღმდეგე მხარეს და საქმის სხვა მონაწილეებს დაიცვან საქმის წარმოების წესები.

¹⁰¹ ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. მე-2 ნაწილი. გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი, 2014. გვ.174.

13. უფლება, მიიღო შეტყობინება სასამართლო საქმის განხილვის და სხვადასხვა საპროცესო მოქმედებების შესრულების ჩატარების დროის და ადგილის შესახებ.

14. უფლება, მიიღო სასამართლო გადაწყვეტილებები პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით.

15. უფლება, არ დაეთანხმო სასამართლო გადაწყვეტილებას და გაასაჩივრო ზემდგომ ინსტანციაში.

2.4.2. მხარეთა სამოქალაქო საპროცესო მოვალეობების სახეები

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად მოსარჩელე და მოპასუხე აღჭურვილი არიან არა მხოლოდ საპროცესო უფლებებით, მათ ამავე კანონმდებლობით ეკისრებად საპროცესო მოვალეობები. იმისათვის, რომ მოხდეს სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპების დაცვა და სასამართლომ შესძლოს ზემოქმედება მათ საპროცესო მოქმედებებზე.

მხარეთა სამოქალაქო საპროცესო მოვალეობების შესახებ ერთ-ერთი ავტორი ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში წერდა, რომ: “მხარეებს ერთმანეთის მიმართ არა აქვთ რაიმე მოვალეობა. თუკი ისინი მონაწილეობენ საქმის წარმოებაში არიან სასამართლოს ხელმძღვანელობის ქვეშ და ასრულებენ მის მოთხოვნებს”.¹⁰²

სამოქალაქო პროცესის მონაწილეების საპროცესო მოვალეობები ერთმანეთისაგან განსხვავებულია და არასწორი იქნება ისინი მოვიაზროთ, როგორც ერთი მოვალეობა,

სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებული აზრის თანახმად ერთმანეთისაგან გამოყოფენ მხარეთა საერთო და სპეციალური მოვალეობებს. საერთო მოვალეობა არის: კეთილსინდისიერად შეასრულო კანონით მონიჭებული ყველა უფლება, დაიცვა სასამართლო სხდომაზე დადგენილი წესრიგი, პატივი სცე სასამართლოს და ა. შ. ამ მოთხოვნის არ შესრულება გამოიწვევს სანქციებს სასამართლოს მხრიდან. სასამართლოს შეუძლია გააფრთხილოს და შემდეგ გააძევოს კიდევ პირი სასამართლო სხდომის დარბაზიდან. ასეთი მოვალეობა დაკისრებული აქვს არა მხოლოდ მხარეებს, არამედ, საქმეში მონაწილე სხვა პირებსაც. აქედან აღსანიშნავია მხარეთა საპროცესო მოვალეობების იურიდიული განსაკუთრებულობა, ვინაიდან სანქცია, უფლებების არაკეთილსინდისიერად გამოყენების გამო დაუსაბუთებელი და არაკეთილსინდისიერი სარჩელის წარდგენაზე სასამართლოში, სისტემატიური წინააღმდეგობების შექმნაზე

¹⁰² (იხ.ციტირება) Васильковский Е. В. დასახელებული ნაშრომი, გვ., 217.

საქმის დროული და სამართლიანი განხილვისათვის დაწესებული აქვთ მხოლოდ მხარეებს.¹⁰³

კეთილსინდისიერი მხარე თავად უნდა იყოს დაინტერესებული შეიტანოს სასამართლოში დასაბუთებული სარჩელი. სხვა მრივ, შესაძლოა მისი ინტერესების დაკმაყოფილებას საფრთხე შეექმნას. ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: „სარჩელში სავალდებულოდ მისათითებელი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები ისევ და ისევ მოსარჩელის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას ემსახურება. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არასრულ სარჩელს მიიღებს და ფაქტობრივი გარემოებების მხარის მიერ არასწორად მითითებისა და მტკიცებულებების არქონის პირობებში განიხილავს საქმეს, მაშინ მხარეს სრულყოფილი სარჩელითა და მტკიცებულებათა ერთობლიობით ხელმეორედ მიმართვა იმავე მოთხოვნით, იმავე მხარეებს შორის და იმავე საფუძვლით აღარ შეეძლება. შესაბამისად, არასრულყოფილი და გაუმართავი სარჩელის წარმოებაში მიღებით და მისი არსებითი განხილვით, მას ერთმევა საკუთარი უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის უფლება“.¹⁰⁴

საპროცესო მოვალეობების დაყოფასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებებიდან საინტერესო მოსაზრებას ვაწყდებით ერთ-ერთ მეცნიერთან, რომელიც საპროცესო მოვალეობებს ყოფს შემდეგი ნიშნის მიხედვით:

“საპროცესო მოვალეობები შეიძლება დავეყოთ მისი მოქმედების შინაარსიდან გამომდინარე გენერალურ, ლოკალურ და კერძო მოვალეობებად. გენერალური მოვალეობები თანმდევია სასამართლოსა და მხარეებისათვის, სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს მთელი პროცესუალური მოღვაწეობის პერიოდში. ისინი შეიძლება შესრულებული იყოს არაერთხელ და სამოქალაქო პროცესის ყველა სტადიაზე. ლოკალური მოვალეობები განაპირობებენ სუბიექტების მოღვაწეობას სამოქალაქო პროცესის გარკვეულ მომენტში. ისინი ხასიათდებიან იმით, რომ მათი გამოყენება ხდება პროცესის განსაზღვრულ სტადიაზე. კერძო მოვალეობები მიმართულია მიაღწიონ განსაზღვრულ სამართლებრივ რეზულტატს ერთი საპროცესო მოქმედების შესრულების გზით“.¹⁰⁵

სასამართლო პროცესზე საჭირო წესრიგის არარსებობის დროს ფერხდება შესაძლებლობა, პროცესის მონაწილეებმა შეასრულონ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებები და მოვალეობები. საქმის განხილვა კანონით

¹⁰³ Шакарян М. С Учение о Сторонах в Советском Гражданском Процессе, изд-РИО ВЮЗИ, М., 1983, გვ. 29.

¹⁰⁴ ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.07.2014 გადაწყვეტილება საქმეზე #2ბ/2719-14.

¹⁰⁵ Кузнецов Н. В. Гражданская Процессуальная Обязанность, Вопросы Теории и Практики Гражданского Процесса, Гражданское Судопроизводство и Арбитраж, Межвузовский Научный Сборник, изд-СГУ, Саратов, 1984, გვ. 30.

დადგენილი წესრიგის დარღვევით, ყოველთვის იწვევს ეჭვს იმის შესახებ, რომ სასამართლო გახლდათ ობიექტური და მიუკერძოებელი. შესაბამისად სასამართლომ უნდა მოახდინოს მის ხელთ არსებული საკანონმდებლო რესურსის სრულად გამოყენება და ამ მიზნით ის სხდომის დაწყების წინ, მოუწოდებს პროცესის მონაწილეებს დაიცვან წესრიგი სასამართლო დარბაზში.

წესრიგის დაცვის მიზნით სასამართლო სხდომაზე მოსამართლის მითითებათა შეუსრულებლობა გათვალისწინებულია სსსკ-ის 212 მუხლით. სხდომის თავჯდომარის განკარგულებებისადმი დაუმორჩილებლობა ან უპატივცემულობა გამოიწვევს პროცესის მონაწილის ან სხდომაზე დამსწრის დაჯარიმებას ან სხდომის დარბაზიდან გაძევებას.

სსსკ-ის 212 მუხლით სასამართლოს შეუძლია დააკისროს ჯარიმა წესრიგის დამრღვევს 50-დან 500 ლარამდე, რაზედაც გაიცემა სააღსრულებო ფურცელი. პასუხისმგებლობის სუბიექტებად ამ შემთხვევაში გვევლინებიან, როგორც მხარეები და მათი წარმომადგენლები ასევე მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები და მოქალაქეები, რომლებიც იმყოფებიან სხდომის დარბაზში და ესწრებიან სხდომებს.

თუ სასამართლო სხდომაზე პირის ქმედება გამოხატავს აშკარა უპატივცემულობას სასამართლოს, პროცესის მონაწილის ან მხარის მიმართ, სხდომის თავჯდომარის მითითებით მანდატური უზრუნველყოფს პირის დაკავებას და დაკავების ოქმის შედგენას. ამასთან სხდომის თავჯდომარე ადგენს მიმართვას და უგზავნის განკარგულების გამოტანაზე უფლებამოსილ სასამართლოს. სასამართლოს, რომელსაც გადაეგზავნა მიმართვა უფლებამოსილია გამოიტანოს განკარგულება ამ პირის 30 დღე-ღამე ვადით პატიმრობის შესახებ. თუ ასეთი პატიმრობა პირს უკვე შეფარდებული ჰქონდა წარსულში პატიმრობის ვადა შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ არა უმეტეს 60 დღე-ღამემდე ვადით.(იხ.სსსკ-ის 212მ.).

ეს სანქცია მიმართულია სამართალწარმოების მონაწილეთა საპროცესო უფლებების დასაცავად. სხდომის დარბაზში სათანადო წესრიგის არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელია შეჯიბრებითობის და დისპოზიციურობის პრინციპების დაცვა და უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულება. ეს კი სამართალწარმოების ხარისხზე ჰპოვებს უარყოფით ასახვას. საქმეში მონაწილე პირები არიან საპროცესო სამართალურთიერთობის მონაწილეები და ასევე საპროცესო პასუხისმგებლობის სუბიექტები. ამ შემთხვევაში სამართლებრივი დაცვის ობიექტია სასამართლოს ავტორიტეტი და საქმეში მონაწილე პირის უფლება

კანონით დადგენილი წესით დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები სასამართლოში.

იურიდიულ ლიტერატურაში საინტერესო მოსაზრებას ვხვდებით იმასთან დაკავშირებით, რომ: “საპროცესო ნორმას, რომელიც ადგენს პირის გაძევებას სხდომის დარბაზიდან აქვს ორმაგი ხასიათი, იქედან გამომდინარე ვის წინააღმდეგ არის იგი მიმართული. ის შეიძლება იყოს, როგორც საპროცესო დაცვის მექანიზმი, ისე საპროცესო პასუხისმგებლობა. თუ ამ ნორმით გათვალისწინებული სანქცია გამოყენებულია პირის მიმართ, ვინც უბრალოდ ესწრებოდა სხდომას, მოცემული ნორმა ატარებს დაცვით ფუნქციას. იგივე ნორმა გამოყენებული მხარის მიმართ არის საპროცესო პასუხისმგებლობა. ვინაიდან ამ ნორმის გამოყენება არახელსაყრელ გავლენას ახდენს მხარის საპროცესო უფლებაზე”.¹⁰⁶

სანქციების ჯგუფებს შეიძლება მივაკუთვნოთ: სსსკ-ის 206-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა. ის გამოიყენება იმ მხარის მიმართ, რომელმაც არ შეასრულა სასამართლოს დავალებები საქმის მომზადების მიზნით. ეს ართმევს მხარეს უფლებას წარმოადგინოს მტკიცებულებები საქმის არსებითი განხილვის დროს და ამასთან სასამართლოს მითითებების შეუსრულებლობისათვის მოსამართლე უფლებამოსილია მხარე დააჯარიმოს 50 ლარით.

ჯარიმები, დაკისრებული პირთათვის სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევისთვის.

ჯარიმა, დაკისრებული თარჯიმანზე მის მიერ სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო ან თავისი მოვალეობის არასათანადოდ შესრულებისათვის.

ჯარიმა, დაკისრებული მოწმეზე, სასამართლოში არა საპატიოდ გამოუცხადებლობის გამო.

მოყვანილი საჯარიმო სანქციების უბრალო ჩამოთვლა საშუალებას გვაძლევს შევნიშნოთ, რომ მხოლოდ მცირე მათგანია გამოყენებული საქმეში მონაწილე პირთა მიმართ, დანარჩენები მოწოდებულია იმ პირთა პასუხისმგებლობისთვის, რომელთაც პირადი ინტერესი პროცესში არ გააჩნიათ.

¹⁰⁶ Ануфриев А. Ю. Теоретические и Практические Аспекты Реализации Гражданской Процессуальной Ответственности, изд-СГУ, Саратов, 2014, гл.184

თავი 3. მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა და მხარის პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგულირება

3.1. კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის მოთხოვნა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობების განხორციელებისას

სამოქალაქო პროცესში მონაწილე პირები კეთილსინდისიერად უნდა სარგებლობდნენ მათთვის მინიჭებული ყველა საპროცესო უფლებით და ასრულებდნენ მოვალეობებს. ყოველგვარი მცდელობა უფლება-მოვალეობის ბოროტად გამოყენების, პროცესის განზრახ გაჭიანურების და მისთვის ზიანის მიყენების მიზნით დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს სასამართლოს მიერ.

“სამართლიანი სასამართლო განხილვა ხდება პარალიზებული, როდესაც ადგილი აქვს მხარეთა მიერ არაკეთილსინდისიერ მოქმედებებს. ის შეიძლება გამოიხატოს არადისციპლინირებულ ქმედებებში, მხარეთა გაურკვეველ დაპირისპირებაში და ისეთ ქცევებში, რომელიც ხელს უშლის სასამართლოს დროული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში.“¹⁰⁷

მეცნიერ-იურისტების მიერ გამოთქმული აზრის თანახმად: “სამართლის მიერ მორალური კატეგორიების გამოყენება სრულიად კანონზომიერია, რადგანაც თანამედროვე საზოგადოებაში ზოგად ფასეულობებთან დაკავშირებით დადგენილი შეხედულების მიხედვით, სამართალი უნდა პასუხობდეს ზნეობის მოთხოვნებს, ხოლო ძირითადი პოსტულატი, რომელიც განსაზღვრავს სამართლის ფენომენს, გარდაისახება სამართლებრივ მატერიაში და ყველა მის დარგობრივ ჯგუფში. მოთხოვნა სამართლიანობისა და თანაბარი იურიდიული მიდგომის განხორციელება, ტრანსფორმირდება უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ საწყისად, სასამართლოს მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაში.“¹⁰⁸

განსხვავებულ მოსაზრებასაც ვხვდებით: “სამართლებრივი ცნებების განსაზღვრა მორალური კატეგორიების დახმარებით ქმნის გარკვეულ პრობლემებს შესაბამისი სამართლებრივი ნორმების შემდგომ გამოყენებაში, იმის გამო, რომ წარმოდგენები მორალზე არ არის დაფიქსირებული დოკუმენტურად, ხოლო ადამიანების შემეცნებით შეიძლება განიმარტოს სრულიად სხვადასხვაგვარად. მორალური კატეგორიების ასეთი თვისებები, სამართლებრივისგან განსხვავებით არაერთხელ იქნა მითითებული სამართლის თეორიის მრავალრიცხოვან ნაშრომებში.“¹⁰⁹

¹⁰⁷ Заицев И, М, Процессуальные Функции Гражданского Судопроизводства. Изд-СГУ, Саратов, 1990, გვ. 28.

¹⁰⁸ Алексеев С. С. Философия Права, Изд-Норма, М., 1997, გვ. 53.

¹⁰⁹ Алексеев С. С. Теория Права, изд-БЕК, М 1994, გვ. 68-69.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო ნორმებისგან განსხვავებით, სამოქალაქო სამართლის ნორმებში, „კეთილსინდისიერების“ ცნება ფართოდაა წარმოდგენილი. კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადგენს ამოსავალ წერტილს, საპროცესო უფლება-მოვალეობების ფარგლების რეგლამენტირებისას, რასაც ჩვენ მატერიალური სამართლის ნორმებში ვხვდებით. მაგალითად: სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი იმპერატიულად მოითხოვს შემდეგს, „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.

„სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეებმა ერთმანეთთან სამართლებრივი ურთიერთობები კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე უნდა მოაწესრიგონ. ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობა მორალურ იმპერატივებს ემყარება, რომელიც ამავე დროს კანონისადმი მორჩილებას ქადაგებს. იგი თითქოსდა სამოქალაქო სამართლის ციხე-სიმაგრედ გვევლინება“.¹¹⁰

„სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი სამეფო მუხლს წარმოადგენს, რადგანაც მთელი სამოქალაქო კანონმდებლობა, სამოქალაქო ბრუნვა კეთილსინდისიერების პრინციპზეა დაფუძნებული. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა მოქმედებას ერთმანეთისადმი ნდობით, გულისხმიერებითა და პატივისცემით“.¹¹¹

„სსკ-ის მე-8 მუხლი პირველ რიგში, მიმართულია უარყოფითი სამართლებრივი შედეგის აცილებისკენ. უნდა აღიკვეთოს სწორედ ზიანის მიყენების ან კონკურენციის შეზღუდვის, ან უფლების განხორციელებისათვის დაბრკოლების შექმნის განზრახვა. სწორედ ამიტომ არის, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი კანონში ფორმულირებულია მავალეული ნორმის და არა ამკრძალავი ნორმის სახით, რომელიც მოითხოვს უფლებებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელებას.“¹¹²

შემოთავაზებული განსაზღვრება შეიძლება თავისი ბუნებით მივიჩნიოთ დამახასიათებლად საპროცესო სამართალურთიერთობისთვისაც.

ერთ-ერთი ავტორი დასაშვებად მიიჩნევს მორალური კატეგორიების გამოყენებას, რომელიც ადეკვატურად განსაზღვრავდა შესაბამის მითითებას ან ნებართვას. “ეს შესაძლოა მოხდეს იმ შემთხვევაში თუ წინასწარ იქნება განმარტებული და ასახული საპროცესო კანონმდებლობაში. ეს საკანონმდებლო განმარტება, არ უნდა შეიცავდეს ორაზროვან, ბუნდოვანებას და უნდა ეყრდნობოდეს მაქსიმალურად ობიექტური ხასიათის მატარებელ კრიტერიუმებს. მისი არსებობა, (კეთილსინდისიერების) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საშუალებას აძლევს სუბიექტს დაუბრკოლებლად განახორციელოს თავისი უფლებები და მოითხოვოს

¹¹⁰ ხარაზი ი., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, (მესამე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა),გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2014 წ., 104გვ.

¹¹¹იქვე.

¹¹² ხუნაშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი გვ 90.

ვალდებულებების შესრულება, ხოლო მისი არარსებობა იწვევს არასასიკეთო სამართლებრივ და მატერიალურ შედეგებს, მათ შორის პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას არაკეთილსინდისიერი კანონდამრღვევი პირის მიმართ.¹¹³

ერთ-ერთ ნაშრომში მკვლევარს ეჭვი ეპარება, სამოქალაქო პროცესში კეთილსინდისიერების ცნების შემოტანის გონოვრულობაში. “მისი აზრით, ეს არაფრით განსხვავდება სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტის უფლების საზღვრებისგან და ასევე მასზე დაფუძნებულ უფლების ბოროტად გამოყენების განსაზღვრებისაგან. მისი განმარტებით იმ გარემოებებში, როცა ცნება „უფლების ბოროტად გამოყენება“ არ არის ახსნილი კანონში და არც უმაღლესი სასამართლო ორგანოების განმარტებებში, პრაქტიკაში სამოქალაქო საპროცესო სამართალურთიერთობის მონაწილეთა ქმედებები საკმაოდ იშვიათად მიიჩნევა, როგორც უფლების ბოროტად გამოყენება. ავტორის აზრით ასეთი მიდგომა სწორია, რადგან ამკრძალავი სამართლებრივი ნორმის გამოყენებამ, სადაც მითითებული არ არის აკრძალული ქმედების ნიშნები, შესაძლოა მიგვიყვანოს კანონიერების პრინციპის დარღვევასთან სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების დროს.“¹¹⁴

ძალიან მწვავე და საინტერესო მოსაზრებაა დაფიქსირებული სამოქალაქო უფლების კეთილსინდისიერად განხორციელების მნიშვნელობაზე საუბრის დროს მკვლევართან, რომელიც ამბობს: “ის ვინც ატყუებს სხვას, თავად ატყუებს თავის თავს, ჩადის თვიდნეობას, უხეშად არღვევს უფლებებს და უარს აცხადებს თავის კეთილშობილურ მოთხოვნაზე. ასეთი ადამიანი არის მონა, რომელსაც თავისი თავი მეფედ წარმოუდგენია და რომელიც ვერასოდეს ვერ იქცევა თავისუფალ ადამიანად“.¹¹⁵

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მხარეების, მესამე პირების და საპროცესო ურთიერთობის მონაწილეთა მიერ, საპროცესო უფლებების კეთილსინდისიერად გამოყენების შესახებ რაიმე დანაწესი ნორმის სახით, როგორც ითქვა, არ არსებობს. ეს არ ნიშნავს, რომ მოცემული საკითხი საერთოდ სამართლებრივი მოწესრიგების მიღმაა დარჩენილი.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მაქსიმალურად ცდილობს თავიდან აიცილოს არაკეთილსინდისიერი მოქმედებები მიმართული მართლმსაჯულებისა და მხარის წინააღმდეგ. სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად: იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

¹¹³ (იხ,ციტირება) Краснова С. А., Определение Понятия „Добросовестность“ в Российском Гражданском Праве, Журнал Российского Права, № 3, М., 2003., გვ. 67.

¹¹⁴ (შეადარე) Емельянов В. И., Запрет Злоупотребления Гражданскими Правами, Журнал Законность, № 10, М., 1999, გვ. 55.

¹¹⁵ Savigny F. C. Aufsatz für die Zeitschrift für geschichtliche Rechtswissenschaft. Berlin, 1845, გვ. 4.

როგორც ვიცით სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს თუკი ჩათვლის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. (იხ.სსსკ-ის 191 მ.). სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნა, სარჩელის აღძვრამდეცაა შესაძლებელი, ასე ვთქვათ, გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც არსებობს შიში ქონების მოსალოდნელი გაყიდვის, გაჩუქების, გადამალვის და ასე შემდეგ. (იხ.სსსკ-ის 192 მ.). უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებმა შეიძლება გარკვეული ზიანი მიაყენოს მოპასუხეს. კანონი იცავს არამარტო მოსარჩელის, მოპასუხის ინტერესებსაც. სარჩელის უზრუნველყოფა შეიძლება დაკავშირებული იყოს გარკვეულ ზიანთან. მითუმეტეს მაშინ, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გამცხადებელი ცდილობს ბოროტად გამოიყენოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებები. შესაძლებელია ისეთი გარემოებაც, როდესაც განმცხადებელი არ მოქმედებს წინასწარი განზრახვით, უფლების ბოროტად გამოყენების მიზნით. ის უბრალოდ უშვებს შეცდომას და ჯერა, რომ მისი უფლებები დარღვეულია ან სადავოდ იქცა. ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი გარემოება სასამართლოს მხრიდან გათვალისწინებული უნდა იყოს მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების მიზნით.

სსსკ-ის 199-ე მუხლის I პუნქტის მიხედვით: „თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიაღგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.“

საქმეების დროულად და კანონით დადგენილ ვადებში განხილვას ემსახურება საქმის წინასწარი მომზადება. ამ ეტაპზე უნდა შესრულდეს ისეთი საპროცესო მოქმედებები, როგორცაა შეგებებული სარჩელის აღძვრა, მტკიცებულებების წარმოდგენა, ადგილზე დათვალიერება, მესამე პირების საქმეში ჩაბმა და ა. შ.

საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დროს, მხარის მიერ აღძრული სხვადასხვა ხასიათის შუამდგომლობა, მაგალითად: მოწმეთა გამოძახება, სხვა მტკიცებულებების წარმოდგენა, შეგებებული სარჩელის აღძვრა, მესამე პირების საქმეში ჩართვა და ა. შ. სასამართლოს მიერ მიღებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი: „საქმის მომზადების სტადიაზე მხარეებს არ შეეძლოთ მათი წარმოდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე. ასეთ

შემთხვევაში საქმის განხილვა მხარეთა თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება გადაიდოს.“ (სსსკ-ის 215-ე მუხლი).

საქმის გადადების შემთხვევაში სასამართლო დაავალებს მხარეებს დანიშნულ ვადაში წარმოადგინონ მათ ხელთ არსებული მტკიცებულებები. მხარეები შეზღუდული არიან, წარმოადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საკატიო მიზეზით არ იყო გაცხადებული.

სსსკ-ის 268-ე მუხლით: სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები. ამ მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად: „გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში.“ სხვა სიტყვებით, სასამართლოს შეუძლია დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე, ან ეს შეიძლება სასამართლოს ინიციატივითაც მოხდეს, მოსთხოვოს გადამხდევინებელს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება თანხის შეტანით საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე.

მაშასადამე, როგორც განხილული მაგალითებიდან ირკვევა, კანონმდებელი მოწოდებულია გაატაროს გარკვეული ღონისძიებები მხარეთა საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. უფლება-მოვალეობათა კეთილსინდისიერად განხორციელების პირდაპირ ვალდებულებას საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს, თუმცა კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულებას სასამართლო პრაქტიკა გამოკვეთს საპროცესო ნორმათა სისტემური ანალიზის საფუძველზე. ისიც საყურადღებოა, რომ პრაქტიკაში არსებული მიდგომებისა და განმარტებების თანახმად, კეთილსინდისიერება არა მარტო მხარეს ავალდებულებს მოქმედების სათანადოდ განხორციელებას, არამედ სასამართლოსაც ავალდებულებს მხარის ქცევის გათვალისწინებას, რის გამოც სასამართლო თუკი დაინახავს მხარის კეთილსინდისიერ ქცევას, აღარ არის უფლებამოსილი ასეთი მხარის მიმართ დაადგინოს უარყოფითი შედეგები.

მხარის მოქმედება არაკეთილსინდისიერად იქნა შეფასებული გერმანიის (მიუნხენის) სასამართლოს მიერ, რომელმაც თავის ერთ-ერთ საქმეზე მიუთითა შემდეგი: სააპელაციო სასამართლომ დამაჯერებლად აჩვენა, რომ 2017 წლის 27 მარტს ადგილი ჰქონდა მოპასუხის მხრიდან მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულებას. არ შესრულდა გკს-345-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები, ვინაიდან მოპასუხის წარმომადგენელმა გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და შემდეგ

ხელმეორედ არა საპატიო მიზეზით, არ გამოცხადდა საქმის ზეპირ განხილვაზე.¹¹⁶

არის შემთხვევები, როდესაც პირის მიერ სასამართლოში სარჩელით მიმართვისას აღმოჩნდება, რომ სარჩელი არის დაუსაბუთებელი. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად დიდი მსგავსებისა, დაუსაბუთებელი სარჩელით მიმართვა და არაკეთილსინდისიერი მოქმედება შეიძლება განვსაზღვროდ სხვადასხვანაირად. სარჩელის დაუსაბუთებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს განმცხადებლის უუნარობით მიუთითოს უფლება, რომელიც ნამდვილად არის დარღვეული ან მისი აზრით ექვემდებარება დაცვას.

აშკარაა, რომ აღნიშნული მოვლენა, მოითხოვს სასამართლოს მხრიდან ყურადღებას. უნდა მოიძებნოს კრიტერიუმები, რომლებიც განასხვავებს, არაკეთილსინდისიერ და კეთილსინდისიერ მოქმედებებს ერთმანეთისაგან. ამ შეფასების გაკეთება შესაძლებელია პიროვნების მიერ შესრულებული სხვადასხვა მოქმედების გაანალიზების საფუძველზე.

“უფლების დარღვევა შეიძლება გამოვავლინოთ მხოლოდ სასამართლოში საქმის განხილვის დროს, კონკრეტული საპროცესო მოქმედებების შესრულების შედეგად.”¹¹⁷

აღნიშნულთან დაკავშირებით საილუსტრაციოდ საყურადღებოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება. მოსარჩელის სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლომ განუხილველად დასტოვა იმის გამო, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა მითითებული მოპასუხის რეალური მისამართი. სააპელაციო სასამართლომ ამ საქმეზე ყურადღება გაამახვილა მხარის მოსარჩელის სუბიექტური დამოკიდებულების გათვალისწინების აუცილებლობაზე მოპასუხის რეალური ადგილსამყოფელის საკითხის ცოდნისადმი. აღნიშნული ობიექტური გარემოებისადმი (იგულისხმება რეალური ადგილსამყოფელის ობიექტურად არსებობა-ხაზგასმა ავტორისეულია კ.საყვარელიძე) მოსარჩელის სუბიექტური დამოკიდებულება კი, საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით ორ განსხვავებულ შედეგს იწვევს. მაგალითად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მისამართი არასწორია, ანუ განზრახ მიუთითა მან მოპასუხის არასწორი მისამართი, მაშინ სასამართლოს შეუძლია ასეთი მოსარჩელის მიმართ დააყენოს უარყოფითი შედეგი სარჩელის განუხილველად დატოვების სახით, ხოლო როდესაც მართალია, მოპასუხის მიმართ მოსარჩელემ არასწორად მიუთითა, მაგრამ მოპასუხის ფაქტობრივი მისამართის ფაქტის ცოდნისადმი მოსარჩელის დამოკიდებულება კეთილსინდისიერია, მაშინ ზემოაღნიშნული უარყოფითი შედეგი ვერ დადგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს თქმით შესაძლოა წახალისდეს არაკეთილსინდისიერი მოპასუხე, რომელიც არ არის დაინტერესებული საქმის განხილვით და მოპასუხემ ბოროტად გამოიყენოს საპროცესო უფლებები (

¹¹⁶< <https://openjur.de/u/2135449./> > [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.03.20]

¹¹⁷ Siebert. Vam. Wesen des rechtsmissbrauchs-berlin, 1935 გვ. 20.

მოითხოვოს სარჩელის განუხილველად დატოვება), რაც არ უნდა დაუშვას სასამართლომ.¹¹⁸

იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით სხვადასხვა არაკეთილსინდისიერი მოქმედებების გამოვლინებების კლასიფიკაციას სახეობების მიხედვით: “1) არაკეთილსინდისიერად ხელსაყრელი საპროცესო მდგომარეობის შექმნა. 2) საპროცესო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. 3) ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებების განხორციელება. 4) გაშვებული საპროცესო უფლების გამოყენება.

ავტორი იქვე განმარტავს წარმოდგენილ სახეობებს. 1) არაკეთილსინდისიერად შექმნა ხელსაყრელი საპროცესო მდგომარეობა ნიშნავს, როდესაც მოსარჩელეს სურს, რომ საქმის განიხილვა მოხდეს მისთვის სასურველ სასამართლოში, ხელოვნურად ჰყოფს თავის სასარჩელო მოთხოვნებს ან მიმართავს მანიპულაციებს განსჯადობის მისაღწევად. 2) საპროცესო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ადგილი აქვს, როდესაც მხარეები არაკეთილსინდისიერად იყენებენ უფლებებს, როგორცაა პროცესზე შუამდგომლობების ან ახსნა-განმარტებების გაკეთება, რაც წინააღმდეგობაშია მათ მიზნებთან. 3). ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებებს მიეკუთვნება მხარის მიერ ადრე გაკეთებული განცხადებების უეცარი შეცვლა. 4) გაშვებული საპროცესო უფლების გამოყენებაში იგულისხმება, არასაპატიო მიზეზით გაშვებული საპროცესო ვადების შემდეგ, ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში საჩივრით მიმართვა და ქვემდგომი სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრება. ასევე, არასაპატიო მიზეზით დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში”.¹¹⁹

როდესაც სამოქალაქო პროცესში კეთილსინდისიერების საკითხს განვიხილავთ შეიძლება ითქვას, რომ ყოველ სუბიექტს აქვს თავისი ჩარჩოები და კრიტერიუმები კეთილსინდისიერების განმსაზღვრელი. აქვს პიროვნებას უფლება იმოქმედოს სხვათა უფლებების წინააღმდეგ და ეს ახსნას იმ საპროცესო უფლებამოსილებებით, რომელიც მას მინიჭებული აქვს კანონმდებლობით და თუ გნებავთ კონსტიტუციით?

„კეთილსინდისიერების პრინციპი ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში განიხილავს. იგი ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა. პირი ცალკეულ შემთხვევაში „კეთილსინდისიერად“ მიჯნავს სამართლიანს უსამართლოსაგან და თავის ქცევას სამართლიანობის კრიტერიუმს შეუსაბამებს. მას უნდა სწამდეს, რომ სამართლიანად იქცევა, ანუ ისე, როგორც ამას ობიექტური დამკვირვებელი თუ მიუკერძოებელი პირი სამართლიანად შეაფასებდა. სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპს დაქვემდებარებული

¹¹⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.02. 2016 წ. განჩინება საქმეზე #28/4134-15.

¹¹⁹ Baumgartel G. Treu und Glauben im Zivilprozess. ZJP. 1973. გვ.355.

მოქმედების თავისუფლებიდან გამომდინარეობს სუბიექტის მიერ სხვა პირის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება იმ მოცულობით, რომელიც არ იწვევს თავად მისი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას.¹²⁰

„კეთილსინდისიერება ზნეობრივად მოქცევის ვალდებულებასაც გულისხმობს. სიკეთისა და ბოროტების კატეგორიების (ცნებების) მეშვეობით შეიძლება შეფასდეს ადამინის ქცევა, პიროვნების მორალური თვისებები, ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობები.“¹²¹

“გამომდინარე ზემოთქმულიდან, მოვალეობაში კეთილსინდისიერად გამოიყენო უფლებები, გაგებული უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა ის, რომ არ შეიძლება პირმა დაუშვას საკუთარი უფლებების გამოყენება სამოქალაქო სამართალწარმოების შეფერხების და სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მიზნით. არაკეთილსინდისიერ და მაშასადამე, ბოროტად უფლებების გამოყენებაში უნდა გავიგოთ იმ პრინციპების დარღვევა, რომლებიც დამკვიდრებულია პროცესის სწორად წარმართვისათვის, იმისათვის, რომ სასამართლომ ვერ შესძლოს სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა.“¹²²

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მნიშვნელოვან მოსაზრებას ვხვდებით ამ მხრივ, რომელიც უდავოდ გაზიარების ღირსია: „ქართული სასამართლო პრაქტიკა ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყენებს კეთილსინდისიერების პრინციპს, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობათა მონაწილეების უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის და დავის გადაწყვეტის უმნიშვნელოვანეს იურიდიულ ინსტრუმენტს. ამის მიზეზი შესაძლოა კეთილსინდისიერების რაობაზე შესაბამისი ინფორმაციის უქონლობაც არის. ავტორი იმედს იტოვებს, რომ წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვნად შეავსებს ამ ვაკუუმს.“¹²³

შეუძლებელია დაგუშვათ მოსაზრება, რომ კეთილსინდისიერად იყენებს მხარე უფლებებს თუ არა ეს მისი სამართლებრივი კულტურის გამოვლინებაა და სასამართლოს რეაქცია ამ მიმართულებით უნდა ატარებდეს მხოლოდ აღმზრდელობით ხასიათს. ამიტომ კეთილსინდისიერების და მხარეთა ურთიერთპატივისცემის შესახებ დანაწესი კანონში უსაფუძვლოა.

სასამართლომ კონკრეტულ სამოქალაქო საპროცესო ნორმაზე მითითებით უნდა მოუწოდოს მხარეებს პატივი სცენ ერთმანეთის უფლებებს და შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები. მცდარი მოსაზრება იქნება თუ ვიტყვით, რომ აღნიშნული პრინციპი ხშირად ვლინდება სხვადასხვა საპროცესო მუხლში და ეს თავისთავად გამორიცხავს საჭიროებას მის საკანონმდებლო დონეზე

¹²⁰ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, გვ. 83.

¹²¹ ხუნაშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი გვ. 12.

¹²² (იხ. ციტირება) Каллистратова А.Р., Участники Процесса по Новому Законодательству АПК и ГПК, изд-Норма, М., 2002, გვ. 200.

¹²³ ხუნაშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი გვ. 15

დამაგრებაში. სამოქალაქო საპროცესო კანონი და ზოგადად სამართალი წარმოუდგენელია იმ ძირითადი პრინციპების გარეშე, რომელსაც ეწოდება შეჯიბრებითობა, დისპოზიციურობა, თანასწორუფლებიანობა და ა. შ. მაშასადამე, არც მათი საკანონმდებლო დონეზე დამაგრებაა საჭირო, რადგან ჩვენთვის ყველასათვის კარგადაა ცნობილი ის პრინციპები, რასაც ეყრდნობა სამოქალაქო სამართალწარმოება. დაახლოებით ამგვარ სურათთან გვექნება საქმე, თუ მხარს დავუჭერთ ზემოთ ნახსენებ პოზიციას.

სამოქალაქო საპროცესო კანონი აღიარებს ძირითად ფუნდამენტურ პრინციპებს. ეს არის გარკვეულ წილად სახელმძღვანელო, როგორ უნდა მოვიქცეთ, რას მოითხოვს ჩვენგან კანონი და რა არის იმისათვის საჭირო, რომ კონკრეტულ საქმეზე დადგეს დროული და სამართლიანი გადაწყვეტილება. ასე ვთქვათ, ამკვიდრებს ურთიერთობის საკუთარ წესებს და მოგიწოდებს დაექვემდებარო თუ დაემორჩილო მას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველ ნაწილს, სადაც საუბარია მხარეთა საპროცესო უფლებებზე, ბოლო წინადადებას დაემატოს შემდეგი სიტყვები:

„მხარეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად გამოიყენონ მათთვის სამოქალაქო საპროცესო კანონით მინიჭებული ყველა უფლება და პატივი სცენ სხვა პირთა უფლებებსა და მოვალეობებს.“ სამოქალაქო სამართალწარმოება უნდა ემსახურებოდეს კანონიერებისა და სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებას, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას, სასამართლოსა და კანონისადმი პატივისცემით დამოკიდებულებას.

3.2 მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების ცნება და ნიშნები.

სამოქალაქო პროცესში არაკეთილსინდისიერი საპროცესო მოქმედება ხორციელდება შეგნებულად, გააზრებულად. სასამართლოს მხრიდან ხშირად არ არის იოლი დასადგენი რამდენადაა მხარის ინტერესი მიმართული სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისკენ. საპროცესო უფლების განხორციელების საფუძველი უნდა იყოს კანონიერი. სწორედ ეს ძირითადი ნიშანი დევს საპროცესო უფლებების სწორად და არასწორად გამოყენებას შორის. სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობის ბოროტად გამოყენებას საფუძვლად უდევს საპროცესო ურთიერთობებისთვის მიუღებელი ქმედება, რომელსაც იყენებს მხარე საპროცესო სამართალურთიერთობის დროს.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.“

სსსკ-ის მე-2 მუხლის მიხედვით: „ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად“.

ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ მე-6 მუხლის მიხედვით: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს მისი სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების განსაზღვრის ან მისდამი წარდგენილი ყოველგვარი სისხლის სამართლის ბრალდების წარდგენის დროს ითხოვოს მისაღები ვადის განმავლობაში დამოუკიდებელი და მიუმხრობელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანად და საჯაროდ განხილვა. ამავე კანონის მე-17 მუხლი პირდაპირ უთითებს: „არაფერი ამ კონვენციაში არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფს ან პირს უფლება აქვს აწარმოოს ნებისმიერი მოღვაწეობა ან შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რომლებიც მიმართული იქნება ამ კონვენციაში მითითებული უფლებების ან თავისუფლებების ლიკვიდაციისაკენ და მათი შეზღუდვისაკენ უფრო მეტად, ვიდრე ეს კონვენციაშია მითითებული“.¹²⁴

სასამართლომ უნდა მიიღოს კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნით შევსებული სარჩელი წარმოებაში და მასზე უარის თქმა დაუშვებელია. თუმცა ზემოთდასახელებული სსსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში ვკითხულობთ შემდეგს: განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

მაგალითად საკასაციო სასამართლო თავის ერთ-ერთ საქმეზე უთითებდა შემდეგს:

2007 წლიდან დღემდე ა. ლ.-შვილმა არაერთი სარჩელი შეიტანა სასამართლოში საქმის წარმოების განახლების შესახებ სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით. მისი განცხადების განუხილველად დატოვების შემდეგ, მხარე მიმართავდა სასამართლოს კერძო საჩივრებით, რომელთა დაუკმაყოფილებლობის თაობაზე სასამართლო განჩინებებს კვლავ ასაჩივრებდა, ახლად აღმოჩენილი გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებების შეტანის გზით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ლ.-შვილი ბოროტად იყენებს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, რადგან მისი განცხადებები და საჩივარი, როგორც ზემოთ უკვე

¹²⁴ მიღებულია 1950 წ. 4 ნომბერს. საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1999 წ. 12 მაისის დადგენილებით. საქართველოს კანონები. ადამიანის უფლებათა შესახებ. საერთაშორისო აქტები და კონვენციები. გამომცემლობა „მერედიანი“, 2000წ. გვ. 391-395.

ავლნიშნეთ, მიზნათ არ ისახავს მხარის კანონიერი უფლების დაცვას და ლახავს მოწინააღმდეგე მხარის კანონიერ ინტერესებს. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ა. ლ.-შვილი აწარმოებს არაერთ დავას სასამართლოში, სადაც ანალოგიურად მიმართავს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამდენად მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილი და მართებულია ა. ლ.-შვილს მიმართ განსახილველ საქმეზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით მინიჭებული უფლების შეზღუდვა. აღნიშნული კი იმაში გამოიხატება, რომ ა. ლ.-შვილის მიერ სასამართლოში მოცემულ დავაზე შეტანილი ნებისმიერი სახის კორესპოდენცია (განცხადება, საჩივარი) დარჩება რეაგირების გარეშე.¹²⁵

“საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებას ადგილი აქვს, როდესაც მხარის მოქმედება ფორმალურად შეესაბამება საპროცესო კანონის მოთხოვნებს, თუმცა სცილდება ამ ნორმის მოქმედების ფარგლებს. ეს არის საპროცესო უფლება-მოვალეობის ბოროტად გამოყენების თავისებურება. მხარის მიერ საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენება არ არის დაკავშირებული ამ უფლების შინაარსთან, არამედ ამ უფლების განხორციელებასთან.”¹²⁶

სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას განმარტავს უზენაესი სასამართლო მომდევნო კიდევ ერთ გადაწყვეტილებაში:

მხარის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებისას სასამართლო თანაბარწილად იცავს ორივე მოდავე მხარის კანონიერ ინტერესებს (*სსსკ-ის მე-5 მუხლი*). ერთი მხარის მიერ უფლების გადამეტება (*ბოროტად გამოყენება*) პირდაპირ ხელყოფს მეორე მხარის უფლებებს თუნდაც დავის გაჭიანურების თვალსაზრისით. სასამართლო ვალდებულია გონივრულ ვადაში გადაწყვიტოს დაწყებული დავა და დაუსვას მას საბოლოო წერტილი. მოცემულ შემთხვევაში კი, მხარის ერთი და იგივე შინაარსის დაუსრულებელი შუამდგომლობები ამ შედეგის მიღწევის მიზანს სცილდება.

ზემოაღნიშნულის გამო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც კი (*ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე – იედემსკი და იედემსკა პოლონეთის წინააღმდეგ*) დასაშვებად მიიჩნევს, გარკვეულ შემთხვევაში პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას.

ევროსასამართლოს განმარტებით, დასაშვებია გამონაკლისი „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის

¹²⁵. (იხ.ციტირება) უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 21.07.

2011წ.გადაწყვეტილება საქმეზე #ას-1086-115-2011

¹²⁶ Грыбанов В. П., Осуществление и Защита Гражданских Прав, изд-2, изд- Статус, М. 2000. გვ. 44-47.

კონვენციის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების დასაცავად მომჩივანი მხარის სასამართლო ხელმისაწვდომობის ეფექტური უფლების გამოყენებისას. სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს, თუ ის ისახავს კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული თანაფარდობა ამ საშუალებების გამოყენებასა და კანონიერ მიზანს შორის.

შესაბამისად საკასაციო სასამართლო მივიდა შემდეგ გადაწყვეტილებამდე: შ.ბ.-მე ბოროტად იყენებს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, რადგან მისი განცხადებები და შუამდგომლობები მიზნით არ ისახავს მხარის კანონიერი უფლების დაცვას, რის გამოც, მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილი და მართებულია მის მიმართ განსახილველ საქმეზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით მინიჭებული უფლების შეზღუდვა. აღნიშნული კი იმაში გამოიხატება, რომ შ.ბ.-მის მიერ საკასაციო სასამართლოში მოცემულ დავაზე შეტანილი ნებისმიერი სახის კორესპოდენცია, რომლის მოთხოვნაც იქნება საკასაციო სასამართლოს მიერ უკვე მიღებული განჩინების გაუქმება, მოსამართლეთა აცილება და შუალედური საპროცესო აქტების განმარტება, დარჩება რეაგირების გარეშე.¹²⁷

„სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანები წარმატებით გადაწყდება მხოლოდ მაშინ, როცა დაცული იქნება კანონიერება, რაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცების, სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა.“¹²⁸

მხარე, რომელიც პროცესზე აყენებს საქმისათვის არაფრის მომცემ შუამდგომლობებს არ შეიძლება საკუთარ მოქმედებებს ხსნიდეს იმით, რომ ის იმყოფება შეჯიბრებითობის პროცესში და მოქმედებს იმ საპროცესო ნორმების დაცვით, რაც მას მინიჭებული აქვს კანონით. ჯერ კიდევ ძველ რომში სასამართლო უპირველეს ყოვლისა ამოწმებდა არსებობდა თუ არა სადავო უფლება და შემდეგ იყენებდნენ იძულებით ზომებს ამ უფლების განსახორციელებლად.¹²⁹

¹²⁷ (იხ.ციტირება) უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 18. 02.2020

წ.გადაწყვეტილება საქმეზე #ა-234-გან-3-2020.

¹²⁸ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი გვ.14

¹²⁹ (იხ.ციტირება)Гримм Д. Д. Лекции по Догме Римского Права, Пособие для Слушателей, изд-во Зерцало, М., 1910 . გვ. 138.

ერთ-ერთი გერმანელი მეცნიერის აზრით, შეჯიბრებითობის პრინციპი არის ბასტიონი სამოქალაქო პროცესში. ეს არის ამოსავალი წერტილი მხარეთა მოქმედებებისათვის, რაზედაც უნდა ეყრდნობოდეს მართლმსაჯულება.¹³⁰

“შეჯიბრებითობის პრინციპი, ისევე როგორც ყველა სხვა სამოქალაქო პროცესის პრინციპი არ არის შეუზღუდავი. არაკეთილსინდისიერი მოქმედების დროს მხარის მითითება, რომ ის მოქმედებს შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე არის აბსურდული. არ შეიძლება მხარის არაკეთილსინდისიერი მოქმედების გამართლება. შეჯიბრებითობა არ გულისხმობს აბსოლუტურ თავისუფლებას საქმის მოგების მიზნით.”¹³¹

მხარეების ერთმანეთისადმი ურთიერთდაპირისპირებული ინტერესი არ ნიშნავს, რომ მხარეებს უფლება აქვთ საკუთარი მოქმედებებით ხელი შეუშალონ სასამართლოს საქმიანობას. სასამართლო ვალდებულია ხელი შეუწყოს მხარეთა შორის შეჯიბრებითობის პროცედურის წარმართვას. ეს გარკვეულწილად მხარეების მიერ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების სწორად, კეთილსინდისიერად გამოყენების საფუძველია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო მოუსმენს მხარეებს და უშუალო მონაწილეობას მიიღებს მტკიცებულებების გამოკვლევაში შეუძლია შეუდგეს საქმეზე გადაწყვეტილების მიღების გამოტანას.¹³²

მხარეებს შორის სწორად წარმართული შეჯიბრებითობა, წარმოადგენს პროცესის მატერიალურ მხარეს. შუამდგომლობების დაყენება, მტკიცებულებების წარდგენა და ა. შ. პროცესის ფორმალური მხარეა, რომლის სწორად წარმართვა აბსოლუტურად დამოკიდებული უნდა იყოს სასამართლოს შეხედულებაზე, მის პოზიციაზე. (პროცესის წარმოების ფორმის დაცვა, ვადების განსაზღვრა პროცესის ჩასატარებლად და ა. შ.). რაც შეეხება იურიდიულ მხარეს (მხარეებს შორის ურთიერთობა, რა დარღვევას ჰქონდა ადგილი, შესაბამისი კანონის მიღება, აქტის იურიდიული კვალიფიკაცია) შეჯიბრებითობის საწყისებიდან უნდა გამომდინარეობდეს და მხოლოდ ამის საფუძველზე შეუძლია სასამართლოს იმსჯელოს, ვინ არის მართალი და ვინ არა.¹³³

დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით პირი სარჩელით მიმართავს სასამართლოს. ერთ-ერთი ამ ელემენტის არარსებობა გვაძლევს ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის ინტერესი არ

¹³⁰ (იხილეთ ციტირება) Bomsdorf. Ppозemaximen und Re Chtswirklichkeit, Verhandlungs- und Untersuchungsmaxime im deutschem Recht bis zur ZPO, Berlin, 1971. გვ. 19.

¹³¹ Васьковский Е. В. გამოყენებული ნაშრომი, გვ. 680

¹³² (იხ. ციტირება) Arens/Luke.. Zivilprozebrecht, Munchen, 1994, AUFL. გვ 22.

¹³³ (იხ. ციტირება) Яблочков Т. М. Учебник Русского Гражданского Судопроизводства, Издание Второе Дополнение, изд-во вестник гражданского права, Ярославль, 1912, გვ. 34-35

საჭიროებს სასამართლო წესით დაცვას. ეს ელემენტებია: “1. მოსარჩელის სწრაფვა მიაღწიოს საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებას. 2. უფლების სასამართლო წესით დაცვის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. 3. მოსარჩელის ნება დაიცვას თავისი უფლება. 4. უფლების სასამართლო წესით დაცვის დაყოვნების (შეფერხების) დაუშვებლობა.”¹³⁴

სამოქალაქო სამართალწარმოება უნდა იყოს საზოგადოებისათვის შეუცვლელი სიკეთის მომტანი, რომელიც გაუწევს მას სოციალურ დახმარებას. პროცესის მიზანი უნდა იყოს დარღვეული მატერიალური უფლების აღდგენა. ამისკენ უნდა ესწრაფვოდნ პირები მის ხელთ არსებული რესურსის გამოყენებით. სახელმწიფომ სასამართლოს მეშვეობით უნდა აიღოს ეს მისია და შესთავაზოს მოქალაქეებს კერძო დავების ცივილიზებული ანუ სამოქალაქო მართლმსაჯულების გზით მოწესრიგება¹³⁵

სწორედ ამ ცივილიზებული გეზის წინააღმდეგ არის ზოგჯერ მიმართული მხარეთა მოქმედებები სასამართლო პროცესზე. სასამართლო ამოწმებს წარმოდგენილი მოთხოვნების სამართლიანობას და დასაბუთებულობას. თუკი სისხლის სამართლის გამოძიების პროცესში ინიციატივა ეკუთვნის სასამართლოს კომპეტენციას, სამოქალაქო პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე სასამართლო სთავაზობს მხარეებს თვითმოქმედების დიდი სივრცეს, იმისათვის, რომ უკეთესად გამოვლინდეს დაირღვა თუ არა და რა დოზით მატერიალური უფლება. საპროცესო უფლება მხარეს მინიჭებული აქვს იმისათვის, რომ დახმარება აღმოუჩინონ სასამართლოს დროული და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაში. ამიტომ, როდესაც მხარეები საპროცესო მოქმედებებს სჩადიან არა ამ მიზნით, არამედ პროცესის გაჭიანურების ან სასამართლოს შეცდომაში შესაყვანად, მათთვის მინიჭებული საპროცესო უფლება კარგავს თავის შინაარსს და გადის ფარგლებიდან. მაშასადამე, საპროცესო უფლებების ბორტად გამოყენებაში უნდა მოვიაზროთ, მხარეების მიერ დროული და სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების წინააღმდეგ მოქმედება,¹³⁶

სამოქალაქო პროცესში მხარეებს მინიჭებული აქვთ უამრავი უფლება და მოვალეობა, რომელთა დარღვევა შესაძლოა გამოვლინდეს სხვადასხვა მოქმედებით. ამიტომ აუცილებელია, რომ მხარეებმა დაიცვან შემდეგი პირობები: “1) მოსარჩელეები ვალდებული არიან იყვნენ კეთილსინდისიერები. მათ თავი უნდა შეიკავონ სასამართლოში დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო სარჩელების წარდგენისაგან. 2)

¹³⁴ Wieser E. Das Rechtsschutzinteresse des klagers im Zivilprozess, 1971, გვ.238.

¹³⁵ (იხ. ციტრუბა) Klein. Zeit-und Geistesströmungen im Prozesse, Dresden, 1901 გვ. 36.

¹³⁶ (იხ. ციტრუბა) Васьковский Е. В. გამოყენებული ნაშრომი გვ. 676

მოპასუხეები ვალდებული არიან უსაფუძვლოდ არ უარყონ მათ წინააღმდეგ წაყენებული მოთხოვნები. 3) მხარეებმა კეთილსინდისიერად უნდა გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლებები. ვალდებული არიან არ შეეწინააღმდეგონ სასამართლოს საქმის დროული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. ¹³⁷

გერმანელი მეცნიერის მიერ შემუშავებული იქნა წინაპირობები, რასაც უნდა დაეყრდნოს სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების დროს. მისი აზრით: პირის მიერ სარჩელის სასამართლოში შეტანის შემდეგ, სასამართლო უნდა განიხილავდეს სარჩელის დასაშვებობის საკითხს კერძოდ, სარჩელის შემომტანი უნდა იყოს ქმედუნარიანი პირი, დაცული უნდა იყოს განსჯადობის წესები და არსებობდეს იურიდიული ინტერესი მოთხოვნის სასამართლო წესით დაცვის. ამასთან, მეცნიერი მიუთითებდა სარჩელის საფუძვლიანობის აუცილებლობაზე, რაც მის მატერიალურ-სამართლებრივი პირობის არსებობაში გამოიხატება. ერთ-ერთი ამ პირობის არარსებობა გამოიწვევდა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარს. ¹³⁸

სამოქალაქო პროცესში არის შემთხვევები, როდესაც მოსარჩელეს სურს შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა. გერმანელი პროცესუალისტების აზრით, დისპოზიციურობის პრინციპი საპროცესო სამართალურთიერთობაში წარმოადგენს კერძო ავტონომიას, ვინაიდან მხარეები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ პროცესის დაწყებას, მსვლელობას და დასრულებას. ¹³⁹ მხარეს უფლება აქვს შეცვალოს სარჩელი, დაამთავროს საქმე მორიგებით, ან უარი თქვას სარჩელზე. ¹⁴⁰

მხარე სარჩელის უფლებას უნდა იყენებდეს კეთილსინდისიერად, საპროცესო კანონის სრული დაცვით. შესაბამისად, საპროცესო კანონიც უნდა იყოს მეტად გასაგები, რომ გამოირიცხოს ორაზროვნება, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია მხარის მიერ საპროცესო უფლებების განხორციელებაში. სარჩელის საფუძვლის შეცვლაში უნდა მოვიაზროთ მოსარჩელის საპროცესო შესაძლებლობა შეცვალოს ფაქტები, რომლებიც წარმოადგენს თავდაპირველი სარჩელის საფუძველს. მოსარჩელეს აქვს ამის უფლება საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე. ხოლო მთავარ სხდომაზე, მოსარჩელეს შეუძლია ეს გააკეთოს მოპასუხის თანხმობით. თანხმობის შემთხვევაში მოპასუხემ შეიძლება მოითხოვოს დრო შეცვლილი

¹³⁷ Юделсон К. С., Промлема Доказывания в Советском Гражданском Процессе, Изд.-Юрид. Литература. М. 1951 гв. 293.

¹³⁸ (იხ. ციტრება) Hellwig K. Klagrecht und Klagmoglichkeit, Leipzig, Neudruck, Aelen. 1968 გვ. 53.

¹³⁹ (იხ. ციტრება) Arens/Huke. Zivilprozebrecht. Erkenntnisverf Ahren. Zwarengvollstreckung. Munchen, 1992. გვ. 5.

¹⁴⁰ (იხ. ციტრება) Leipold. Verfahrensbeschleunigung und Prozebmaximen. Festshrift Fur W. Fasching, Wien, 1988. გვ. 336.

სარჩელის გასაცნობად და თავდასაცავად. ანუ, კანონი აძლევს მხარეს უფლებას მთავარ სხდომაზე დააყენოს სარჩელის შეცვლის მოთხოვნა. ეს უფლება მოსარჩელემ შეიძლება გამოიყენოს როგორც კეთილსინდისიერად ასევე, ბოროტად. თუ მოსარჩელე ამ მოთხოვნას მთავარ სხდომაზე აყენებს იმის გამო, რომ მისთვის ამ დავაზე ახალი გარემოებებია ცნობილი და მას მიაჩნია, რომ უმჯობესია სხვა გარემოებებზე მითითება, ამას საერთო არაკეთილსინდისიერებასთან არაფერი აქვს. ასევე, შეუძლია მიუთითოს დამატებით ფაქტებზე, ან ამოიღოს ნაწილი ფაქტებისა, რომლებიც ადრე იყო მითითებული. მაგრამ თუ ამ მოქმედებას მოსარჩელე ჩადის იმ მოტივით, რომ პროცესი გააჭიანუროს რა თქმა უნდა ეს საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენებაა. საპროცესო კანონი ამ შემთხვევაში მოპასუხის ინტერესებსაც იცავს. მოპასუხეს შეუძლია მოსარჩელის შუამდგომლობას მთავარ სხდომაზე სარჩელის შეცვლის თაობაზე, არ დაეთანხმოს, ამ შემთხვევაში სხდომა გაგრძელდება ჩვეულებრივ.

სსსკ-ის 83 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს მოპასუხეს.“

შეიძლება თუ არა საპროცესო უფლების დარღვევად ჩაითვალოს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ, მოსარჩელემ გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, ისე, რომ არ დასჭირდეს ამისათვის მოპასუხის თანხმობა? სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით: „საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ სარჩელის საფუძველის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სასამართლო სხდომის გადადება სხვა დროისთვის.“

სსსკ-ის 83-ე მუხლის, მე-4 ნაწილში ვკითხულობთ შემდეგს: „სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.“ მაშასადამე, სასარჩელო მოთხოვნების შესამცირებლად მოპასუხის თანხმობა საჭირო არ არის, მაგრამ სასარჩელო მოთხოვნის გადიდების შემთხვევაში როგორ მოვიქცეთ?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთ საქმეზე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგი: „სსსკ-ის 84-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება ან დამატება, რაც იმას ნიშნავს, რომ სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი უცვლელი რჩება,

ზუსტდება ან ემატება ახალი ფაქტები, მაგრამ სარჩელის თავდაპირველი ფაქტობრივი საფუძვლის აზრი და შინაარსი არ იცვლება.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოში არ შეუცვლია თავისი მოთხოვნის თავდაპირველი ფაქტობრივი საფუძვლის აზრი და შინაარსი. იგი სარჩელში მიუთითებდა, რომ დაირღვა მისი შრომითი უფლებები. უკანონოდ დაითხოვეს სამსახურიდან, ხოლო მთავარ სხდომაზე დაამატა, რომ მისი უფლებები შრომის წიგნაკის დაყოვნებითაც დაირღვა. ამდენად მოსარჩელეს დავის საგანი და საფუძველი არ შეუცვლია, მოსარჩელემ დაამატა ახალი ფაქტები, შესაბამისად გაზარდა მოთხოვნა და შრომის წიგნაკის დაყოვნებისათვის მოითხოვა ანაზღაურება.¹⁴¹

სსსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, აპელაციამ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ მსგავსი პრობლემები თავიდან ავიცილოთ, საპროცესო კანონი იყოს მეტად გასაგები და გამოირიცხოს ორაზროვნება, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია საპროცესო უფლებების განხორციელებაში, უმჯობესია სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილს დაემატოს სიტყვა „გადიდება“ და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება ან გადიდება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.¹⁴²

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ: სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანაა საქმის დროული განხილვა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. სამოქალაქო სამართალწარმოება უნდა ემსახუროდეს კანონიერების განმტკიცებას და ავტორიტეტის ამაღლებას საზოგადოებაში. სასამართლომ ამ მიმართულებით უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლო ბერკეტი.

უფლების ბოროტად გამოყენება არის, უფლებამოსილი პირის განზრახვა სამართალდარღვევით განახორციელოს სამოქალაქო უფლება. შესრულებული მოქმედება უნდა იყოს ნეგატიური, უარყოფითი ხასიათის და არსებობდეს მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.¹⁴³

¹⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 02.06. 2005 წ. გადაწყვეტილება საქმეზე #ას-519-841-05.

¹⁴² საყვარელიძე კ. სარჩელის შეცვლის პრობლემა სამოქალაქო სამართალწარმოებაში. „მართლმსაჯულება და კანონი“ #2/16 გვ.100.

¹⁴³ (იხ. ციტრება) Белоножкин А. Ю. Содержанье и Формы Злоупотребления Субъективным Гражданским Правом. Авторефер. Канд. Юрид. Наук. Волгоград, 2005 გვ. 5- 6 <disserCat-Электронная Библиотека диссертаций>

სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების მთავარი სუბიექტი არის მართლმსაჯულების ორგანო სასამართლო, რაც მიუთითებს სახელმწიფოს ინტერესს განახორციელოს მართლწესრიგი. შესძლოს დროული და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება. მხოლოდ შეჯიბრებითობას შეუძლია უზრუნველყოს პროცესის ამ სახით ორგანიზება. თუმცა, რიგი პროცესუალისტები თვლიდნენ, რომ: საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენების ცნების შემოღება უარყოფითად იმოქმედებს მხარეთა თავისუფლებაზე, დისპოზიციურობასა და შეჯიბრებითობაზე. პროცესი თავისუფალია მორალისაგან. პროცესში, როგორც პოლიტიკაში ან ომში დასაშვებია ყველა საშუალება.¹⁴⁴

იგივე მოსაზრებას სხვა უცხოელ მკვლევართანაც ვხვდებით: მისი მტკიცებით უფლება ითვლება აბსოლიტურ შეუზღუდავ ფასეულობად. უფლება არსებობს იმისათვის, რომ ყველამ შესძლოს განახორციელოს ეს უფლება თავისუფლად.¹⁴⁵

ძნელია გაიზიარო ამგვარი მოსაზრება. ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ აზრსაც ვხვდებით, რომელიც გაცილებით მისაღებია: “საპროცესო წინააღმდეგობა არ უნდა გახდეს უკომპრომისო ბრძოლად მხარეებს შორის არაკეთილსინდისიერი მეთოდების გამოყენებით. თუკი საომარი მოქმედებების დროს მეომარი მხარეები არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული რაიმე ძალით და შეურიგებელი მტრობა ხელს უხსნის მათ ერთმანეთის წინააღმდეგ, მოდავე მხარეები სასამართლოში იმყოფებიან სასამართლოს და კანონის დაქვემდებარების ქვეშ”.¹⁴⁶

ფაქტიურად იგივე მოსაზრებას სხვა ავტორთანაც ვხვდებით: “სასამართლო ვალდებულია დაიცვას სახელმწიფოს ინტერესები და დაიმსახუროს საზოგადოების პატივისცემა სასამართლო ხელისუფლების მიმართ. ამიტომ არ დავუშვათ უპატიოსნო ილეთები, რომელიც მიაყენებს ზიანს სასამართლოს ღირსებას, პრესტიჟს და უარყოფითად იმოქმედებს მეორე მხარის უფლებებსა და ინტერესებზე. თუ ასე არ მოვიქცევით სასამართლოში საქმის განხილვა სულაც არ არის აუცილებელი, რადგან აზრს კარგავს მისი ფუნქციონირება.”¹⁴⁷

ამ პრობლემას ცოტა მოგვიანებით შეეხო კიდევ ერთი გერმანელი მკვლევარი გირკე, რომელმაც წამოჭრა უფლების შეზღუდვის იდეა: უფლება

¹⁴⁴ (იხ.ციტრება) Goldschmidt. Prozess als Pechtslage. Berlin, 1925 გვ. 292

¹⁴⁵ (იხ.შედრება) Windscheit. Lehrbuch des Pandektenrechts.-7Aufl.-Bd. I-fr. Am. M. 1891-87.

¹⁴⁶ (იხ.ციტრება) Васьковский Е. В., გამოყენებული ნაშრომი გვ. 679

¹⁴⁷ Гедда А. Н., Недабрасовестность Сторон в Гражданском Процесе, Журнал Министерства Юстиции, 1910. № 1, გვ. 13

არსებობს ვინმესთვის კანონით დადგენილი წესით არა იმისთვის, რომ ის ბოროტად იქნას გამოყენებული. პირის უფლება არის პირის ინდივიდუალური მოქმედების შესაძლებლობა, მაგრამ ეს მას მინიჭებული აქვს რომელიმე საპროცესო მოქმედების განხორციელებისათვის სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით. ეს არის ნამდვილი გერმანული და ქრისტიანული პრინციპი, რომ არ არის უფლება მოვალეობის გარეშე, რომ ყოველი უფლება თავის თავში ატარებს მოქმედების ფარგლებს.¹⁴⁸

სამოქალაქო საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენება ხორციელდება მართლსაწინააღმდეგოდ, არაკეთილსინისიერად და არასათანადოდ საქმეში მონაწილე პირის ბრალეული მოქმედებებით, როდესაც მოქმედება მიმართულია საპროცესო უფლების შესასრულებლად და სინამდვილეში ადგილი აქვს ანგარებას ან პირად მოტივებს, მართლმსაჯულების ან საქმეში მონაწილე პირის ინტერესების საზიანოდ.¹⁴⁹

ზემოთაღნიშნულიდან ჩანს, რომ სამოქალაქო საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენება ხასიათდება ორი ურთიერთგამომრიცხავი თავისებურებით. მხარე ახორციელებს კანონისაგან მოცემულ საპროცესო უფლებას და ამასთან, ეს განხორციელება არის დაუშვებელი, ვინაიდან ადგილი აქვს ამ უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენებას.

მაშასადამე, პროცესის მონაწილის უფლება ხორციელდება ამ უფლების მიზნების საპირისპიროდ, რაც წინააღმდეგობაშია მონაწილის ვალდებულებასთან იყოს კეთილსინდისიერი, დაიცვას საპროცესო ნორმები და გაითვალისწინოს სხვა პირთა ინტერესები.

მაგ: მხარეს უფლება აქვს განსაზღვროს დავის საგანი და საფუძველი, შეაგროვოს მტკიცებულებები საქმეზე. ჩამოაყალიბოს სასარჩელო მოთხოვნა, დაასახელოს მოპასუხე ანუ პირი ვისაც ედავება მისი უფლების დარღვევას. მისცეს სასამართლოს ახსნა-განმარტებები და წარადგინოს მტკიცებულებები ფაქტობრივი გარემოებების დასამტკიცებლათ. გაასაჩივროს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში და ა. შ. მაშასადამე პირი ამ შემთხვევაში მოქმედებს კანონის ფარგლებში. თუ პირი სარჩელის უფლებას იყენებს უსაფუძვლოდ და მის მიერ დასახელებულ მოპასუხეს რეალურად არ მიუძღვის რაიმე ბრალი მისი უფლებების დარღვევაში, საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები მხარის ხელთაა და ის სასამართლოს მოთხოვნის მიუხედავად უარს აცხადებს ამ მტკიცებულებების გადმოცემაზე,

¹⁴⁸(იხ.ციტრება) Girke. Zusammenstellung der Gutachlichen Ausserungen Zudem Entwurf des BGB.-bd. 1925. გვ. 5.

¹⁴⁹(იხ.ციტრება) Юдин А. В., Злоупотребление Процессуальными Правами в Гражданском Судопроизводстве, Издательский дом С.- Петербург. 2005 გვ 121.

იყენებს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობის უფლებას ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, მაგრამ იცის, რომ ამ ექსპერტიზის შედეგებს არავითარი კავშირი არ აქვთ სასამართლოში განსახილველ საქმეზე. არ ცხადდება სასამართლო პროცესზე და ითხოვოს სხდომის გადადება გაურკვეველი მიზეზით. ყველა ზემოთდასახელებულ შემთხვევებში საქმე გვაქვს საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებასთან, რადგან საპროცესო უფლებამოვალეობების გამოყენება საპროცესო კანონის დანიშნულებისამებრ გამოყენებას გულისხმობს. საპროცესო მოქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სწორად განხორციელებულად, როდესაც მხარე ამა თუ იმ მოქმედებას კონკრეტული იურიდიული მიზნის მისაღწევად იყენებს.

დღევანდელ დღეს სასამართლოების გადატვირთულობის ფონზე, მოქალაქეები დიდი ხნის განმავლობაში ელოდებიან საქმის განხილვას სასამართლოში. ასეთ დროს სასამართლოში არ უნდა მოხდეს ისეთი საქმეების განხილვა, რომელსაც სინამდვილეში ადგილი არა აქვს მოსარჩელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასთან. ამასთან, პროცესის გაჭიანურება უარყოფითად მოქმედებს მოქალაქეების ნდობაზე სასამართლოს მიმართ.

სამოქალაქო პროცესის სუბიექტებს შორის ურთიერთობას ხელმძღვანელობს სასამართლო. არ შეიძლება სასამართლომ გავლენა მოახდინოს მხარეებზე. სასამართლო ამ პროცესში ძირითადად ასრულებს დამკვირვებლის როლს. თუმცა ის აქტიურად უნდა ერთვებოდეს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენება.

მხარეები პროცესში იცავენ საპროცესო უფლებებს, მაგრამ ეს ყველაფერი მიმართულია საერთო ჯამში მათი უმთავრესი, მატერიალური უფლებების დასაცავად. თუკი სასამართლო თვლის, რომ საქმის მონაწილის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები არ შეესატყვისება მის მიერ მატერიალური უფლებების დაცვის ინტერესებს, სასამართლომ ასეთ მოქმედებების განხორციელებაში მხარეს დასაბუთებული უარი უნდა უთხრას. მოსარჩელე, რომელიც ახორციელებს თავის საპროცესო უფლებამოვალეობას უნდა ფლობდეს შესაბამის კანონიერ ინტერესს. მოცემული ინტერესი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამოქალაქო პროცესის მიზნებს და პირიქით ამ მიზნების განხორციელებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობის გარკვევამ უნდა დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი არაკეთილსინდისიერი გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო მექანიზმში და გახდეს წინაღობა იმ მოსარჩელებისათვის, რომლებიც ცდილობენ სარჩელის გამოყენებას იმ

მიზნებით, რომელიც არ უკავშირდება დარღვეული უფლებების ან კანონიერი ინტერესების დაცვას.

გერმანელი იურისტის მიერ წარმოდგენილი იქნა საინტერესო მოსაზრება. ამ მოსაზრების მიხედვით კანონი არ არსებობს ხარვეზის გარეშე, ამიტომ ყურადღება უნდა გამახვილდეს არა კანონის განმარტებაზე, არამედ დაპირისპირებული ინტერესის არსებობაზე, რომელიც ჩადებულია სამართლის ნორმაში. უფლების განხორციელება ექვემდებარება დაცვას, როდესაც არსებობს ინტერესი, რომელსაც უშუალოდ იცავს კანონი. უფლების ბოროტად გამოყენების განსაზღვრება გამომდინარეობს ინტერესებიდან, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ შემთხვევებს.¹⁵⁰

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით პირის მიერ სასამართლოში სარჩელის წარდგენის დროს, სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობად კანონმდებელი იშვიათად ადგენს იურიდიული ინტერესის არსებობას. მაგ: სსსკ-ის 180-ე მუხლის მიხედვით: სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტის ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტის სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

აღიარებით სარჩელს წაეყენება კიდევ ერთი დამატებითი წინაპირობა- იურიდიული ინტერესი. აქედან გამომდინარე, თუ არსებობს სარჩელის აღძვრის ყველა წინაპირობა, რომლებიც გათვალისწინებულია 178-ე მუხლით (სარჩელის შინაარსი), მაგრამ არ არსებობს იურიდიული ინტერესი, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას აღიარებითი სარჩელის მიღებაზე და განხილვაზე.¹⁵¹

ასევე შეიძლება ითქვას სსსკ-ის-88 მუხლზე მესამე პირთან დაკავშირებით, რომელიც მიმართავს სასამართლოს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, კანონმდებელი საჭიროდ მიიჩნევს ინტერესის არსებობას მისი მხრიდან კონკრეტულად ამ საქმისადმი. დაინტერესებულ პირზეა საუბარი სსსკ-ის 89-ე მუხლშიც იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე სასამართლოს მიმართავს არა სარჩელით, არამედ განცხადებით, რათა დაუშვას იგი საქმეში მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებას შემდგომში შეუძლია გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.

¹⁵⁰ Wieacker. Privatrechtsge schichte der Neuzeit: under besonderer berucksichtigung der deutschen Entwicklung-Aufl-Gottingen, 1967. S. 574-575.

¹⁵¹ ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ. დასახელებული ნაშრომი, 2007 წ. გვ 311.

სხვა შემთხვევებში სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არსად გამოკვეთილად არ საუბრობს მოსარჩელის მხრიდან ინტერესის არსებობის აუცილებლობაზე. რომელიც იქნებოდა პირის მიმართ კანონმდებლის მიერ წაყენებული წინაპირობა ნებისმიერი სახის სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში. კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე ეს უნდა ვრცელდებოდეს, როგორც აღიარებით, ისე მიკუთვნებით და გარდაქმნით სარჩელებზეც. პირის მიერ სარჩელით სასამართლოში მიმართვა და საქმის განხილვის მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხისთვის, მართლმსაჯულებისათვის, საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების სურვილი. მაშასადამე პირის მოქმედება არ უნდა იყოს მიმართული საპროცესო ნორმების მოთხოვნების საწინააღმდეგოდ. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას ვხვდებით ერთ-ერთ ავტორთან: ის რომ საპროცესო კანონმდებლობაში ინტერესის სასამართლო წესით დაცვამ ვერ მოძებნა გამოკვეთილი ადგილი ნორმებში, რომელიც მოაწესრიგებდა სხვა სარჩელებით სასამართლოში მიმართვას წარმოადგენს საკანონმდებლობო ტექნიკის ხერვეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კანონი არ გულისხმობს ასეთი მოთხოვნის არსებობას.¹⁵²

ავსტრიელი პროცესუალისტი კლეინი თავის ერთ-ერთ ნაშრომში ამბობდა შემდეგს: სამოქალაქო პროცესი არის სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სამართლის ნორმათა ერთობლიობა შეუცვლელი სოციალური და საზოგადოებრივი სიკეთის მომტანი. სამოქალაქო პროცესის უმთვარესი მიზანი არის მატერიალური უფლების დადგენა. ამისკენ უნდა ესწრაფოდეს სასამართლო მთელი თავისი რესურსის გამოყენებით.¹⁵³

საპროცესო მოქმედებების განხორციელების გარეშე შეუძლებელია დადგინდეს არსებობს თუ არა დავის საგანი რეალურად, დაირღვა ამა თუ იმ მხარის მატერიალური უფლება და რა ფორმით, ამის დადგენა შესაძლებელია სასამართლოსა და პროცესის მონაწილეების აქტიური საპროცესო მოქმედებებით. საქმის აღძვრის პროცესში მხარეები მონაწილეობას არ ღებულობენ და სასამართლო მხოლოდ საპროცესო ხასიათის საკითხებზე მსჯელობს. გამომდინარე აქედან, დაირღვა თუ არა მხარის უფლება და კანონით გათვალისწინებული ინტერესი ეს სასამართლო პროცესზე, მხარეთა მონაწილეობით უნდა დადგინდეს.

რა თქმა უნდა სამოქალაქო პროცესში, სასამართლოს გარდა, არაკეთილსინდისიერი მოქმედებების თავიდან ასაცილებლად, მხარეთა ჩართულობაც არის საჭირო. მხარეებს თავიანთი უფლებამოსილების

¹⁵² (იხ. ციტირება) Pohle R. Zum lehre vom rechtsschutzbedurfnis. Berlin, 1957, გვ. 39.

¹⁵³ (იხ. ციტირება) Klein. Zeit-und Geistesströmungen im Prozesse-Dresden, 1901, გვ. 40.

ფარგლებში შეუძლიათ არ დაეთანხმონ მეორე მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობებს და წარუდგინონ სასამართლოს საკუთარი მოსაზრებები და ხედვები. მაგ: რატომ მიაჩნიათ, რომ მხარის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, აქვს თუ არა განსახილველ საქმესთან ამ შუამდგომლობას კავშირი. მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა ხომ არ ისახავს მიზნათ სასამართლო პროცესის გაჭიანურების მცდელობას და საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებას.

„მხარეთა ახსნა-განმარტება ინფორმაციის ძირითადი წყაროა. ეს ისეთი მტკიცებულებაა, სადაც ყველაზე მეტადაა მოსალოდნელი ისეთი ხერხების გამოყენება, როგორცაა საქმის მონაწილეთა ურთიერთობების დაფარვა, დამახინჯება, განზრახ თუ არაგანზრახ და ტყუილიც კი.“¹⁵⁴

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარეთა მიერ არასწორი და ტყუილი ჩვენების მიცემაზე, რაიმე პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მათ აქვთ განზრახ არასწორი და ტყუილი ჩვენების მიცემის უფლება სასამართლოსთვის? სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლი პირდაპირ ავალდებულებს მოწმეს, როგორ მოიქცეს როდესაც მას დაიბარებენ სასამართლოში. იგი ვალდებულია გამოცხადდეს და მისცეს სწორი ჩვენება. ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და განზრახ არასწორი ჩვენების მიცემისათვის მოწმეს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

იურიდიული მოვალეობის არარსებობა მისცეს მხარემ სწორი განმარტება სასამართლო პროცესზე, ნიშნავს იმას, რომ ის პასუხს არ აგებს მისი მხრიდან ტყუილი ჩვენების მიცემისათვის. მაშასადამე შესაძლოა სასამართლო პროცესზე შეიქმნას სიტუაცია, როდესაც მოსარჩელე და მოპასუხე ამტკიცებენ არარსებულ ფაქტებს და არამიზნობრივად ხარჯავენ სასამართლოს დროს, რაც საბოლოოდ დროული და სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილებაზე ჰპოვებს ასახვას. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 ნაწილის მიხედვით: „არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.“

ზემოთდასახელებული ნორმა არ უნდა გავიგოდ ისე, რომ მხარეებმა არ უნდა მისცენ სასამართლოს სწორი ახსნა-განმარტება ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. ასეთი არაჯანსაღი დამოკიდებულება

¹⁵⁴ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერედიანი“ თბილისი, 2012 წ. გვ. 244

სასამართლო ხელისუფლების მიმართ მიგვიყვანდა ქაოსამდე, სასამართლოსა და მხარეთა შორის სრულ უნდობლობამდე.

გერმანელი მეცნიერი მხარეთა მიერ შეჯიბრებითობის პროცესის სწორად განხორციელებას აკისრებს სასამართლოს. ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება უარყოფითი სასამართლოს როლი, დახმარება აღმოუჩინოს მხარეებს მტკიცებულებათა მოპოვებაში. აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით, სასამართლო მოუწოდებს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები. ზეპირი მოსმენის დროს მოსამართლე ვალდებულია იზრუნოს, მხარეებმა წარმოადგინონ ამომწურავი ინფორმაცია საქმეზე. მხარეები გერმანიის საპროცესო კოდექსის 138-ე მუხლის მიხედვით ვალდებული არიან ილაპარაკონ სიმართლე განსახილველი საქმის ირგვლივ.¹⁵⁵

ზემოთ დასახელებული გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 138-ე მუხლის მიხედვით: სასამართლო მოუწოდებს მხარეებს მისცენ სწორი ახსნა-განმარტება ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. განმარტება ფაქტების არცოდნის შესახებ დაიშვება მხოლოდ იმ გარემოებების მიმართ, რაზეც მხარეს არ ჰქონია შეხება. 446-ე მუხლის მიხედვით: თუ მოწინააღმდეგე მხარე უარს აცხადებს დაკითხვაზე ან არ წარმოადგენს სასამართლოს მიერ მოთხოვნილ მტკიცებულებებს, სასამართლო ყველა გარემოების გათვალისწინებით, მათ შორის უარის თქმის მიზეზის, საკუთარი შინაგანი რწმენის საფუძველზე წყვეტს, ჩათვალოს თუ არა სადავო ფაქტი დამტკიცებულად. 452-ე მუხლის მიხედვით თუკი მხარეთა მიერ სასამართლოსათვის მიცემული ჩვენება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სასამართლო დარწმუნდეს ფაქტების სისწორე-უსწორობაში, სასამართლოს შეუძლია მოუწოდოს მხარეებს ფიცის დასადებად. ფიცის მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში მოქმედებს 446-ე მუხლის პირობები.

საფრანგეთის საპროცესო კოდექსის 317-ე მუხლის მიხედვით: “მხარეს შეუძლია მოსთხოვოს მეორე მხარეს სასამართლოს წინაშე დადოს ფიცი, მის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების სისწორესთან დაკავშირებით. 319-ე მუხლის მიხედვით მხარეს შესაძლოა სასამართლომ უარი უთხრას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე თუ ის უარს იტყვის მის მიმართ შემოთავაზებულ ფიცის დადებაზე.”

სამოქალაქო სამართალწარმოება უნდა ემსახურებოდეს კანონიერებისა და სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებას, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას, სასამართლოსა და კანონისადმი პატივისცემით

¹⁵⁵(იხ. ციტირება) Rossenber/Schwab. Zivilprozebrecht.. 15 Aufl. Munchen, 1993, გვ. 425.

დამოკიდებულებას. მხარე, რომელიც მოქმედებს აღნიშნული პრინციპების წინააღმდეგ უნდა იცოდეს, რომ ასეთი მოქმედება არის საპროცესო უფლება-მოვალეობის ბოროტად გამოყენება, რაც გასაკიცხი და მიუღებელია სამოქალაქო მართლმსაჯულებისათვის.

მოყვანილი მსჯელობებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას შემდეგი: სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობის ბოროტად გამოყენება არის სამოქალაქო პროცესში მონაწილე პირის მიერ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების განზრახ არაკეთილსინდისიერი განხორციელება, რომელიც ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებსა და ამოცანებს.¹⁵⁶

3.3. მხარეთა მიერ უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების სახეები სამოქალაქო პროცესში

სამოქალაქო პროცესში თითოეული მხარის კეთილსინდისიერი ქცევა უზრუნველყოფს სასამართლოს ნორმალურ ფუნციონირებას და ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას. ამასთან, იძლევა გარანტიას მოხდეს მეორე მხარის ინტერესების პატივისცემა და საქმის დროული და სამართლიანი განხილვა.¹⁵⁷

საპროცესო უფლება-მოვალეობის ბოროტად გამოყენების დროს მხარე ცდილობს მოიპოვოს მატერიალური ან საპროცესო სამართლებრივი უპირატესობა არაკეთილსინდისიერი მოქმედებებით ან ამავე საშუალებებით გვერდი აუაროს საპროცესო ვალდებულებების შესრულებას. ასეთ მოქმედებებს მხარეთა მხრიდან შეიძლება ადგილი ჰქონდეს მთელი პროცესის განმავლობაში.

¹⁵⁶ საყვარელიძე ვ. მხარეთა პასუხისმგებლობა უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენებისას სამოქალაქო პროცესში“. სამეცნიერო -პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“ 12(14)20 საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2020 წ. გვ.117.

¹⁵⁷ (იხ.ციტრუბა)Чечина Н. А. Гражданские Процессуальные Отнашения, изд-во Ленинградского Университета, 1961, გვ. 32.

შესაძლოა ამგვარი მოქმედებები გამოიხატოს იმაშიც, რომ მხარეს სურს გამოსწოროს თავისი დაშვებული შეცდომა და უფლების ბოროტად გამოყენების წყალობით გაიმყაროს შესუსტებული მატერიალურ-სამართლებრივი პოზიციები.

“ფსიქოლოგიური დეტერმინატორი საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენების არის, უფლებამოსილი პირის მართლშეგნების დაბალი დონე, რომელიც ხასიათდება ინდივიდის მიერ პრაგმატული ცოდნით თავისი უფლებების (სამართალცნობიერების ინტელექტუალური მომენტი) და სურვილის არსებობით, არაკეთილსინისიერად განახორციელოს თავისი უფლებები (ნებითი ელემენტი სამართალცნობიერების).”¹⁵⁸

საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენების დროს, ადგილი აქვს ამ უფლებების მქონე სუბიექტის მიერ საკუთარი უფლებების არამიზნობრივად გამოყენებას. სხვა სიტყვებით, მხარე ახორციელებს ამ უფლება-მოვალეობებს, მაგრამ სხვა საკითხია რის მიღწევას და რა შედეგის დადგომას ცდილობს ის. ძირითად შემთხვევაში, ასეთი არაკეთილსინდისიერი მოქმედებები შენიღბულია. საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებამ შეიძლება ყველა შესაძლო შემთხვევაში ვერ იქონიოს საქმის მსვლელობაზე უარყოფითი გავლენა ანუ მიუხედავად მხარეთა დიდი მცდელობისა, საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენების დროს სასამართლომ მაინც სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღოს, ეს არ ნიშნავს, რომ ამის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა შენელდეს.

ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი მოქმედებისთვის სამოქალაქო პროცესში დამახასიათებელია ერთი საერთო თვისება-ცინიკური დამოკიდებულება კანონის მოთხოვნებისადმი, სასამართლოს და ასევე მოწინააღმდეგე მხარის უპატივცემულობა. სამოქალაქო საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენება შეიძლება ქვეყნის ეკონომიურ ინტერესებსაც უკავშირდებოდეს. ოფშორულ კომპანიებს, რომელთაც აქვთ ვალდებულებები ამ ქვეყნის კომპანიებთან, შეაქვთ სარჩელი ადგილობრივ საარბიტრაჟო სასამართლოში ან ზოგჯერ თავადვე არიან მოპასუხეები. პირველ შემთხვევაში სასამართლოს წარედგინება მყარი მტკიცებულება მხარის მიერ ვალდებულების დარღვევის თაობაზე. მეორე შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილებისათვის მტკიცებულება არ არის დამაჯერებელი. ორივე შემთხვევაში მიიღწევა მხარეებისათვის სასურველი შედეგი. ფულადი სახსრები რჩება საზღვარგარეთ ან ლეგალურად ხდება მათი გადაგზავნა სხვა

¹⁵⁸ Малиновский А. А. Злоупотребление Субъективным Правом как Юридический Феномен. Автореферат дис. Докт. Юрид. Наук, М., 2008, გვ. 11 <disserCat-Электронная библиотека диссертаций>[უკანავენლად იქნა გადამოწმებული 25.09.2019]

ქვეყნებში. სხვა შედეგი გამორიცხულია, რადგან მხარეები პროცესში არიან ერთი და იგივე პირები.¹⁵⁹

ხშირად სამოქალაქო პროცესში, ერთ-ერთი მხარე მიმართავს უკვე კარგად ნაცნობ ხერხს. ძირითადი სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, სარჩელი შეაქვს სხვა სასამართლოში. მხარეები ცდილობენ არაკეთილსინდისიერად გამოიყენონ მათი უფლებები და როგორმე გააჭიანურონ საქმე.

მაგ: ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ მიუთითა შემდეგი: დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ აღძრულია სარჩელი იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ. მოპასუხემ კი სარჩელი აღძრა რაიონულ სასამართლოში იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ. მოპასუხის მიერ აღძრული სარჩელი წარმოადგენს სარჩელისაგან თავდაცვის საშუალებას და იგი არ სცილდება სადავო სამართალურთიერთობის ფარგლებს. თუ მოპასუხეს მიაჩნია, რომ იპოთეკის ხელშეკრულება ბათილია, მას აქვს სრული უფლება დაიცვას თავი სარჩელისაგან შესაგებლის ან შეგებებული სარჩელის წარდგენით იმავე სასამართლოში. საკასაციო პალატის აზრით, რადგან მოპასუხემ სარჩელისაგან თავდაცვის ნაცვლად მიმართა სხვა სასამართლოს, იგი მიზნად ისახავს საქმის განხილვის გაჭიანურებას. საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმის განხილვა შესაძლებელია და არ არსებობდა შეჩერების საფუძველი.¹⁶⁰

სამოქალაქო საპროცესო უფლებების არაკეთილსინდისიერ გამოყენებას ხშირად აქვს ადგილი, როდესაც მოპასუხეებს შეაქვთ დაუსაბუთებელი შეგებებულ სარჩელი და ცდილობენ გააჭიანურონ პროცესი.

მაგ: ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე, სადაც აღძრული იყო ვინდიკაციური სარჩელი მოპასუხის მიმართ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის თაობაზე, მოპასუხემ აღძრა აღიარებითი შეგებებული სარჩელი და მოითხოვა: 1. მხარეებს შორის სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების შეწყვეტა ვალდებულების შესრულებით. მე-2: უძრავ ნივთზე სააღსრულებო ბიუროს განკარგულებით დადგენილი საჯარო აუქციონის შედეგების გაუქმება.

აღნიშნულ დავაზე სასამართლომ გამოიტანა განჩინება შეგებებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ და განმარტა შემდეგი:

¹⁵⁹ (იხ. ციტრება)Шебанова Н. А. Злоупотребление Процессуальными Правами, Арбитражная Практика, 2002, №5(14), გვ. 51.

¹⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის გადაწყვეტილებანი, კრებული, (სუსგ) 2002, წ. #7, გვ 1067-1069

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს შეწყდეს ვალდებულების შესრულებით მხარეებს შორის გაფორმებული სესხის და იპოთეკის ხელშეკრულება. სასამართლო განუმარტავს მოსარჩელეს, რომ განსახილველი სარჩელი მთელი თავისი შინაარსით წარმოადგენს აღიარებით სარჩელს, რომელიც შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტის ნამდვილობის აღიარების ან სიყალბის დადგენის შესახებ თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. იურიდიული ინტერესი არის ის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს მხარე აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით. აღიარებითი სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობა არა თუ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველსაც კი წარმოადგენს.

განსახილველ შემთხვევაში სარჩელში არ არის აღნიშნული და ბუნდოვანია, რა მიზანი და სამართლებრივი დაცვის ინტერესი გააჩნია ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობის შემთხვევაში მოსარჩელეს, რომელიც მიღწევადი იქნება სარჩელის შესაძლო დაკმაყოფილების შემთხვევაში, ანუ რა სამართლებრივი შედეგი დაუდგებათ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუკი არ იქნება დაყენებული მიკუთვნებითი მოთხოვნაც. ამჯერად, წარმოდგენილი სარჩელი არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, რაც ამავე კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველია.¹⁶¹

აღნიშნული განჩინება, რომლითაც უარი ეთქვა მოპასუხეს შეგებებული სარჩელის მიღებაზე გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.¹⁶²

დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო შეგებებული სარჩელის საბოლოო იურიდიული ბედი წინასწარ უნდა სცოდნოდა მის ავტორს, მას შემდეგ მაინც, როცა მას ჩაბარდა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული განჩინება. ფაქტია, რომ აღნიშნული მოძრაობით მოპასუხემ წარმატებით აარიდა თავი, გარკვეული დროით ძირითადი სარჩელის განხილვას.

¹⁶¹ ქ.რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 13.10.17წ.

გადაწყვეტილება საქმეზე # 2-1606-17.

¹⁶² ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 12.02.2018 განჩინება საქმეზე # 28/6293-17

არაკეთილსინდისიერი მხარე საქმის დროული და სამართლიანი გადაწყვეტილების წინააღმდეგ მოქმედებს სხვადასხვა ხერხების გამოყენებით.

მაგ: პირველი ინსტანციის სასამართლომ, არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, რომ ის არ არის ნივთის მფლობელი და არასწორად არის მითითებული მოპასუხედ. სასამართლომ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, სრულიად სამართლიანად დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა.¹⁶³

აღნიშნული გადაწყვეტილება, მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო საჩივარში აპელანტი განმარტავდა იგივეს, რასაც პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომ თვითონ არ არის ამ ნივთის მფლობელი და აღნიშნულ ბინაში სხვები ცხოვრობენ. ფაქტობრივი გარემოებებით კი ცნობილია, რომ მოპასუხე ცხოვრობს აღნიშნულ ბინაში, სასამართლოს კურიერს მან გაუღო ბინის კარები და ამ ბინის მისამართზე კურიერის მიერ მიტანილი სარჩელის ჩაბარების აქტზე მისი ხელმოწერა დაფიქსირებული.¹⁶⁴

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამჟამად გასაჩივრდა საკასაციო სასამართლოში. საკასაციო სასამართლომ 2018 წლის 26 თებერვალს მიიღო განჩინება აღნიშნული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ნათელია, რომ მხარის მოტივაციას ამ შემთხვევაშიც წარმოადგენს ის, რომ დიდი ხნის განმავლობაში მოცემული გადაწყვეტილება არ შევიდეს კანონიერ ძალაში.

რა თქმა უნდა საპროცესო კანონი ანიჭებს მხარეს სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებას, მაგრამ ამისათვის აუცილებელია არსებობდეს იურიდიული ინტერესი. სხვა სიტყვებით, მხარე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად.¹⁶⁵

ამ მიმართულებით ხშირად კუროიოზულ შემთხვევებთანაც გვაქვს საქმე, მაგ: პირველ ინსტანციაში მოპასუხეებმა არ გახადეს მოსარჩელის ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ და სრულად ცნეს სარჩელი. ამის საფუძველზე

¹⁶³ ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.12.2016

წ.გადაწყვეტილება
საქმეზე # 2-1821-16.

¹⁶⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 08.11.2017 წ. განჩინება
საქმეზე # 28/2867-17.

¹⁶⁵ ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ დაინტერესებულ პირებად სამოქალაქო საპროცესო სამართლის თვალსაზრისით ითვლებიან ის პირები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი უფლება დარღვეულია ან სადაოდ არის გამხდარი. ინტერესი არის არა მხოლოდ ადამიანის ცნობიერების შედეგი. არამედ საზოგადოებაში რეალურად არებული მოვლენა, რომელიც აუცილებელია გათვალისწინებული იყოს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, შემოკლებით- (სუსგ.) 2003 # 11, გვ. 3114.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება.

მოსარჩელის მოთხოვნა სრულად იქნა დაკმაყოფილებული და შესაბამისად, სსსკ-ის 49-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხეები გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. მიუხედავად სარჩელის ცნობისა, მათ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოში, იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება მათი აზრით იურიდიულად არ იყო დასაბუთებული. საინტერესოა, რამდენად განსხვავებულ იურიდიულ შედეგს ელოდებოდნენ აპელანტები, რომ ჯერ ცნეს სარჩელი და შემდეგ იმ მოტივით გაასაჩივრეს, რომ იგი იურიდიულად დაუსაბუთებელია.¹⁶⁶

სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება.¹⁶⁷

იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე სხვა სააპელაციო საჩივარში. ფაქტიურად აქაც, როგორც ზემოთ, აპელანტი უთითებს. რომ ითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას იმ მოტივით, რომ მათ სარჩელი არ უცვნიათ, რასაც ეყრდნობა პირველ ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება.¹⁶⁸ სააპელაციო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული, თუმცა არ დაკმაყოფილდა და უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება.¹⁶⁹ აპელანტმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაც გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 2 ივლისის განჩინებით კასატორს სსსკ-ის 396-ე მუხლის მიხედვით დაევალა უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა დასაბუთებული საკასაციო საჩივარი და სახელმწიფო ბაჟის დამადასტურებელი ქვითრის დედანი. ხარვეზის გამოსასწორებლად განკუთვნილი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.¹⁷⁰ ამ ხანგრძლივი მოძრაობის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

თუკი გამოვლინდება, რომ აღნიშნული სააპელაციო და შემდგომ საკასაციო საჩივარი არის უსაფუძვლო და მიმართულია სამოქალაქო

¹⁶⁶ ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 11.10.2019 გადაწყვეტილება საქმეზე #2-2240-18..

¹⁶⁷ ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 25.04.2019 წ. განჩინება საქმეზე #28/7411-18.

¹⁶⁸ ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.12.2018.წ. გადაწყვეტილება საქმეზე #2-2596-18.

¹⁶⁹ ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს. სამოქალაქო საქმეთა პალატის 26.03.2019 წ. განჩინება საქმეზე #28/866-19..

¹⁷⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 25.07.19. გადაწყვეტილება საქმეზე #ას-951-2019.

სამართალწარმოების მიზნებისა და ამოცანების წინააღმდეგ, ზემდგომი სასამართლოები არ უნდა დაკმაყოფილდნენ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში დატოვებით. საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენების ნიშნების არსებობის შემთხვევაში, სასამართლომ, როგორც მხარის შუამდგომლობის, ისე საკუთარი ინიციატივის საფუძველზე უნდა იმსჯელოს ამის შესახებ და მხარის მოქმედებას მისცეს შესაბამისი კვალიფიკაცია.

არის შემთხვევები, როდესაც მოპასუხე მიმართავს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას და ამ გზით ცდილობს შეაჩეროს საქმის განხილვა სამოქალაქო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოში. სსსკ-ის 279-ე მუხლის დ) ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. თუ მხარე დაიცავს იმ ფორმას, რაც აუცილებელია სარჩელის შესავსებად და სარჩელი ადმინისტრაციული წესით მიღებული იქნება წარმოებაში, როგორც წესი სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე შეაჩერებს საქმის განხილვას. ამ დროს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ საქმეზე დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება.

მაგ: ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2016 წლის 02 დეკემბერს დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა და შეაჩერა სამოქალაქო საქმის წარმოება, ვინაიდან მოპასუხის მიერ წარმოდგენილი იქნა განჩინება ადმინისტრაციული სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, რომელ საქმეზეც მიღებულ გადაწყვეტილებას შესაძლოა გავლენა მოეხდინა მოცემულ სამოქალაქო საქმეზე დეკემბერს¹⁷¹.

ადმინისტრაციულ საქმეზე სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნებოდა იმას, რომ მხარე არ იყო ინფორმირებული აუქციონის ჩატარების შესახებ. აუქციონის ჩატარება მოხდა მისგან შეუტყობინებლად, რაც მხარის განმარტებით, აუქციონის შედეგების გაუქმების საფუძველია. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ წარმოდგენილი მასალებიდან გაირკვა, რომ მხარემ იცოდა აუქციონის ჩატარების თარიღის შესახებ. გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ხდებოდა მასთან კომუნიკაცია, რაც დადასტურებულია მისივე ხელმოწერით.¹⁷²

¹⁷¹ქ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 02.12. 2016 განჩინება საქმეზე # 2/1372-16.

¹⁷²თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 03.04.20018წ. გადაწყვეტილება საქმეზე # 3/6368-16

ადმინისტრაციული სარჩელის აღძვრის ერთადერთი ინტერესი ამ შემთხვევაში არის პროცესის გაჭიანურება, ვინაიდან მხარემ იცის, რომ ადმინისტრაციულ სარჩელს მისთვის სასურველი იურიდიული შედეგი ვერ მოჰყვება. ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მხარემ კვლავ შეიძლება გაასაჩივროს ზემდგომ ინსტანციაში და საბოლოოდ როდესაც ის დაბრუნდება სამოქალაქო წესით საქმის განმხილველ სასამართლოში, მხარეს ექნება შესაძლებლობა ახლა უკვე პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება გაასაჩივროს ჯერ აპელაციაში და შემდეგ უზენაეს სასამართლოში. რა თქმა უნდა, დღეს არსებული კანონმდებლობით ეს უფლება მისთვის შეუზღუდავია და არ არსებობს რაიმე მექანიზმი, რომელიც აიძულებდა მხარეებს თავი შეიკავონ დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო სარჩელებისაგან.

დღეს სასამართლო შეზღუდულია იმოქმედოს ეფექტიანად მხარეთა მიერ საპროცესო უფლებების არაკეთილსინდისიერად გამოყენების წინააღმდეგ, რაც საშუალებას აძლევს მხარეს გააჭიანუროს პროცესი და გაახანგრძლივოს მისთვის არასასურველ სასამართლო გადაწყვეტილების მიღება. კანონი ცდილობს, რომ თავიდან აიცილოს ორი საშიშროება. ერთი, რომ არ დარჩეს დაუცველი ვინმეს დარღვეული უფლება და მეორე, სასამართლო აპარატი არ მუშაობდეს ფუჭად და იმ მოსაზრებით, რომ არ ჰქონდა ადგილი დარღვეულ უფლებებს და დავა იყო შეცდომის შედეგი.¹⁷³

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მხარეებს უფლება აქვთ შეასრულონ სხვადასხვა საპროცესო მოქმედებები და სასამართლოს ამ შემთხვევაში მოუწევს გარკვეული სამუშაოს შესრულება, რომ იმ ზღვარს შორის გაიაროს, რასაც მხარის ლეგიტიმური უფლების დაკმაყოფილება ან მასზე უარი ჰქვია, რომ თავიდან იქნეს აცილებული პროცესის გაჭიანურება. პროცესის გაჭიანურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში სასამართლოები არ უნდა ერიდებოდნენ, პირველსავე შემთხვევაში, სწორი კვალიფიკაცია მისცენ მხარის არაკეთილსინდისიერ მოქმედებას.

მაგალითად გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით: მოსარჩელემ დააყენა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა მას შემდეგ, რაც სასამართლომ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 224-ე მ. მე-2 აბზაცის თანახმად არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა დამატებით მიეცათ მისთვის დრო ფაქტობრივი გარემოებების განმარტებისთვის.

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ მიუთითა შემდეგი: გვს 224-ე მ. მე-2 აბზაცის თანახმად მოსარჩელეს სასამართლოს მიერ ეძლევა ვადა თავისი

¹⁷³(იხ.ციტირება) Резниченко И. М. Психологические Аспекты Искового Производства, изд-во Далневост. ун-та, Владивосток, 1989, გვ. 19.

მოთხოვნების ჩამოსაყალიბებლად. მოცემული ვადა შეიძლება გაგრძელდეს, თუკი არსებობს ამისათვის მნიშვნელოვანი მიზეზი. ამასთან, მოპასუხის ინტერესების გათვალისწინებით.

მოსარჩელეს მიერ მოსამართლის აცილების შუამდგომლობა დაყენებული იყო გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 225-ე მ. მე-3 აბზაცის მიზნების საწინააღმდეგოდ, ვინაიდან ამ მუხლის მიხედვით სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა მოსარჩელეს ვადის გაგრძელებაზე არ საჩივრდება. მაშასადამე აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენება.¹⁷⁴

მხარეებმა სამოქალაქო პროცესში თავად უნდა წარმოადგინონ მათ ხელთ არსებული მტკიცებულებები. შეუძლებელია სასამართლოს მათ სხვა მხრივ შეუქმნან შინაგანი რწმენა ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რაზედაც ისინი ამყარებენ სასარჩელო მოთხოვნასა თუ შესაგებელს. ამ საკითხისადმი არაჯეროვანმა, გულგრილმა დამოკიდებულებამ შეიძლება ხაზი გაუსვას მათ არაკეთილსინდისიერებას სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობების განხორციელების კუთხით.

ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ მიუთითა შემდეგი: სსსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არ არსებობის შესახებ. ამ ნორმის დანაწესიდან გამომდინარე სასამართლო ფაქტობრივ გარემოებებს ადგენს მტკიცებულებათა შეფასების შედეგად. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საქმეში არ არის წარმოდგენილი კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომის ოქმი და სხვა მასალები. აღნიშნულის გამო შეუძლებელია შემოწმდეს, როგორც საკასაციო, ისე სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა.¹⁷⁵

გერმანიის (შტუტგარტის) საოლქო სასამართლომ 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით უარი უთხრა მოსარჩელეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე ახალი მტკიცებულების მიღებასთან დაკავშირებით და მიუთითა: ექიმების გულგრილობა, რომელიც გახდა ზიანის მიყენების მიზეზი უნდა დადასტურდეს მტკიცებულებებით. მოსარჩელე აცხადებს, რომ

¹⁷⁴ <[(Thüringer oberlandersgerichts vom 04.04.2017 6w104/17.)>[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.09.20]

¹⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, (კრებული).სუსგ. 2005, წ. სამოქალაქო პროცესი გვ. 180.

ექიმების გუგრილობის შედეგად მას მიადგა ზიანი. თუმცა გსკ-ის 487-ე მუხლის მიხედვით საჭიროა მინიმალური დონე დასაბუთებისა. თუკი განმცხადებელი წარმოადგენს მოთხოვნას, მას უნდა ახლდეს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ ამ მოთხოვნას. ეს არ უნდა იყოს მხოლოდ შაბლონური აღწერა მომხდარისა, რომელიც არ უკავშირდება ძირითად ფაქტებს.¹⁷⁶

არსებობს შემთხვევები, როდესაც მხარე არაკეთილსინდისიერი მოქმედებით ცდილობს პროცესის გადადებას და ამ მიზნით აყენებს შუამდგომლობას. მაგ: ერთ-ერთ პროცესზე არ გამოცხადდა მოპასუხე. ხოლო სხვა პირმა წინა დღით სასამართლოს წერილობით აცნობა, რომ ის მოპასუხის წარმომადგენელია, იმყოფება სხვა ქალაქში სასამართლო პროცესზე და ვერ მიიღებდა საქმის განხილვაში მონაწილეობას. გამომდინარე აქედან იგი ითხოვდა საქმის გადადებას. განცხადებას თან არ ერთვოდა მოპასუხის მიერ ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა მის და არც წარმომადგენლის სხვა პროცესში მონაწილეობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი. სასამართლომ არ ჩათვალა აღნიშნული გარემოებები საპატიოდ და მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.¹⁷⁷

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა. მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა ვერც საჩივრის განხილვის პროცესზე წარმოადგინა სხვა პროცესში მონაწილეობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი და მოპასუხის მიერ ნოტარიულად დადასტურებული მინდობილობა. შესაბამისად სასამართლო გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.¹⁷⁸

ანალოგიურ სასამართლო გადაწყვეტილებასთან გვაქვს საქმე გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე. მოპასუხე, რომელიც მოწვეული იყო სათანადო წესების დაცვით არ გამოცხადდა პროცესზე. მის წინააღმდეგ გამოვიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც მან გაასაჩივრა კარლსრუეს სააპელაციო სასამართლოში და გამოუცხადებლობის საპატიოდ მიზეზად მიუთითა, რომ შეცვალა ადვოკატი, რასაც დრო დასჭირდა. სააპელაციო სასამართლომ 2019 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებაში მიუთითა გსკ-ის 87-ე მუხლზე და განმარტა შემდეგი: მინდობილობის შეწყვეტა ძალას იძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე

¹⁷⁶ <<https://Openjur.de//u/865319.>> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.09.20]

¹⁷⁷ ქ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 22.02.18. გადაწყვეტილება . საქმეზე # (2/1768-17)

¹⁷⁸ ქ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.12.2018. გადაწყვეტილება საქმეზე # 2/176-17

შეატყობინებს სხვა ადვოკატის დანიშვნის შესახებ სასამართლოს. საქმე ეხება კანონით განსაზღვრულ სასამართლო პროცესებს, სადაც ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა. მინდობილობის შეწყვეტა ხელს არ უშლის რწმუნებულს შეასრულოს თავისი მოვალეობა, ვიდრე მხარე თავად არ მიიღებს სხვა ზომებს.¹⁷⁹ ეს მუხლი მოწოდებულია იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული პროცესის გაჭიანურება. ადვოკატი ასრულებს თავის მოვალეობას, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც, ვიდრე მხარე არ უზრუნველყოფს ახალი ადვოკატის წარდგენას პროცესზე.

სსსკ-ის 83-ე მუხლით მხარეებს უფლება აქვთ სასამართლოს წარუდგინონ მორიგების აქტი. იურიდიულ ლიტერატურაში, არსებული მოსაზრების თანახმად აღნიშნული ურთიერთობა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მხარეთა შორის კეთილი ნების გამოვლინება, შეთანხმების დადების გზით მათ შორის წარმოშობილი დავის შეწყვეტასთან დაკავშირებით.¹⁸⁰

მხარეთა მორიგება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მიეკუთვნება სოციალურ-სამართლებრივ მოვლენას. ვინაიდან მისი უშუალოდ მთავრდება დავა (სამართლებრივი მოვლენა) და კონფლიქტი (სოციალური მოვლენა). ამ მიზეზით მხარეთა მორიგება გაცილებით მისასაღმებელია, ვიდრე სხვა მხარეთა საპროცესო მოქმედება, რომლითაც სასამართლო წყვეტს საქმეს.¹⁸¹

მორიგებამ არ უნდა წარმოშვას სამართლებრივი ურთიერთობა. იგი, როგორც წესი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენის შედეგია, რომლის მიზანია სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა ან შეწყვეტა.¹⁸²

ერთ-ერთ საქმეზე ქუთაისის საქალაქო სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება მხარეთა მორიგების გამო და მიუთითა: ვინაიდან მხარეებმა ნებაყოფლობით განსაზღვრეს ურთიერთვალდებულებები, რაც არ ეწინააღმდეგება კანონს, არ ლახავს სხვა პირთა ინტერესებს, სასამართლოს მიერ მიღებული იქნა მხარეთა შორის მორიგება.¹⁸³

¹⁷⁹<(Beschluss des III Zivilsenats vom 26.11.2020-III Za 7/20)> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.09.20]

¹⁸⁰ Зайцев А. И. Кузнецов Н. В. Савельева, Т. А. Негосударственные Процедуры Урегулирования Правовых Споров, Учебное пособие, изд-во Саратовского ун-та, Саратов. 2000. გვ. 66.

¹⁸¹ Пилехина Е. В. Мировое Соглашение в Практике Арбитражного Суда Общей Юрисдикции, Автореф., Дисс., на Соискания Канд., Юрид., Наук, 2001. გვ. 10.

<twirpx.com/file/973060>[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.09.2019]

¹⁸² გოგიშვილი მ. სულხანიშვილი მ.მესხიშვილი ქ. ჯინორია ხ. გელაშვილი რ. ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2010 წ. გვ.27.

¹⁸³ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 15. 12. 2015წ. გადაწყვეტილება საქმეზე #2/1355-15.

შემდეგი სასამართლო პრაქტიკის მაგალითიდან, კარგად ვლინდება ის პრინციპები, რომელსაც სასამართლო ეყრდნობა მორიგების აქტის დამტკიცებისას.

მორიგების აქტის შინაარსი არ წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო და ამორალურ გარიგებას. არ არსებობს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ნიშნები. იგი არ არის არც მოჩვენებითი და არც თვალთმაქცური. მხარეთა ნება გამოვლენილია მკვეთრად. იგი დადგენილია საამისოდ უფლებამოსილ სუბიექტთა შორის და დაცულია ამ სახის გარიგების დადების ფორმა. აქედან გამომდინარე, პალატა უფლებამოსილია დააკმაყოფილოს მხარეთა მოთხოვნა.¹⁸⁴

მაშასადამე, მხოლოდ მხარეთა შეთანხმება საკმარისი არ არის იმისათვის, რომ სასამართლომ იგი დააკმაყოფილოს. ამისათვის საჭიროა, რომ ასეთი ნების გამოვლინებამ არ შელახოს სხვათა უფლებები და კანონით დაცული ინტერესები.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მიერ მორიგების დამტკიცების შემდეგ მხარეები არ ასრულებენ ახალი შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს, რაც საპროცესო უფლება-მოვალეობების უხემ დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

სასამართლოში აღძრული იქნა აღიარებითი სარჩელი მემკვიდრეების წინააღმდეგ მათი უფლებამონაცვლებათ და მესაკუთრეებათ ცნობის შესახებ. მოპასუხეებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-1424-ე მუხლების მიხედვით სანოტარო ბიუროში მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვს თვიან ვადაში, შეტანილი ჰქონდათ განცხადება სამკვიდროს მისაღებად, მაგრამ ისინი არ ჩქარობდნენ სამკვიდრო მოწმობის აღებას. მემკვიდრეები მოქმედებდნენ არაკეთილსინისიერად, შეგნებულად არიდებდნენ თავს სამკვიდროში შესვლას. სსკ-ის 1484-ე მუხლით მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკამყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები მიღებული აქტივის ფარგლებში.

აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი მდგომარეობდა მასში, რომ მესაკუთრეობის ფაქტის დადგენის გარეშე ვერ ხერხდებოდა კრედიტორის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. კერძოდ, მესაკუთრეობის დადგენის შემთხვევაში უძრავი ქონება აღირიცხებოდა მათ სახელზე საჯარო რეესტრში, რის საფუძველზეც მოხდებოდა ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა. სასამართლო პროცესზე მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ მოპასუხეები თავადვე დარეგისტრირდებოდნენ მესაკუთრეებათ საჯარო რეესტრში, მოახდენდნენ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციას ან სხვაგვარად გაისტუმრებდნენ მოსარჩელეს. აღმოჩნდა, რომ მოპასუხეების მხრიდან დადებული შეთანხმება არ გამოხატავდა მათ ნამდვილ ნებას და მიმართული იყო მხოლოდ დროის

¹⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 16. 04. 2003წ. გადაწყვეტილება. საქმეზე # 33/-502-03.

გასაწელად. მორიგებაში მითითებული ვადის უშედეგოთ გასვლის შემდეგ მოსარჩელის მიერ მათ წინააღმდეგ აღებული იქნა სააღსრულებო ფურცელი.¹⁸⁵

მოცემული პრაქტიკული მაგალითიდან კარგად ირკვევა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობის ბოროტად გამოყენების მრწამსი. საბოლოოდ მოპასუხეები ვერ გაექცნენ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. ამ ხნის განმავლობაში მოსარჩელე, რომელიც წავიდა დათმობაზე მოპასუხესთან და მორიგდა, აღმოჩნდა მოტყუებული. მხარეს შეუძლია უფლების ბოროტად გამოყენების მიზნით ხშირად მიმართოს ამგვარ ხერხს, მეორე მხარის და სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მიზნით. ამგვარი მოქმედებით კათილსინდისიერ მხარეს ადგება ზიანი, რომელსაც ამაოდ სჯერა, რომ მხარე ახლა მაინც შეასრულებს ვალდებულებას.

საუკეთესო ბერკეტი ამგვარი მოვლენების თავიდან ასაცილებლად იქნება ის, რომ საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენებისათვის საპროცესო კოდექსმა გაითვალისწინოს საპროცესო პასუხისმგებლობა იმ ზიანის მიხედვით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში მიადგება მხარეს. ამ საკითხთან დაკავშირებით მხარის საპროცესო პასუხისმგებლობის თავში იქნება საუბარი.

3.4. მხარეთა სამოქალაქო საპროცესო პასუხისმგებლობა

სამოქალაქო პროცესის მიზანია აღადგინოს პირის დარღვეული ან სადაოდ ქცეული უფლება და კანონიერი ინტერესები. მხარის საპროცესო უფლება-მოვალეობების და მართლმსაჯულების ინტერესების დაცვა არაკეთილსინდისიერი ქმედებებისაგან წარმოუდგენელია საპროცესო პასუხისმგებლობის ზომების გარეშე. მაშასადამე, საპროცესო ნორმები ეფექტურია, როდესაც მიმართულია საპროცესო ურთიერთობების დასაცავად იმისათვის, რომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე მიიღოს დროული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

¹⁸⁵ ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.09.2017 წ. გადაწყვეტილება საქმეზე # 2-1877-16.

ხშირად პირები სცდებიან კეთილსინდისიერად. როდესაც სასამართლო იწყებს საქმის მასალების შემოწმებას ადვილი მისახვედრია, რომ შეცდომა დაშვებულია არასათანადო ცოდნის ხარჯზე. მაგ: პირს შეაქვს სარჩელი სასამართლოში, განსჯადობის წესების მიხედვით კი სარჩელი უნდა შეეტანა სხვა სასამართლოში. მოპასუხედ შეცდომით ასახელებს იმას ვისაც სინამდვილეში არ დაურღვევია მისი მატერიალური უფლება და ა.შ. ამიტომ ყოველი მოქმედება, რომელიც გარეგნულად ჰგავს არაკეთილსინდისიერ მოქმედებას, არ შეიძლება შეფასდეს, როგორც უფლების ბოროტად გამოყენება. ჰქონდა თუ არა სინამდვილეში საპროცესო უფლებების დარღვევას ადვილი, უნდა დადგინდეს სასამართლოს შეფასების შედეგად. თუკი მოსარჩელე განსჯადობის წესების დაარღვევით შეიტანს სარჩელს, საქმე არაგანსჯად სასამართლოში არ აღიძვრება და სარჩელი პირს უკან დაუბრუნდება, მაგრამ თუკი პირი მოახერხებს სასამართლოს მოტყუებას და ამით შესძლებს იმ სასამართლოს მიაღებინოს საქმე წარმოებაში, რომლის განსჯადი არ არის საქმე, სასამართლომ არ უნდა მიიღოს და თუ მიიღო შეწყვიტოს საქმის წარმოება იმ მოტივით, რომ ადვილი ჰქონდა მოტყუების საფუძველზე საპროცესო წესების ბოროტად გამოყენებას. შესაბამისად საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენებაზე უნდა ვისაუბროთ მაშინ, როდესაც მხარის მოქმედება სცილდება კანონის საზღვრებს.¹⁸⁶

მხარის და სამოქალაქო პროცესის მონაწილის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შემთხვევაში ეფექტიანი იქნება სამართლებრივი იძულება, ვინაიდან სამართლებრივი იძულების არსებობა თავის თავში გულისხმობს განვითარებული კანონმდებლობის არსებობას, რომელიც ახდენს იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლისა და ზომების განსაზღვრას, ამასთან ღებულობს დაცვის ზომებს და სხვადასხვა საშუალებებს სახელმწიფო-იძულებითი ზემოქმედებისათვის.¹⁸⁷

სასამართლოები სამოქალაქო საპროცესო იძულებას უნდა ახორციელებდნენ იმისთვის, რომ უზრუნველყონ საპროცესო ურთიერთობების მონაწილეების მხრიდან მოვალეობების შესრულება, როდესაც ეს მოვალეობები არ სრულდება ნებაყოფლობით და

¹⁸⁶ (იხ.ციტრება) Грель Я. В. Злоупотребление Сторон Процессуальными Правами в Гражданском и Арбитражном Процессе, Диссерт.Каннд. Юрид. Наук. Новосибирск, 2006, გვ 68. <disserCat-Электронная библиотека диссертаций>[უჭანაკნელდიქნა გადმოწმებულ 25.09.2019]

¹⁸⁷ (იხ.ციტრება)Алексеев С. С. Общие Дозволения и Запреты в Советском Праве, изд-во Юрид Литература, М. 1984, გვ. 118.

კეთილსინდისიერად. სხვაგვარად შეუძლებელი იქნება სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირება.¹⁸⁸

რა თქმა უნდა სამოქალაქო საპროცესო მოვალეობის დარღვევას პირობითად ეწოდება საპროცესო, ვინაიდან ის ჩადენილია კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვის დროს სასამართლოში. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ საპროცესო მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას არ შეიძლება ჰქონდეს პროცესუალური ხასიათი, რადგან თავად საპროცესო მოქმედება გულისხმობს პროცესის მონაწილის მართლზომიერ, კანონით გათვალისწინებულ ქცევას.¹⁸⁹

საპროცესო მოვალეობა დგინდება სამოქალაქო საპროცესო ნორმებით. სასამართლოს არა აქვს უფლება მოსთხოვოს მხარეს ან პროცესის სხვა მონაწილეს შეასრულოს მოვალეობები, რომელიც არ არის გათვალისწინებული კანონით. სამოქალაქო საპროცესო მოვალეობების მატარებლად გვევლინებიან საპროცესო ურთიერთობის ყველა სუბიექტი და მათ შორის რა თქმა უნდა სასამართლო. ამ მოვალეობების შეუსრულებლობას შედეგად მოჰყვება არახელსაყრელი შედეგები, რაც გათვალისწინებულია კანონით. სამოქალაქო მოვალეობების დროული და ზუსტი შესრულება უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ხარისხიან მუშაობას სამოქალაქო საქმეებზე. სამოქალაქო საპროცესო მოვალეობების ძირითადი მოთხოვნაა გარკვეული მოქმედების შესრულება ან მისგან თავის შეკავება. სასამართლოს მოთხოვნა პირის მიმართ შეასრულოს ესა თუ ის მოვალეობა შეიძლება იყოს სხვადასხვა. ეს მოვალეობები სასამართლოს მოთხოვნის შემთხვევაში, პირის მიერ ზოგჯერ სრულდება ნებაყოფლობით და ზოგჯერ საპროცესო პასუხისმგებლობის გამოყენებით.

საქმეში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები, პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობები, სასამართლოსა და სხვა ორგანოთა უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია კანონით და მათი დადგენა პროცესის სამართალურთიერთობათა მონაწილეების მიერ დაუშვებელია. შეიძლება იმის თქმაც, რომ მხარეთა საპროცესო მოვალეობები დგინდება იმპერატიულად, ანუ მავალდებელი ნორმებით, რომელშიც სანქცია წარმოადგენს ნორმის სტრუქტურის აუცილებელ ელემენტს.

სამართლის თეორიის მიხედვით სამოქალაქო საპროცესო სამართალდარღვევისათვის დამახასიათებელია ოთხი ძირითადი ნიშანი:

¹⁸⁸ (იხ.ციტრება) Цихоцкий А. В. Теоретические Проблемы Эффективности Провосудия по Гражданским Дела, изд-во наука, Новосибирск, 1997. გვ. 291

¹⁸⁹ (იხ.ციტრება) Юдин А. В. Злоупотребление Процессуальными Правами в Гражданском Судопроизводстве, Диссерт. на Соискание Докт. Юрид. Наук, Санкт-петербург, 2009, გვ.220 <dslib.net-Библиотека Диссертаций>[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.08.2020]

ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი და სუბიექტური მხარე. ერთ-ერთი ნიშანის არარსებობა გამორიცხავს სამოქალაქო საპროცესო სამართალდარღვევას. აღწერა სამოქალაქო საპროცესო სამართალდარღვევის შემადგენელი ელემენტების, როგორც საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენების, საშუალებას მოგვცემს ერთი მხრივ გაძლიერდეს ზემოქმედება არაკეთილსინდისიერი პირების მიმართ, ვინც ჩადის საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებას და მეორე მხრივ დაცული იქნან ის პირები პასუხისმგებლობისაგან, ვისაც ამგვარი სამართალდარღვევა არ ჩაუდენიათ. საპროცესო სამართალდარღვევა შეიძლება დავახასიათოთ ორ ობიექტიან სამართალდარღვევად. ძირითადი ობიექტი სამართალდარღვევის, არის მართლმსაჯულების ინტერესები. მეორე დამატებითი ობიექტი არის პროცესის მონაწილის საპროცესო უფლებები და ინტერესები. ობიექტური მხარე ხასიათდება მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მიყენებული ზიანით. მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირით ქმედებასა და დამდგერ შედეგს შორის.¹⁹⁰

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო სამართალდარღვევა არის ქმედება, რომელიც ჩადენილია განზრახ ან გაუფრთხილებლობით. არაბრალეული მოქმედება, რომლითაც თუნდაც ფორმალურად დაირღვა საპროცესო ნორმების მოთხოვნა, არ შეიძლება შეფასდეს როგორც სამართალდარღვევა.¹⁹¹

პასუხისმგებლობის ზომებს სასამართლო ღებულობს სწორედ სამართალდამრღვევის ბრალეული მოქმედებისათვის. სასამართლო პროცესზე პასუხისმგებლობის დადგომა არაბრალეული ქმედებისათვის დაუშვებელია.¹⁹²

პასუხისმგებლობის ზომების არსებობა განპირობებულია იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში სასამართლომ ზემოქმედება განახორციელოს საპროცესო სამართალურთიერთობის სუბიექტზე იმისათვის, რომ მასში აღიდრას საპროცესო მოვალეობის ნებაყოფლობით და კეთილსინდისიერად შესრულების სურვილი.¹⁹³

¹⁹⁰ (იხ.ციტრება) Бутнев В., В., Сушность и Порядок Реализации Гражданской Процессуальной Ответственности, Изд-во Ярославского Ун-та, Ярославль, გვ. 25. 1989

¹⁹¹ (იხ.ციტრება) Малеин Н. С. Правонарушение: Понятие, Причины, Ответственность. Изд-во Юрид. Лит. М., 1985. 16 გვ.

¹⁹² (იხ.ციტრება) Штефан М. И. Гражданская Процессуальная Ответственность, Из-во Киевского Ун-Та, Киев, 1988. გვ. 225.

¹⁹³ (იხ.ციტრება) Бутнев В. В. Гражданская Процессуальная Ответственностью, изд-во Ярославского Ун-та, Ярославль, 1999. გვ.51-52

ფართო გაგებით მთელი სამოქალაქო პროცესი წარმოადგენს საპროცესო იძულებას, რადგან საპროცესო საქმიანობა ორიენტირებულია დარღვეული უფლებების დასაცავად იმისათვის, რომ აიძულოს მხარე შეასრულოს იურიდიული ვალდებულება, როდესაც ის ამას არ ასრულებს ნებაყოფლობით.¹⁹⁴

მხარის მართლზომიერი და კეთილსინდისიერი მოქმედება გამორიცხავს სასამართლოს მხრიდან იძულებითი ზომების გამოყენებას. აღნიშნული ზომების გამოყენება სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მხარე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას. პროცესის მონაწილე ვერ შესძლებს წინ აღუდგეს მის წინააღმდეგ გამოყენებულ იძულებით ზომებს. შესაბამისად მან ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ არ დაუშვას მისთვის არახელსაყრელი საპროცესო ზომების მიღება სასამართლოს მხრიდან.

იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით საინტერესო მოსაზრებებს იმ განსაკუთრებულ ნიშნებზე, რაც აუცილებელია სამოქალაქო საპროცესო სამართალურთიერთობის სწორად წარმართვისათვის. მაგ: 1. “კანონში ზუსტად, მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი სხვადასხვა საპროცესო მოქმედებები, რასაც უნდა ახორციელებდეს სასამართლო და პროცესის სხვა მონაწილეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში. 2. სასამართლო არის სახელისუფლებო-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. ამ ძალაუფლებაზე დაფუძნებული შესაძლებლობა უმკვიდრებს მას მნიშვნელოვან ადგილს საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობებში, სადაც საკუთარ უფლება-მოვალეობებს ახორციელებენ პროცესში მონაწილე სხვა სუბიექტებიც. 3. სამოქალაქო საპროცესო დაცვის გარანტიებისა და საშუალებების არსებობა უზრუნველყოფს პროცესის მონაწილეების საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებას. 4. სამოქალაქო საპროცესო საშუალებებმა შესაძლებელი უნდა გახადოს სამოქალაქო საქმის სრული და ობიექტური გამოკვლევა, საპროცესო კანონმდებლობით მკაცრად განსაზღვრული მტკიცებითი საქმიანობის განხორციელება.”¹⁹⁵

„სამართლის თეორიაში იურიდიულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მეცნიერ-მკვლევარებს შორის განსხვავებული მიდგომებია. ლიტერატურაში დაისახა ტენდენცია, რომ იურიდიული პასუხისმგებლობა,

¹⁹⁴ (იხ.ციტრება) Лукьянова Е. Г. Теория Процессуального Права, Изд-Норма М., 2003, გვ. 31.

¹⁹⁵ Мельников А. А. Советский гражданский процессуальный закон, Изд-ВЮЗИ, М., 1973, გვ. 89.

სოციალური პასუხისმგებლობის მსგავსად, ორ ასპექტში იყოს განხილული პოზიტიურ და „რეტროსპექტულ“ ანუ ნეგატიურ ასპექტში.“¹⁹⁶

ნეგატიური ანუ რეტროსპექტული პასუხისმგებლობა მჭიდრო კავშირშია უკვე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასთან და ამიტომ იურიდიული პასუხისმგებლობა, რომელიც გამოიყენება უფლებადამრღვევის მიმართ არის სახელმწიფოებრივი იძულება, ნეგატიური შედეგებით, რაც დადგენილია შესაბამისი ნორმის სანქციით. უფლებადამრღვევს მოცემული სანქციები აკისრებენ მისთვის არასასურველ პირადი ან ქონებრივი ხასიათის ვალდებულებებს იმ მოცულობით, რაც გათვალისწინებულია მოცემული სამართლის ნორმის სანქციით.

მეცნიერები, რომლებიც მხარს უჭერენ იურიდიულ პასუხისმგებლობის რეტროსპექტიულ გაგებას, მას განიხილავენ, როგორც სახელმწიფოებრივი იძულების აქტს.¹⁹⁷

“პოზიტიური პასუხისმგებლობის მომხრეები იურიდიულ პასუხისმგებლობას განიხილავენ განსხვავებულად, კერძოდ: სუბიექტი აცნობიერებს თავის კეთილსინდისიერი ქმედების საჭიროებას საზოგადოებისთვის და სახელმწიფოსთვის. მას სურს ზედმოწევით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები და იმოქმედოს კანონის ფარგლებში. მაშასადამე, ამ მოსაზრების მომხრებს მიაჩნიათ, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობა არსებობს მაშინაც, როდესაც პირი ჩადის კანონისაგან ნებადართულ და აუკრძალავ მოქმედებებს.“¹⁹⁸

ამ შედარების შედეგად, ერთ-ერთი მკვლევარი ხაზს უსვამს პოზიტიური პასუხისმგებლობის უპირატესობაზე. ის აღნიშნავს, რომ პოზიტიური იურიდიული პასუხისმგებლობა უზრუნველყოფს კანონიერებას, ავითარებს მართლშეგნებას, ხელს უწყობს პირის აქტიურობას შეასრულოს ვალდებულებები არა მხოლოდ სხვა პირთა, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.¹⁹⁹

„იურიდიული პასუხისმგებლობის ორ ასპექტში განხილვა მიუღებელი აღმოჩნდა მეცნიერებისათვის, რომლებიც თვლიან, რომ იურიდიული პასუხისმგებლობა არის პასუხისმგებლობა წარსულში ჩადენილი

¹⁹⁶ სუბიტაშვილი დ. სუბიტაშვილი თ. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. გამომცემლობა „მერედიანი“ თბილისი, 2016, გვ. 10.

¹⁹⁷ (იხ.ციტრება) Самошенко И. С. Фарукшин М. Х. Сушность Юридической Отвественности в Советском Обществe, Изд-Юрид. Лит. М. 1974, გვ. 6.

¹⁹⁸ Смирнов В. Г. Функции Советского Уголовного Права, Изд-во Ленинградс. Гос- Университет. Ленинград, 1965, გვ. 79.

¹⁹⁹ (იხ.ციტრება) Астемиров З. А. Понятие Юридической Ответственности, Изд-во Советское Государства и Право, М.1979, №6, გვ 65.

ქმედებისათვის. ამიტომ, ვალდებულების შესრულება პოზიტიური გაგებით და პოზიტიური პასუხისმგებლობის სოციალურ თუ სამართლებრივ ჭრილში განხილვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს.²⁰⁰

ძირითად შემთხვევაში, იურიდიული პასუხისმგებლობის „პოზიტიური“ გაგების ნაკლს წარმოადგენს, ის რომ ისეთი ღირებულებები, როგორცაა ღირსება, სინდისი, მოვალეობა და ა. შ. არის ზნეობრივი კატეგორიები. პასუხისმგებლობა არ შეიძლება არსებობდეს სანქციების გარეშე. იურიდიულ პასუხისმგებლობას, მხოლოდ „ნეგატიურ“ ასპექტში, მოვალეობის იძულებით შესრულების შესაძლებლობების შემთხვევაში შესწევს უნარი უზრუნველყოს სამართლებრივი ნორმების განხორციელება. ამით იურიდიული პასუხისმგებლობა განსხვავდება ზნეობრივი პასუხისმგებლობისგან. უდაოა, რომ ზნეობრივ და სამართლებრივ პასუხისმგებლობას აქვს ერთი მიზანი, მოაწესრიგოს ურთიერთობები პირთა შორის. რეტროსპექტიული იურიდიული პასუხისმგებლობა პოზიტიური პასუხისმგებლობის გარეშე უსულა. პოზიტიური პასუხისმგებლობა რეტროსპექტიული პასუხისმგებლობის გარეშე არის უმოქმედო დეკლარაციული ხასიათის. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ესენი დამოუკიდებელი კატეგორიებია და მათი შერწყმა იქნება მეთოდოლოგიური შეცდომა.²⁰¹

იურიდიული პასუხისმგებლობა შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ, როგორც პასუხისმგებლობა ჩადენილი სამართალდარღვევისათვის, ეს არის ერთადერთი სწორი და კლასიკური გაგება იურიდიული პასუხისმგებლობის, რომელსაც აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია. სხვადასხვა პოზიციის ანალიზი, ამ საკითხთან დაკავშირებით ცხადყოფს, რომ ამ კონცეფციის ნაკლს წარმოადგენს „ნეგატიური“ და „პოზიტიური“ ასპექტების შინაგანი შეუთავსებლობა. ასეთი წინააღმდეგობრიობა თავს იჩენს, როდესაც დგება საკითხი იურიდიული, პოზიტიური პასუხისმგებლობის სამართლებრივი ხასიათის გამოსავლენად, როცა გვინდა გავმიჯნოთ პასუხისმგებლობა და მართლზომიერი მოქმედება, მოვალეობის შესრულება, უფლებაუნარიანობა და სხვ.²⁰²

იურიდიული პასუხისმგებლობა არის სახელმწიფოს რეაქცია პირის არამართლზომიერ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაზე. იურიდიული

²⁰⁰ სუხიტაშვილი, დ. სუხიტაშვილი, თ. დასახელებული ნაშრომი გვ. 12.

²⁰¹ (იხ. ციტრება) Братусь С. Н. Юридическая Ответственность и Сознание Долга, Вопросы Теории Государства и Права, Изд-во Соротовского Ун-та Саратов, 1983, გვ. 58.

²⁰² (იხ. ციტრება) Лейст О. Э. Понятие Ответственности в Теории Права. Вестник МГУ. Серия 11. Право 1994. № 1 გვ. 33

პასუხისმგებლობა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოებრივი იძულებით. სახელმწიფო იძულება ვლინდება იურიდიული პასუხისმგებლობით და მისი მიზანია, რომ სამართალდამრღვევს დააკისროს დამატებითი პირადი ან ქონებრივი ხასიათის ვალდებულებები.

ზემოთნახსენებ პოზიტიური პასუხისმგებლობის მხარდამჭერი მეცნიერების მსჯელობის თანახმად: „პოზიტიური“ ასპექტი „ნეგატიურ“ ასპექტთან ერთად წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის შემადგენელ ნაწილს. ამასთან ეს ელემენტები ერთმანეთთან არიან მჭიდრო კავშირში და ერთმანეთს განაპირობებენ.²⁰³

ამ ლოგიკით პოზიტიურ ასპექტსაც უნდა ჰქონდეს ისეთივე დამახასიათებელი ნიშნები, როგორც ნეგატიურს, ვინაიდან ერთი მოვლენის ორი ნაწილი არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს ერთმანეთთან. პირი, რომელიც თავისი ნებით იცავს სამართლის ნორმის მოთხოვნებს არ ეკისრება არავითარი პოზიტიური პასუხისმგებლობა. არც საკანონმდებლო პროცედურები არსებობს იმისა, რომ ვინმეს, ვინც მოქმედებს მართლზომიერად, დაეკისროს „პოზიტიური“ იურიდიული პასუხისმგებლობა.

პირი, რომელიც მოქმედებს მართლზომიერად, პასუხისმგებლობით არის გამსჭვალული საკუთარი თავის წინაშე, ანგარიშვალდებულებულიც თავის თავთანაა და ე.ი. ასეთ გარემოებას არაფერი აქვს საერთო იურიდიულ პასუხისმგებლობასთან.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები პოზიტიური იურიდიული პასუხისმგებლობის შესახებ ეფუძნება მოსაზრებას, რომ პირის მოვალეობაა მოეკიდოს პასუხისმგებლობით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ანუ პოზიტიური პასუხისმგებლობა აერთიანებს ამ ორ საწყისს, მოვალეობას და პასუხისმგებლობას. მნელია დაეთანხმო ამგვარ მოსაზრებას, რადგან მოვალეობის გრძნობა, პასუხისმგებლობის განცდა, სამართლიანობის პატივისცემა, სინდისის ქეჯნა და ა. შ. არ შედის იურიდიული პასუხისმგებლობის ცნებაში. იურიდიული პასუხისმგებლობა ეკისრება სამართალდამრღვევს, მასზე პირადი ან ქონებრივი ხასიათის ზემოქმედების მოსახდენად.

აღნიშნულ საკითხზე ქართველ ავტორს მოჰყავს უცხოელი მკვლევარის მოსაზრება: „სოციალური პასუხისმგებლობის ორი სახის აღიარება არ ნიშნავს, რომ ასეთივე ორი სახის იურიდიული პასუხისმგებლობის კონსტრუქცია

²⁰³ (იხ.ციტრება) Астемиров З. А. გამოყენებული ნაშრომი გვ 70.

ჩამოყალიბდეს. იურიდიული და სოციალური პასუხისმგებლობის გაიგივება არ შეიძლება. ისევე, როგორც განვასხვავებთ სოციალურ და სამართლებრივ ნორმებს, ასევე უნდა განვასხვავოდ სოციალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის პოზიტიურ ასპექტში განხილვა არის საზოგადოებაში სუბიექტის მორალური ქცევის წესი და ამიტომ არ შეიძლება მტკიცებულებად იყოს გამოყენებული. პოზიტიური პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ პირმა კეთილსინდისიერდ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა და არა პასუხისმგებლობას იურიდიული მნიშვნელობით.²⁰⁴

“ვალდებულების შესრულება პოზიტიური გაგებით და შესაბამისად პოზიტიური პასუხისმგებლობის სოციალურ თუ სამართლებრივ ჭრილში განხილვის ცალსახა პასუხი არ არსებობს. ამის დადასტურებაა ასევე ცნობილი გერმანელი კომპარატივისტების კონრად ცვაიგერტისა და ჰაინ კოტცის დასკვნები. ისინი ხელშეკრულების დარღვევის ორ აუცილებელ ალტერნატივაზე საუბრობენ. ესენია: ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა და შესრულების ვადის გადაცილება. ავტორები აქვე დასძენენ, რომ უკვე დიდი ხანია არსებობს მყარი სასამართლო პრაქტიკა, რომლის თანახმად, მოვალე პასუხისმგებლად ითვლება ე.წ. „ხელშეკრულების პოზიტიური დარღვევის საფუძველზე“. მათ მოჰყავთ სხვადასხვა მაგალითები და დასძენენ, რომ მოპასუხეების მხრიდან დარღვეულია იურიდიული ნორმები და არა სოციალური. ამიტომ სასამართლოების მხრიდან გამოყენებული ტერმინი-„ხელშეკრულების პოზიტიური დარღვევა“ არცთუ ხელსაყრელია.“²⁰⁵

ზემოთქმულიდან გამომდინარე იურიდიულ მეცნიერებაში დამკვიდრებული აზრის თანახმად, იურიდიული პასუხისმგებლობა არის სამართლებრივი მოწესრიგების და მამასადამე სამართლის არსებობისათვის აუცილებელი ელემენტი. იურიდიული პასუხისმგებლობა გამოიყენება სამართლის ნორმის საფუძველზე და მიმართულია სამართალდამრღვევის წინააღმდეგ, რომლის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს იურიდიული პასუხისმგებლობა.

იურიდიული პასუხისმგებლობა არ არის რიგითი ვალდებულება. ის აუცილებლად მოიცავს დასჯის ელემენტებსაც. თუკი პაუსუხისმგებლობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა განიცადოს ქონებრივი ან პირადი

²⁰⁴ Смирнов В. Т. Собчак А. А. Общее Учение о Деликтных Обязательствах в Советском Гражданском Праве Ленинград-1983. გვ. 44. სუბიტაშვილი დ. სუბიტაშვილი თ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 11.

²⁰⁵ იქვე გვ.12

ხასიათის უარყოფითი შედეგი, მაშინ პროპორციულად დგება საკითხი, რომ ასეთი შედეგი დადგეს მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების შედეგად. თუ არ არსებობს ბრალი, სუბიექტის მხრივ უღირს საქციელსაც არა აქვს ადგილი და შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველიც არ არსებობს.²⁰⁶

სამართალურთიერთობის მონაწილის საზღვრები ზუსტად არის განსაზღვრული სახელმწიფოს მიერ. შესაბამისად სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის მოქმედებები, რომლებიც სცილდება ამ ჩარჩოებს, არღვევს კანონის მოთხოვნებს და ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერებას. ამასთან, ქმედების სუბიექტური მხარე უნდა ხასიათდებოდეს განზრახვით, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება პირი მოქმედებდეს არა საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, არამედ სხვა პირისათვის ზიანის მიყენების მიზნით.²⁰⁷

უფლებების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ და ამ მოვლენის შემაკავებლად სამოქალაქო პროცესში მოქმედებს საპროცესო პასუხისმგებლობისა და დაცვის ზომები, რომლებიც განსხვავდება იან ერთმანეთისაგან თავიანთი დანიშნულების მიხედვით. თუკი საპროცესო პასუხისმგებლობის ზომები გამოიყენება საპროცესო სამართალდამრღვევის მიმართ, საპროცესო დაცვის ზომების მიზანია, რომ არ მოხდეს ამ უფლებების ბოროტად გამოყენება.²⁰⁸

„უფლების დაცვის საშუალების გამოყენება, როგორც წესი, ვალდებული პირის ბრალეულ მოქმედებასთან არ არის დაკავშირებული და ვალდებული პირისათვის მატერიალურ და პირადი ხასიათის რაიმე უარყოფით შედეგს არ იწვევს. კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს ვალდებულების რეალურად შესრულება. ვალდებული პირის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ვალდებულების შესრულება მოხდება იძულების წესების გამოყენებით. ამის მიუხედავად ასეთი სანქცია პასუხისმგებლობად ვერ ჩაითვლება, რადგან მოვალე იძულების გარეშე ვალდებული იყო შეესრულებინა ხელშეკრულება, რის შედეგადაც თვითონ რაიმე ქონებრივი ხასიათის უარყოფით შედეგს არ განიცდის.

იურიდიული პასუხისმგებლობა არის სამართალდამრღვევისათვის სპეციფიკური ვალდებულება, რომელმაც კანონის თვალსაზრისით უღირსი

²⁰⁶ (იხ.ციტრება) Явич Л. С. Общая Теория Права, Ленинград, 1976, გვ. 231-232. იხ. დასახელებული ნაშრომი სუბიტაშვილი დ. სუბიტაშვილი თ. გვ. 16.

²⁰⁷ (იხ.ციტრება) Попова И. Ю. О Квалификации Злоупотребления Процессуальными Правами, Журнал Право и политика, М, № 5 (149), 2012, გვ. 905.

²⁰⁸ (იხ.ციტრება) Ермаков А. Н. Мери Защиты в Арбитражном Процессуальном праве, Изд-во Соротовского Ун-та, Саратов, 2002 გვ 20.

საქციელის გამო უნდა განიცადოს ქონებრივი ან/და პირადი ხასიათის უარყოფითი შედეგი.²⁰⁹

„ქართველი მკვლევარები სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნების განსაზღვრებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიიჩნევენ სანქციების დაჯგუფებას უფლების დაცვის (ან ვალდებულების შესრულების) საშუალებად და პასუხისმგებლობის საშუალებად.

უფლების დაცვის საშუალების გამოყენება, როგორც წესი, ვალდებული პირის ბრალეულ მოქმედებასთან არ არის დაკავშირებული და მატერიალური ან პირადი ხასიათის რაიმე უარყოფით შედეგებს არ იწვევს.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი თვისებაა, რომ პასუხისმგებლობის გამოყენება სამართალდარღვევისათვის უარყოფით შედეგებს გამოიწვევს. მსესხებლისათვის სესხის დაბრუნების დაკისრება არის სამოქალაქო უფლების დაცვის საშუალება და არა პასუხისმგებლობის საშუალებები, რადგან იძულების ეს საშუალებები ვალდებულ პირს აკისრებს კრედიტორს გადასცეს ის, რაც ვალდებულ პირს არ ეკუთვნის.“²¹⁰

დამცავი ნორმების ფუნქციაა თავიდან იქნას აცილებული, როგორც საპროცესო ნორმების დარღვევით საქმის აღძვრა სასამართლოში, ასევე სხვადასხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება. საპროცესო დაცვის საშუალებები გამოიყენება არა ვინმეს დასასჯელად, არამედ საპროცესო სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად.

დაცვითი საპროცესო ზომების გამოყენებას ადგილი აქვს, როდესაც სარჩელის მიღებაზე უარის თქმა, განპირობებულია იმით, რომ სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას, არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ და ა. შ. (იხ.სსსკ-ის 186-ე მ.)

აღნიშნული ზომები არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო პასუხისმგებლობას, ვინაიდან შედეგობრივად არ უკავშირდება რაიმე სახით ზემოქმედების მოხდენას პირზე. განცხადების წარმოებაში არ მიღების შემთხვევაში, სასამართლო უთითებს, რომ პირს აქვს უფლება იმავე სარჩელით მიმართოს სასამართლოს თუ აცილებული იქნება დაშვებული დარღვევა. (სსსკ-ის 186-ე მ.). ამასთან, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეძლება კერძო საჩივრის შეტანა. (სსსკ-ის 187-ე მ.).

²⁰⁹ სუხიტაშვილი დ. სუხიტაშვილი თ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 15-16.

²¹⁰ სუხიტაშვილი დ. სუხიტაშვილი თ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 14-15.

“სამოქალაქო პროცესში დაცვის ზომები და პასუხისმგებლობის ზომები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. 1. სამოქალაქო პროცესში პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საფუძველი არის ბრალეულობით ჩადენილი სამართალდარღვევა. დაცვის ზომები გამოიყენება სამართალდარღვევის დროს, რომელიც არ ხასიათდება პროცესის მონაწილის სუბიექტური მხარით განსაზღვრული ხედვით. ეს ზომები გამოიყენება, რათა პროცესის მოძრაობა სწორად იქნას წარმართული. 2. პასუხისმგებლობის ზომები განსხვავებით დაცვის ზომებისგან გამოიწვევს გარკვეული სახის დამატებით ღონისძიებებს. 3. პასუხისმგებლობის ზომების ფუნქციაა აღადგინოს სამართლიანობა, დაცვის ზომების ფუნქცია არის არ დაუშვას სამართალდარღვევა. 4. გამოყენება და მოცულობა პასუხისმგებლობის ზომების განისაზღვრება სასამართლოს შეხედულებით. 5. დაცვის ზომები განსხვავებით პასუხისმგებლობის ზომებისაგან არ უკავშირდება სამართალდამრღვევის საზოგადოებრივ გაკიცხვას.”²¹¹

“სამოქალაქო საპროცესო პასუხისმგებლობის ზომები და დაცვის ზომები ერთმანეთს რა თქმა უნდა არ გამოირიცხავენ. როდესაც პირს სურს საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებით მიაღწიოს გარკვეულ შედეგს, სასამართლო დაცვის ზომებზე მითითებით უარს ეუბნება პროცესის სუბიექტს გარკვეული მოქმედების შესრულებაზე.”²¹²

“სამოქალაქო საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენება არის სამართალდარღვევა, რომელიც გარეგნულად ქმნის კანონიერი მოქმედების შთაბეჭდილებას. ამ შემთხვევაში პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს პირის ბრალეულობის დადგენას. პირი უნდა აცნობიერებდეს მისი ქმედების არამართლზომიერებას. როგორც ვხედავთ, სასამართლოსთვის არ არის იოლი გამოავლინოს საპროცესო უფლებების ბოროტად დამრღვევი. არის შემთხვევები, როდესაც საპროცესო მოქმედება ჰგავს უფლების ბოროტად გამოყენებას, მაგრამ სასამართლოს არ შეუძლია ზუსტად იმის მტკიცება, რომ ადგილი აქვს სამართალდარღვევას, რასაც შესაბამისი ზომები უნდა მოჰყვეს. ასეთ შეფასებებში სასამართლო ყოველთვის იჩენს სიფრთხილეს, რადგან ამან შესაძლოა ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულების ინტერესებს.”²¹³

სამოქალაქო საპროცესო პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით, საინტერესო დებულებებს ვხვდებით ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტის 1984 წლის 28 თებერვლის რეკომენდაციაში.

²¹¹ Ермаков А. Н. გამოყენებული ნაშრომი გვ. 14-15.

²¹² Жильцова Н. А. Голиченко М. М. Гражданская Процессуальная Ответственность, Журнал-Понятие и Основания, М., 2008, № 8, გვ. 7-8.

²¹³ Юдин А. В. დასახელებული ნაშრომი გვ. 292.

რეკომენდაცია ეძღვნება სასამართლო სისტემის სრულყოფისათვის, სამოქალაქო სამართალწარმოებაში პასუხისმგებლობის პრინციპების დამკვიდრებას. რეკომენდაციის თანახმად: როდესაც მხარე აღძრავს აშკარად უსაფუძვლო სარჩელს, სასამართლოს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება გამარტივებული პროცედურებით მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, დააკისროს ამ მხარეს ჯარიმა ან გამოიტანოს გადაწყვეტილება მეორე მხარისათვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

სასამართლო განხილვის დროს, როდესაც მხარე მოქმედებს არაკეთილსინდისიერად და აშკარად არღვევს პროცედურებს იმ მიზნით, რომ გააჭიანუროს პროცესი, სასამართლოს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება დაუყოვნებლივ მიიღოს სანქციები. მაგალითად: დააკისროს ჯარიმა, ზიანის ანაზღაურება, ჩამოართვას საპროცესო მოქმედების უფლება, განსაკუთრებულ შემთხვევებში მისი ადვოკატს უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯების გადახდა.

იურისტთა პროფესიულ ასოციაციებისათვის მოხდეს შეთავაზება მიიღონ დისციპლინარული ზომები, როცა მათი წევრი მოქმედებდა ზემოთ დასახელებული ნიშნების მოხედვით.²¹⁴

მიუხედავად ამ სახის რეკომენდაციებისა, მკვლევარებს შორის დღემდეა დავა საპროცესო პასუხისმგებლობის შესახებ. ერთ-ერთ ავტორთან გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამართლის დარგის არსებობა წარმოუდგენელია, თუკი მას არ გააჩნია საშუალებები, უზრუნველყოს სამართლებრივი მოთხოვნების შესრულება. დღეს, სამოქალაქო პროცესში აღინიშნება ეფექტური საპროცესო საშუალებების სიმცირე, რომელიც დაგვეხმარებოდა გვერდოლა საპროცესო უფლებების სწორად გამოყენების მიმართულებით.²¹⁵

თუმცა ზოგიერთი ავტორი სამოქალაქო საპროცესო პასუხისმგებლობას არ მიიჩნევს სამართლის სხვა დარგისაგან დამოუკიდებელ, თვითმყოფად იურიდიულ ღონისძიებად: ზომები, რომლებიც მიეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო პასუხისმგებლობას, წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართლებრივ ზომებს. ამრიგად, არ არსებობს

²¹⁴ (იხ.ციტრება) <Zakon.rada.gov.ua/lows/show/994_126#Text.> [უკანასკნელდგადმოწმებულ იქნა 07.08.2020.]

²¹⁵ (იხ.ციტრება) Приходко А. И. Воспрепятствование Разрешению Дел в Арбитражном Суде, Изд-во Волтерс Клувер. М., 2006. გვ. 248.

სამოქალაქო საპროცესო პასუხისმგებლობის ერთიანი ბუნება და ერთიანი მეთოდი.²¹⁶

სამართლის თეორეტიკოსების უარყოფითი დამოკიდებულება სამოქალაქო საპროცესო პასუხისმგებლობის მიმართ წარმოიშვა იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ ისინი არ სცნობდნენ სამოქალაქო საპროცესო სამართალს დამოუკიდებელ დარგად და მას მიიჩნევდნენ პროცედურულ, ტექნიკურ და არა მეცნიერულ-სამართლებრივ წარმონაქმნად.

ამ აზრის ჩამოყალიბებას, როგორც ირკვევა ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ერთი სანქცია სხვადასხვა ნორმისთვისაა განკუთვნილი. საპროცესო ნორმებისთვის დამახასიათებელია შეფარდებითობა, ერთი სანქცია ემსახურება სხვადასხვა ნორმას, თანხვედრაში მოდის სხვადასხვა ნორმის ჰიპოთეზასთან და დისპოზიციასთან.²¹⁷

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განსაზღვრება როგორი მოქმედება შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებად და რა სახის საპროცესო პასუხისმგებლობის ზომა იქნება გამოყენებული ამა თუ იმ საპროცესო სამართალდარღვევისათვის არ არსებობს. საპროცესო კოდექსში, უნდა გაჩნდეს მკაფიო ჩანაწერი, რას ნიშნავს საპროცესო უფლება-მოვალეობის ბოროტად გამოყენება და რა ზომებს მიმართავს სასამართლო, რომ არ დაუშვას ამგვარი გამოვლინებები.

საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენება უნდა გავიგოთ განსაკუთრებულ სახედ სამართალდარღვევის, ვინაიდან იგი მიმართულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო-სასამართლოს წინააღმდეგ.²¹⁸

საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენებას დღეს არსებული კანონმდებლობა ებრძვის მხოლოდ ე.წ. დამცავი ნორმების გამოყენებით, რომელიც ხშირად უძლურია არაკეთილსინდისიერი გამოვლინებების წინააღმდეგ. ამდენად სავსებით საფუძვლიანად მიმაჩნია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შემდეგი მოსაზრებები:

საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის არაკეთილსინდისიერი მონაწილეები საპროცესო ინსტიტუტების გამოყენებით ცდილობენ მიაღწიონ თავიანთ ანგარებით მიზნებს და ამით ხელს უშლიან სასამართლოს სწორად ფუნქციონირებას. დრო, რომელიც იხარჯება „ფუჭი“ საქმეების განხილვაში

²¹⁶ (იხ.ციტრება) Нохрин Д. Г. Государственное Принуждения в Гражданском Судопроизводстве, Авторефер. Дис. Канд. Юрид. Наук, М., 2007, გვ. 6-7. <disserCat-Электронная Библиота Диссертаций>[უკანასკნელად იქნა შემოწმებული 16.05.2020]

²¹⁷ (იხ.ციტრება) ЧеЧина Н. А. Категория Ответственности в Советском Гражданском Процессуальном Праве, Вестник Ленинградского Университета, 1982, №17, გვ. 73.-76.

²¹⁸(იხ.ციტრება) Васьяковский Е. В. დასახელებული ნაშრომი, გვ. 681

შესაძლოა გამოყენებული იქნეს „ნამდვილი“ საქმის განსახილველად. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან ადეკვატური ზომა წინ აღუდგეს საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებას იქნება იმ მხარის დაჯარიმება, ვინც ცდილობს ამგვარი მოქმედებებით ხელს უშლის სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას. ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მიზანშეწონილია დამკვიდრდეს ნორმა, რომელსაც სასამართლო გამოიყენებს არაკეთილსინდისიერად მოქმედი პროცესის მონაწილის მიმართ.²¹⁹

იურიდიულ მეცნიერებაში სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მაგალითზე, ძალიან საინტერესო მოსაზრებას აყალიბებს ერთ-ერთი ავტორი.

სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ სამოქალაქო პროცესში არსებობს პასუხისმგებლობის ზომები. ეს ზომები შეიძლება დაიყოს იდეოლოგიურ, საპროცესო და საკომპესაციო ჯგუფებად. იდეოლოგიური ზომები არის პრევენციული ხასიათის და მათი მიზანია აიცილოს სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენება. მათ აქვთ აღმზრდელობით-შემეცნებითი ხასიათი. ამ პროცესში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სასამართლო. ამ ღონისძიებებს შეიძლება მივაკუთვნოთ ნებისმიერი მოქმედება, რომელიც მიმართული იქნება სამართლებრივი კულტურის ასამაღლებლად საზოგადოებაში, ვინაიდან ამ პრობლემას უკავშირდება არაკეთილსინდისიერი მიმართვების რაოდენობა სასამართლოში. ეს არ შეიძლება ჩაითვალოს უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების დროს პასუხისმგებლობის ზომებად, მაგრამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ სუბიექტზე უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

საპროცესო და საკომპესაციო ღონისძიებები წარმოადგენენ პასუხისმგებლობის ზომებს, რომელთა გამოყენება გამოიწვევს არახელსაყრელ შედეგებს პირთათვის, ვინც ბოროტად იყენებს სარჩელის უფლებას. ძირითადი საპროცესო ზომა სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ არის სარჩელის განხილვაზე უარის თქმა. როდესაც სასამართლო გამოარკვევს, რომ არსებობს ამის წინაპირობები მან უარი უნდა უთხრას არაკეთილსინდისიერ მოსარჩელეს სარჩელის განხილვაზე.²²⁰

ყურადღებას იმსახურებს სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმასთან ერთად მხარისათვის კომპესაციების დაკისრება.

²¹⁹ (იხ.ციტრება) Юдин А. В. დასახელებული ნაშრომი გვ 413.

²²⁰ (იხ.ციტრება) Zeiss W. Die arglistige Prozesspartei. Berlin, 1967. გვ. 188.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 91-93-ე მუხლების მიხედვით, რომელიც ეხება სასამართლო ხარჯების განაწილების წესს, მოსარჩელეს სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, მოპასუხის სასარგებლოდ შეიძლება დაეკისროს, როგორც სახელმწიფო ბაჟის, ასევე სხვადასხვა მოსაკრებლის გადახდა. მაგ: მოპასუხის მიერ ტრანსპორტით გადაადგილებისათვის, რიგ შემთხვევებში სასტუმროს ქირავნობისათვის, ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები და სხვ.²²¹

გერმანიის (მაინის ფრანკფურტის) უმაღლესმა საოლქო საამართლომ თავის 2012 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებაში სამოქალაქო საქმეზე აღნიშნა შემდეგი: “ გკს-91-ე მუხლის მიხედვით წაგებულმა მხარემ უნდა აანაზღაუროს ის ხარჯი, რომელიც გაიღო ოპონენტმა იმ ზომით, რაც აუცილებელი იყო მისი დაცვისთვის. ასევე უნდა ანაზღაურდეს მეორე მხარის მიერ მგზავრობის და სასამართლოში გამოცხადებისათვის გაწეული დრო და ადვოკატისათვის გადახდილი საზღაური. ეს ეხება ექსპერტიზის დანიშვნისათვის გაწეულ ხარჯებსაც”.²²²

საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობისათვის კანონმდებლობა უნდა განიხილავდეს სანქციების გამოყენებას. როდესაც ადგილი აქვს საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებას, სასამართლო უფლებამოსილი უნდა იყოს შეასრულოს საპროცესო მოქმედება, რომელსაც ექნება არასასურველი შედეგები არაკეთილსინდისიერი მხარის მიმართ.

ასეთი ქმედებების თავიდან აცილების მიზნით ზოგიერთი ევროპული ქვეყანა არ ერიდება მკაცრი სანქციების გამოყენებას. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-1 მუხლის მიხედვით: პირი, რომელიც ახორციელებს საპროცესო მოქმედებას იმისათვის, რომ შეაფერხოს საქმის განხილვა ან სხვაგვარად ბოროტად იყენებს მის უფლებას, შეიძლება დაეკისროს ჯარიმა სამოქალაქო წესით 15 დან 1500 ევრომდე, რაც არ ათავისუფლებს მას მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან, რომელიც შეიძლება მომავალში დაეკისროს.

იმავე კოდექსის 559-ე მუხლის მიხედვით: იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო საჩივრის წარდგენა ხდება პროცესის გაჭიანურების ან უფლების ბოროტად გამოყენების მიზნით, განმცხადებელს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 15 დან 1500 ევრომდე, რაც არ გამორიცხავს მისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

მომდევნო 560-ე მუხლით: სააპელაციო სასამართლოს შეუძლია დააკისროს სასამართლო ხარჯების გადახდა მას ვისაც შემოაქვს სააპელაციო

²²¹ (იხ.ციტორება) Zeiss W. იქვე. გვ 190.

²²² <<https://Openjur.de//u/614420>> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.09.20]

საჩივარი და საპატიო მიზეზის გარეშე არ ღებულობდა მონაწილეობას სასამართლო საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ყურადსაღები მოსაზრებაა, რომ სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს მხარეთა პასუხისმგებლობის, მართლშეგნების გაზრდის, მართლმსაჯულების ინტერესების დაცვის და საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფისათვის, ჯარიმები უნდა დამკვიდრდეს ისეთი საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებისათვის, როგორცაა: სასამართლოსთვის უსაფუძვლოდ სარჩელით მიმართვა, სასამართლოსთვის გამოუცხადებლობის მიზეზების შეუტყობინებლობა, მხარეთა მიერ მტკიცებითი დოკუმენტების ფალსიფიკაცია. საქმეში მონაწილე პირის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს მოთხოვნის მიუხედავად, მტკიცებულებების წარუდგენლობა, ცრუ განცხადება მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის თაობაზე და უსაფუძვლო სააპელაციო და საკასაციო საჩივრის წარდგენა.²²³

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მიხედვით მხარეები ვალდებული არიან, საქმის მომზადების მიზნით შეასრულონ სასამართლოს მითითებები, არასაპატიო მიზეზით წერილობითი მასალების წარუდგენლობა ან სხვა მოქმედებების შეუსრულებლობა ართმევს მხარეს უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითი განხილვის დროს. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსამართლე უფლებამოსილია, მისი მითითებების შეუსრულებლობისათვის მხარე დააჯარიმოს 50 ლარით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის-ის 212-ე მუხლით, სასამართლოში სხდომის თავჯდომარის განკარგულებით წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით შეიძლება დაეკისროს როგორც მხარეს, ასევე ნებისმიერს ვინც იმყოფება სხდომის დარბაზში. ჯარიმა შეიძლება განისაზღვროს 50-დან 500 ლარამდე ოდენობით. თუ დაჯარიმებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, მოსამართლეს შეუძლია დაუყოვნებლივ გაზარდოს ჯარიმის ოდენობა ამ ნაწილით განსაზღვრულ ფარგლებში. ფაქტიური საფუძველი სასამართლოს მხრიდან ქონებრივი, ფულადი პასუხისმგებლობის დაკისრების, არის სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევა. ზემოთ აღინიშნა, რომ პირის დაჯარიმებას აქვს ორმაგი ხასიათი. პირი, რომელიც უბრალოდ ესწრება სხდომას არ არის საპროცესო ურთიერთობის სუბიექტი და მისი მოქმედება ვერ შეფასდება საპროცესო უფლება-მოვალეობათა ბოროტად გამოყენებად. მაგრამ თუ

²²³ (იხ.ციტრება) Юдин А., В., დასახელებული ნაშრომი გვ. 414.

სასამართლო მხარეს აჯარიმებს სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევისათვის ეს არის საპროცესო პასუხისმგებლობა უფლებამოვალეობის ბოროტად გამოყენებისათვის.

მაშასადამე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისთვისაც არ არის უცხო საპროცესო პასუხისმგებლობის სახით სამართალდამღვევის დაჯარიმება. თუმცა, ზემოთ მოყვანილი ნორმები არ არის ზოგადი. იგი გამოიყენება მხოლოდ მოცემული შემთხვევებისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული არაკეთილსინდისიერი გამოვლინებები საქმის მომზადების (სსსკ-ის 206-ე მ.) და სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის (სსსკ-ის 212-ე მ.).

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება წინასწარ გამსაზღვრული თანხის ოდენობით, იმ პირთა დაჯარიმების შესახებ, ვინც ბოროტად იყენებს საპროცესო უფლებებს. ავტორის აზრით ამ დროს აუცილებელია მოხდეს გათვალისწინება იმისა, რომ აღნიშნული პასუხისმგებლობის ზომა გამოიყენება საპროცესო დელიქტის შემთხვევაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამოქალაქო სამართალწარმოების დროს. ამასთან მხარეს შეუძლია მოითხოვოს სხვადასხვა ხარჯებიც, რომელიც დაკავშირებულია მორალურ ზიანთან. ასე მაგალითად: მოსარჩელემ შეიძლება განიცადოს მორალური ზიანი თუკი მოპასუხე სხვადასხვა უფლებების ბოროტად გამოყენებით შეეცდება გააჭიანუროს სასამართლო გადაწყვეტილების მიღება. მორალური ზიანი შეიძლება მიადგეს მოპასუხეს თუკი სასამართლო დააკმაყოფილებს უსაფუძვლო სარჩელს და ვერ გამოიცნობს არაკეთილსინდისიერი მოსარჩელის მოქმედებას. სამოქალაქო საპროცესო ნორმების მიზანი უნდა იყოს დაიცვან არა მარტო მოსარჩელები ყოველგვარი დარღვევებისაგან, არამედ არ უნდა დააკმაყოფილონ დაუსაბუთებელი სარჩელები. სასამართლო იცავს პირთა უფლებებს არა მხოლოდ მაშინ, როცა ავალბენ მოპასუხეს შეასროლოს ესა თუ ის მოქმედება, არამედ როდესაც ის უარს აცხადებს დააკმაყოფილოს დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო სარჩელი და ამით ახდენს „რეაბილიტაციას“ მოპასუხის, რომლის უფლებები კითხვის ქვეშ იყო დაყენებული.²²⁴

მოცემული სანქციების გამოყენება სასამართლოს მიერ შეიძლება მოხდეს მხარის მიერ სხვადასხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების დროს, როდესაც აშკარაა, რომ მხარე მოქმედებს განზრახ სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მიზნით და ბოროტად იყენებს უფლებამოვალეობებს. ასეთ დროს მხარე შეიძლება მოიაზრებს, რომ საბოლოოდ შესაძლოა ყველაფერი გაირკვეს,

²²⁴(იხ.ციტირება) Юдин А., В., დასახელებული ნაშრომი გვ. 426.

სამაგიეროდ, მოპასუხეს დიდხანს მოუწევს პროცესებზე სიარული, გარკვეული ხარჯის გაწევა, დროის გაცდენა, სასამართლოს კი კონკრეტულ საქმეზე გაუჭირდება დროული და კანონიერი გადაწყვეტილების დადგენა და ა. შ. მოტივს მნიშვნელობა არა აქვს რით ხელმძღვანელობს არაკეთილსინდისიერი მხარე. მთავარია, რომ ის ამ გზით გარკვეულ ზიანს აყენებს, როგორც მხარეს, ისე სასამართლოს.²²⁵

სასამართლო უნდა მოუწოდებდეს მხარეებს იყვნენ კეთილსინდისიერნი, პატივი სცენ ერთმანეთის უფლება-მოვალეობებს და არ დაუშვან მათი ბოროტად გამოყენება. სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო უნდა აკეთებდეს ამ სახის განმარტებებს იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ კანონსაწინააღმდეგო გამოვლინებები. ფულადი სანქციების გამოყენება საშუალებას მისცემს მართლმსაჯულებას უფრო ეფექტიანად განახორციელოს საკუთარი მიზნები და ამოცანები. ამასთან გახდება შემაკავებელი სამართალდამრღვევის მიმართ, როგორც მატერიალური ისე მორალური თვალსაზრისით. ზემოთქმულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამკვიდრდეს შემდეგი სახის ნორმა.

სასამართლო უფლებამოსილია დააკისროს ფულადი ჯარიმა ან სასამართლო ხარჯების გადახდა პირს, რომელიც ბოროტად იყენებს საპროცესო უფლება-მოვალეობებს, შეაქვს სასამართლოში დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო სარჩელი, სისტემატიურად ეწინააღმდეგება სწრაფი და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას, მიუხედავად იმისა, ვის სასარგებლოდ იქნება გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება.

²²⁵ საყვარელიძე კ. გამოყენებული ნაშრომი, სამეცნიერო -პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“ 12(14)20; გვ 120.

დასკვნა

ნაშრომში გახილულია მხარეთა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობები და ის პრობლემები, რომლებიც თავს იჩენენ ამ უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების დროს სამოქალაქო სამართალწარმოებაში. კვლევის შედეგად, სხვადასხვა მეცნიერ-იურისტთა აზრის გათვალისწინებით ჩამოყალიბებულია ხედვები და მოსაზრებები მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით. მოცემულია რეკომენდაციები გარკვეულ ნორმებთან დაკავშირებით, რომელიც ხელს შეუწყობს საპროცესო უფლება-მოვალეობების სწორად და მიზნობრივად გამოყენებას სამოქალაქო მართლმსაჯულებაში.

კვლევის საგანთან დაკავშირებით, ნაშრომში ჩამოყალიბებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. პირველ თავში საუბარია მხარეთა და მესამე პირთა შესახებ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იძლევა მხარეების განმარტებას. კანონში საუბარია მხოლოდ „მოსარჩელესა“ და „მოპასუხეზე“. ამიტომ ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უმჯობესია კანონი მეტ განმარტებას აკეთებდეს ძირითად საპროცესო ცნებებზე. ამასთან, „საქმის მონაწილე პირები“ არ არის შესატყვისი ცნებების „პირები მონაწილე სამოქალაქო პროცესში“ ან „სამოქალაქო პროცესის მონაწილეები“, ვინაიდან პროცესში შეიძლება მონაწილეობდნენ სხვა პირებიც, რომლებიც არ არიან „საქმეში მონაწილე პირები“ (მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი და ა. შ.). მხარეთა დეფინიცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად.
მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში არიან სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის სავარაუდო სუბიექტები, რომლებიც მონაწილეობენ სასარჩელო წარმოებაში, ფლობენ საპროცესო უფლება-მოვალეობებს, აქვთ იურიდიული ინტერესი საქმის განხილვის მიმართ, ვისი სახელითაც და ვისი ინტერესითაც აღიძვრება წარმოება სასამართლოში. მათზე ვრცელდება სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალურ-სამართლებრივი ძალა და ეკისრებად სასამართლო ხარჯები.
2. პროცესში გარდა მხარეებისა, საკუთარი ინიციატივით შეიძლება შემოვიდნენ მესამე პირები საკუთარი იურიდიული ინტერესის დასაცავად, ეს ინტერესი განსხვავებულია ერთ-ერთი, ან შესაძლოა ორივე მხარის ინტერესისაგან. მესამე პირები პროცესში სარგებლობენ თითქმის იგივე საპროცესო უფლებებით და მათ ეკისრებათ იგივე

მოვალეობები, როგორც მხარეებს. სსსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება საქმეში ჩაებას მთავარ სხდომაზე მხარეთა მიერ პაექრობის დაწყებამდე, რაც ყოველთვის დაკავშირებული იქნება სხდომის გადადებასთან პროცესში ახალი მტკიცებულებების წარმოდგენის გამო. შესაძლოა პირს ეს მიზანი იმთავითვე ამოძრავებდეს როდესაც იცის, რომ შეუძლია არ იჩქაროს და მოგვიანებით განაცხადოს თავის უფლება დავის საგანზე. ამიტომ უმჯობესია დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის შესვლა პროცესში საქმის მომზადების სტადიაზე მოხდეს. სხვა შემთხვევაში პირს უფლება აქვს პროცესის დამთავრების შემდეგ აღძრას სარჩელი თავდაპირველი მხარეების ან ერთერთი მხარის მიმართ საერთო წესის საფუძველზე.

3. სამოქალაქო საპროცესო კანონში მკაფიოდ უნდა იყოს მოცემული თითოეული საპროცესო სუბიექტის უფლება-მოვალეობები, რადგან ბუნდოვანებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ამ უფლება-მოვალეობების სწორად განხორციელებისთვის. მესამე პირები, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე, არ უნდა იყვნენ მოკლებული სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებას იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილება მათ კანონიერ ინტერესებს შეეხო. ამ კუთხით, როგორც ნაშრომშია განხილული, კანონმდებლობაში არსებობს ბუნდოვანება მათი უფლება-მოვალეობების მიმართ. ამრიგად, უმჯობესი იქნებოდა სსსკ-ის 364-ე და 391-ე მუხლებიდან ამოღებული ყოფილიყო სიტყვები: „დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით“ და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ საქმის განხილვაში და სასამართლო გადაწყვეტილება შეეხო მათ კანონიერ ინტერესებს, შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

4. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ საქმის განხილვაში და სასამართლო გადაწყვეტილება შეეხო მათ კანონიერ ინტერესებს, შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.
5. მეორე თავში მოცემულია სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობები, მათი სახეები. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა წარმოადგენს უფლება-მოვალეობათა აუარებელ სისტემას. უფლება-მოვალეობები განთავსებულია სხვადასხვა მუხლში და ქმნიან ერთიან კომპლექსს, რომლითაც აღჭურვილი არიან პროცესის მონაწილეები. ნაშრომში მოცემულია მხარეთა საპროცესო უფლებების დაყოფა მათი მიზნებისა და ამოცანების

მიხედვით. მხარეთა საპროცესო უფლებები ეყრდნობიან სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპებს, რომლებიც წარმოადგენს მხარეთა საპროცესო უფლების განხორციელების საფუძველს სამოქალაქო პროცესში. პროცესის მონაწილეთა უფლებები არ არის ერთგვაროვანი და გაკეთებულია მათი კლასიფიკაცია. წარმოდგენილი მეცნიერ-პროცესუალისტების აზრის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებულია განმარტება მხარეთა საპროცესო უფლებების შესახებ. მხარის სამოქალაქო საპროცესო უფლება არის სამოქალაქო საპროცესო ნორმებით გამყარებული, უფლებამოსილი პირის მიერ მოქმედების განხორციელების საშუალება, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია სხვა პირთა მხრიდან საპროცესო მოვალეობებით.

6. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში უნდა შევიდეს სათანადო საკანონმდებლო ცვლილება და აუდიო-ვიდეო ჩანაწერები აისახოს დამოუკიდებლად სხვა მტკიცებულებებისაგან. მხარეთა საპროცესო უფლებას წარადგინონ მტკიცებულებები თანასწორუფლებიანობის ფარგლებში და მიიღონ მონაწილეობა ამ მტკიცებულებების გამოკვლევაში გამიზნულია, იმისათვის, რომ მხარემ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით მიაღწიოს მისთვის სასურველ შედეგს. სხვაგვარად ჩვენ ვერ შევძლებთ ვუზრუნველვყოთ აუდიო-ვიდეო ჩანაწერების მოპოვება და წარდგენა სასამართლოში კანონის დაცვით. ანუ ამ მტკიცებულებების ვარგისიანობისთვის აუცილებელია მთელი რიგი ნორმების შემოღება. აუდიო-ვიდეო ჩანაწერების გამოყენებამ არ უნდა შელახოს პირთა კონსტიტუციით და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დაცული უფლებები.
7. მტკიცების მოვალეობა საპროცესო სამართალში, არის სათანადო ქცევის წესი, რომლის შესრულება, დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია შესაბამისი სანქციით. როდესაც მხარე უარს აცხადებს გადასცეს სასამართლოს მის ხელთ არსებული მტკიცებულება, საქმე გვაქვს მხარის და სასამართლოს უპატივცემულობასთან. სანქცია ამგვარი ქმედების აღსაკვეთად უნდა იყოს გაცილებით მკაცრი. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება ამ შემთხვევაში სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალოს ფაქტი, რომლის დადასტურებასაც აპირებდა მეორე მხარე ამ მტკიცებულებით. შესაბამისად სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილში უნდა შევიდეს შესწორება და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის ამღებელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც

ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ეს ფაქტი დადასტურებულად ჩათვალოს.“

8. ცვლილება უნდა შეეხოს 157-ე მუხლსაც, ვინაიდან იმავე პრობლემასთან გვაქვს საქმე და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „თუ ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის ამღებელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ეს ფაქტი დადასტურებულად ჩათვალოს.“

9. სამოქალაქო საპროცესო მოვალეობების განსაზღვრების დროს უნდა გამოვიდეთ იმ აუცილებლობიდან, რომ საპროცესო ნორმები დადგენილია და უზრუნველყოფილია შესასრულებლად სახელმწიფოს მიერ. ეს არ ნიშნავს, რომ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფო პირს აიძულებს შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. სანქცია ამ დროს არის ის, რომ მაგ: სასამართლო არ დააკმაყოფილებს მხარის შუამდგომლობას მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე თუ მხარე არ მიუთითებს, ვინაიდან ვალდებულია მიუთითოს, რის დამტკიცებას აპირებს ის ამ მტკიცებულებით. ანუ ამას მოჰყვება მისთვის არახელსაყრელი შედეგი, რაც აისახება სასამართლო გადაწყვეტილებაზე და ამ საქმის ბედზე.

მხარის სამოქალაქო საპროცესო მოვალეობა არის კანონით გათვალისწინებული და სახელმწიფოსაგან დაცული სავალდებულო ქცევის წესი, რომლის შესრულება შედის უფლებამოსილი პირის ინტერესებში და რომლის შეუსრულებლობა იწვევს კანონით გათვალისწინებულ სანქციებს.

10. სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის მონაწილეები ვალდებული არიან კათილსინდისიერად გამოიყენონ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებები. სასამართლოს მიერ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღკვეთილი მხარეთა მიერ უფლება-მოვალეობების გამოყენება სამართალწარმოების შეფერხების და გაჭიანურების მიზნით. კეთილსინდისიერების პრინციპი უნდა იყოს სახელმძღვანელო პრინციპი მხარეთათვის, რას მოითხოვს ჩვენგან საპროცესო კანონი, რისი გაკეთება შეიძლება და რისგან უნდა შევიკავოთ თავი. მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველ ნაწილს, სადაც საუბარია მხარეთა საპროცესო უფლებებზე, ბოლო წინადადებას დაემატოს შემდეგი სიტყვები:

მხარეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად გამოიყენონ მათთვის სამოქალაქო საპროცესო კანონით მინიჭებული ყველა უფლება და პატივი სცენ სხვა პირთა უფლებებსა და მოვალეობებს.

11. სამოქალაქო სამართალწარმოების მიზანია კანონიერებისა და სამართლებრივი წესრიგის განმტკიცება, რომელიც უპირობოდ მოითხოვს საპროცესო სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას, სასამართლოსა და კანონისადმი პატივისცემით დამოკიდებულებას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა გაირკვეს რას ნიშნავს საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენება და დაისახოს გზები მისი თავიდან აცილების მიმართ. ნებისმიერი საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენებისათვის დამახასიათებელია საერთო საწყისები, რაც მხარის არაკეთილსინდისიერ მოქმედებასთან არის დაკავშირებული, იმისათვის, რომ არ მოხდეს კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე დროული და სამართლიანი გადაწყვეტილების დადგომა. ეს განსაზღვრება შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა ასახავდეს საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენების რაობას, არ უნდა იყოს გაურკვეველი, რომ არ მოხდეს დაუსაბუთებლად პირის საპროცესო პასუხისგება კეთილსინდისიერი მოქმედებების დროს.
- მოყვანილი მსჯელობებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას შემდეგი: სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობის ბოროტად გამოყენება არის სამოქალაქო პროცესში მონაწილე პირის მიერ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების განზრახ არაკეთილსინდისიერი განხორციელება, რომელიც ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებსა და ამოცანებს.**
12. სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მთავარ სხდომაზე მოსარჩელეს მიერ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შემცირება დასაშვებია, ვინაიდან ეს არ ითვლება სარჩელის შეცვლად. თუკი მთავარ სხდომაზე მოსარჩელე არ ცვლის სარჩელის საფუძველს და საგანს, მას უნდა შეეძლოს სასარჩელო მოთხოვნის არა მარტო შემცირება, არამედ გადიდება მოპასუხის თანხმობის გარეშე. შესაბამისად სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილს დაემატოს სიტყვა „გადიდება“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება ან გადიდება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.**
13. პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებისათვის, როგორც წესი, აუცილებელია სამართალდამრღვევის ბრალი. სასამართლო პროცესზე პასუხისმგებლობის დადგომა არაბრალეული ქმედებისათვის დაუშვებელია. ბრალის არსებობისათვის აუცილებელია სუბიექტი აცნობიერებდეს, რომ თავისი მოქმედებები არღვევს საპროცესო ნორმების მოთხოვნებს. არაბრალეული მოქმედება, რომლითაც თუნდაც ფორმალურად დაირღვა საპროცესო

ნორმების მოთხოვნა არ შეიძლება შეფასდეს როგორც სამართალდარღვევა. მაშასადამე შეიძლება ზემოთქმულიდან დავასკვნათ: სამოქალაქო საპროცესო სამართალდარღვევა არის სამოქალაქო პროცესის მონაწილის ბრალეული მოქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სამოქალაქო სამართალწარმოებას და რომლისთვისაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება.

14. დღეის მდგომარეობით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, გარდა დაცვითი ფუნქციებისა, რომელიც შინაარსობრივად ხელს უშლის და ეწინააღმდეგება საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენებას, არ არსებობს პასუხისმგებლობის ზომები, რომელიც უშუალოდ კონკრეტული საპროცესო უფლება-მოვალეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში იქნება მხარისათვის დაკისრებული. სამოქალაქო პროცესში შემოღებული უნდა იქნეს ნორმა, რომელიც მოაწესრიგებს ამ სახის ურთიერთობებს და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს მას კონკრეტული სამართალდამრღვევის მიმართ.

სასამართლო უფლებამოსილია დააკისროს ფულადი ჯარიმა ან სასამართლო ხარჯების გადახდა პირს, რომელიც ბოროტად იყენებს საპროცესო უფლება-მოვალეობებს. შეაქვს სასამართლოში დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო სარჩელი, სისტემატიურად ეწინააღმდეგება სწრაფი და სამართლიანი გადაწყვეტილებების გამოტანას, მიუხედავად იმისა, ვის სასარგებლოდ იქნება გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია. 2020 წლის 29 ივნისის მდგომარეობით.
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 2020 წლის 29 აგვისტოს მდგომარეობით.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 2020 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით.
4. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. მიღებული 1948 წლის 10 დეკემბერს.
5. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. მიღებული 1950 წლის 4 ნოემბერს.

ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა

1. ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, გამომცემლობა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2012.
2. ბიჭია მ., სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის არსის გაგებისთვის, გ. ნაჭყებია⁷⁵, საიუბილეო გამოცემა, დ. ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2016.
3. გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., ჯინორია ხ., გელაშვილი რ. ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი., 2010 წ.
4. ვარდიამშვილი ს., დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირები სამოქალაქო პროცესში, ჟურნალი „სამართალი“, #7-9, 2004. 32-36 გვ.
5. ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1997. გვ. 158-159, 168.

6. კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, სამოქალაქო პროცესის სუბიექტები, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბილისი,
7. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.
8. კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, „საქართველოს მაცნე“, 2003.
9. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი, 2014. გვ. 134, 176-177.
10. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი, 2007 წ. გვ. 620, 674, 142, 168, 171, 172, 166.
11. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა. გამომცემლობა „ჯისიაი“, 2001წ.
12. ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, გამომცემლობა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2010. გვ. 355, 353.
13. ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2009.
14. სავანელი ბ., თანამედროვე სამართლის თეორია, მესამე გამოცემა, თბილისი, 2004.
15. საყვარელიძე კ. მხარეთა საპროცესო უფლება-მოვალეობები მტკიცებულებათა წარდგენის დროს სამოქალაქო სამართალწარმოებაში. მართლმსაჯულება და კანონი # 1(49)
16. საყვარელიძე კ. აუდიო-ვიდეო ჩანაწერების გამოყენების პრობლემა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში „მართლმსაჯულება და კანონი“ #2/3 15
17. საქართველოს კანონები. ადამიანის უფლებათა შესახებ. საერთაშორისო აქტები და კონვენციები. გამომცემლობა „მერედიანი“, 2000წ.
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილებანი, კრებული (სუსგ), 2003 # 11.
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილებანი, კრებული (სუსგ), 2002, წ. #7.
20. საყვარელიძე კ. სარჩელის შეცვლის პრობლემა სამოქალაქო სამართალწარმოებაში. „მართლმსაჯულება და კანონი“ #2/16

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, კრებული (სუსგ), 2005, წ. სამოქალაქო პროცესი.
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, კრებული (სუსგ), 2003 # 11.
23. სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. გამომცემლობა „მერედიანი“ თბილისი, 2016. გვ.10, 12,11, 15-16, 14-15.
24. საყვარელიძე კ. მხარეთა პასუხისმგებლობა უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენებისას სამოქალაქო პროცესში“. სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“, 12(14)20. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2020 წ. გვ.117, 120.
25. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერედიანი“,თბილისი, 2012. გვ. 244, 282.
26. ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა „მერედიანი“,თბილისი, 2006. გვ.8, 74.
27. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, მეორე გამოცემა (შევსებული და გადამუშავებული), გამომცემლობა „მერედიანი“თბილისი, 2015. გვ. 130, 175,180, 186, 98, 123, 142-143.
28. ხოფერია ნ., დისერტაცია იურიდ. მეცნ. კანდ. მოსაპოვებლად, „მეჯიბრებიტობის პრინციპი სამოქალაქო პროცესში. შედარებით სამართლებრივი კვლევა.“ თბილისი, 1999. გვ.9, 27.
29. ხარაზი ი., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, (მესამე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა), გამომცემლობა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2014.
30. ხარიტონაშვილი ნ., მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში, სამართალი და მსოფლიო, #4, 2016. გვ.136, 139, 140.
31. ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016, გვ.11, 90, 12, 14.
32. ძლიერიშვილი ზ., უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის ძირითადი პრობლემები, დისერტაცია იურ., მეცნ., კანდ., ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 1999. გვ. 55, 92.

სასამართლო გადაწყვეტილებანი
(ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში)

1. ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 27.01.2021წ. განჩინება საქმეზე # 2-168/21.
2. ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 21.01.2021 წლის განჩინება საქმეზე #2-6-21.
3. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 18. 02.2020 წ.გადაწყვეტილება საქმეზე #ა-234-გან-3-2020.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 24.02. 2020 წ. განჩინება საქმეზე #ას-1284-2019.
5. ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლო. სამოქალაქო საქმეთა პალატის 26. 03. 2019. განჩინება საქმეზე #2ბ/866-19.
6. ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლო. სამოქალაქო საქმეთა პალატის 25.04.2019, განჩინება საქმეზე #2ბ/7411-18.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 25.07.19. გადაწყვეტილება საქმეზე #ას-951-2019.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 03.05.2019 განჩინება საქმეზე # ას-496-2019..
9. ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 11.10.2019.
10. გადაწყვეტილება საქმეზე #2-2240-18.
- 11.ქ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 22.02.18. გადაწყვეტილება საქმეზე # 2/1768-17
12. ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 12.02.2018 განჩინება საქმეზე # 2ბ/6293-17
13. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 03.04. 20018 გადაწყვეტილება საქმეზე # 3/6368-16
14. ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.12.2018 გადაწყვეტილება საქმეზე #2-2596-18.
- 15.ქ.ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.12.2018 გადაწყვეტილება საქმეზე#(2/176-17)
- 16.ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.09.2017 წ. გადაწყვეტილება საქმეზე # 2-1877-16.
- 17.ქ.რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 13.10.17. გადაწყვეტილება საქმეზე # 2-1606-17.
- 18.თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.02.2016 განჩინება საქმეზე #2ბ/4134-15.

19. ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 08.11.2017. გადაწყვეტილება საქმეზე # 2ზ/2867-17.
20. ქ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განჩინება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 02.12. 2016 განჩინება საქმეზე # 2/1372-16.
21. ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.12.2016 განჩინება საქმეზე # 2-1821-16
22. ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.07.2014 გადაწყვეტილება საქმეზე #2ზ/2719-14.
23. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 7.10. 2014. გადაწყვეტილება საქმეზე #2ზ/6800-13.
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 21.07.2011წ. გადაწყვეტილება საქმეზე #ას-1086-115-2011
უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ივნისის განჩინება საქმეზე #ას-1154-1416-09.
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 26. 12. 2008 წ. გადაწყვეტილება საქმეზე .#ას-474-822-07.
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 28.05.2007წ. გადაწყვეტილება საქმეზე # 323-676-07
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 02.06. 2005 წ. გადაწყვეტილება საქმეზე #ას-519-841-05.
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 16.04. 2003 წ. გადაწყვეტილება საქმეზე # 3პ/-502-03.

უცხოენოვანი ნორმატიული მასალა

1. ZPO, Zivilprozessordnung, 62. Auflage, Beck-texte im dtv. 2020.
2. Гражданский Процессуальный Кодекс Франции. Перевод с Французского Языка Захватиев В. Н. Количество Страниц 960. Изд-Алерта, Киев, 2018.

უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა

1. Афансьев С. Ф. Зайцев, А. И. Гражданский Процесс, Изд. Юрайт М., 2017, გვ. 248, 111.
2. Алексеев С. С. Общая Теория Права Т. 2. М., изд-„Госюриздат“1982.
3. Алексеев С. С. Философия Права, Изд-Норма, М., 1997.
4. Алексеев С. С. Теория Права, изд-БЕК, М 1994.
5. Алексеев С. С. Общие Дозволения и Запреты в Советском Праве, изд-во Юрид Литература, М. 1984.
6. Ануфриев А. Ю. Теоретические и Практические Аспекты Реализации Гражданской Процессуальной Ответственности, изд-СГУ, Саратов, 2014.
7. Arens/Huke. Zivilprozeßrecht. Erkenntnisverf. Ahren. Zwangsvollstreckung. Munchen, 1992.
8. Астемиров З. А. Понятие Юридической Ответственности, Изд-во Советское Государства и Право, М.1979, №6, გვ 65, 70.
9. Бабилин Е. Б. Недарустимость Ненадлежащего Осуществления Субъективных Гражданских Прав, изд Тольяттского ун-та, 2004.
10. Байтин М. И. Сушность Права, изд-Сгар, Саратов, 2001.
11. Baumgartel G. Treu und Glauben im Zivilprozeß. ZZP. 1973.
12. Bomsdorf. Prozessmaximen und Rechtswirklichkeit, Verhandlungs-und Untersuchungsmaxime im deutschem Recht bis zur ZPO, Berlin, 1971.
13. Бутнев В., В., Сушность и Порядок Реализации Гражданской Процессуальной Ответственности, Изд-во Ярославского Ун-та, Ярославль, 1989.
14. Бутнев В. В. Гражданская Процессуальная Ответственностью, изд-во Ярославского Ун-та, Ярославль, 1999.
15. Братусь С. Н. Юридическая Ответственность и Сознание Долга, Вопросы Теории Государства и Права, Изд-во Саратовского Ун-та Саратов, 1983.
16. Васильковский Е. В. Курс Гражданского Процесса, Т. I, изд-Бр. Башмаковых, М., 1913, გვ. 573, 217, 676, 679, 680, 681,

17. Викут М. А. Стороны-Основные Лица Искового Производства, Изд. Саратовского ун-та, 1968.
18. Викут М. А. Проблема Правового Регулирования Процессуального Положения и Деятельности Сторон в Советском Гражданском Судопроизводстве, Свердловск, 1971.
19. Гукасиан П. Е. Проблема в Советском Гражданском Судопроизводстве, приволожское книжное изд-во, саратов. 1970.
20. Гурвич М. А. Гражданские Процессуальные Проватнашения и Процессуальные действия, изд-РИО ВЮЗИ, Т., III., М., 1965.
21. Грыбанов В. П. Осуществление и Защита Гражданских Прав, изд-2, изд- Статус, М. 2000.
22. Goldschmidt. Prozess als Pechtslage. Berlin, 1925.
23. Гедда А. Н. Недабрасовестность Сторон в Гражданском Процессе, Журнал Министерства Юстиции, 1910. № 1.
24. Girke. Zusammenstellung der Gutachlichen Ausserungen Zudem Entwurf des BGB.-bd. 1925.
25. Гримм Д. Д. Лекции по Догме Римского Права, Пособие для Слушателей, изд-во Зерцало, М., 1910.
26. Джалилов Д. Р. Лица Учавствующие в Гражданских Делах Искового Производства, изд-Ирфон, Душанбе, 1965.
27. Елеискин П. Ф. Гражданские Процессуальные Правоотношения, Учебное пособие, изд-ЯГУ, Ярославль, 1975.
28. Емельянов В. И. Запрет Злоупотребления Гражданскими Правами, Журнал- Законность, № 10, М., 1999.
29. Ермаков А. Н. Мери Защиты в Арбитражном Процессуальном праве, Изд-во Соротовского Ун-та, Саратов, 2002 § 20, 14-15.
30. Жуиков В. М. Судевная Защита Прав Граждан и Юридических Лиц, Изд. Городец, М., 1997.
31. Жильцова Н. А. Голиченко М. М. Гражданская Процессуальная Ответственность, Журнал-Понятие и Основания , М., 2008, № 8.
32. Заицев И. М. Надо ли Суду Заменять Ненадлежащую Сторону, Изд. Роосийская Юстиция, №8, М., 1999.
33. Заицев И. М. Самсонов В. В. Равноправие Сторон; Льготы и Привилегии, "Вестник Саратовской Академии Права" №1, 1999.
34. Заицев И, М, Процесуальные Функции Гражданского Судапраизводства. Изд-СГУ, Саратов, 1990.
35. Заицев А. И. Кузнецов Н. В. Савельева Т. А. Негосударствинные Процедуры Урегулирования Правовых Споров, Учебное пособие, изд-во Саратовского ун-та, Саратов. 2000.
36. Zeiss W. Die arglistige Prozesspartei. Berlin, 1967. §. 188, 90.
37. Краснова С. А. Определение Понятия „Добросовестность“ в Российском Гражданском Праве, Журнал Российского Права, № 3, М., 2003,.
38. Каллистратова А.Р. Участники Процесса по Новому Законодательству АПК и ГПК, изд-Норма, М., 2002.
39. Klein. Zeit-und Geistesstromungen im Prozesse, Dresden, 1901 §. 36, 40.

40. Leipold. Verfahrensbeschleunigung und Prozeßmaximen. Festschrift für W. Fasching, Wien, 1988.
41. Лейст О. Э. Понятие Ответственности в Теории Права. Вестник МГУ. Серия 11. Право 1994. № 1.
42. Лукьянова Е. Г. Теория Процессуального Права, Изд-Норма М., 2003.
43. Малышев К. И. Курс Гражданского Судопроизводства, Т. I, Изд-СПБ. ун-та, с.-Петербург, 1876.
44. Мельников А. А. Субъективные Процессуальные Права Старон в Гражданском Процессе, Журнал-“Советское Государства и Права“ №3, М., 1972.
45. Мурадьян Е. М. Судебное Право, изд-“Проспект“ М., 2003.
46. Малько А. В. Стимулы и Ограничения в Праве, М. Изд. LAMBERT, 2012.
47. Матузов Н. И. Малко А. В. Тоерия Государства и Права, М. ИЗД. ЮРИСТ, 2001.
48. Мелников А. А. Теоретические Основы Пправасудия по Гражданским Делама, изд-Наука М., 1981.
49. Матузов Н. И. Малко А. В. Теория Государства и Права, изд-Юрист, М., 1983.
50. Малеин Н. С. Правонарушение: Понятие, Причины, Ответственность. Изд-во Юрид. Лит. М., 1985.
51. Осокина Г.Л. Право на Судебную Защиту в Исковом Судопроизводстве, изд-ТГУ, Томск, 1990.
52. Pohle R. Zum lehre vom rechtsschutzbedurfnis. Berlin, 1957.
53. Попова И. Ю. О Квалификации Злоупотребления Процессуальными Правами, Журнал Право и политика, М, № 5 (149), 2012.
54. Приходко А. И. Воспрепятствование Разрешению Дел в Арбитражном Суде, Изд-во Волтерс Клувер. М., 2006.
55. Резниченко И. М. Основные Проблемы Психологии Гражданского Процесса, Учебное Пособие, изд-ДВГУ. Владивосток, 1978.
56. Резниченко И. М. Психологические Аспекты Искового Производства, изд-во Далневост. ун-та, Владивосток, 1989.
57. Rossenberg/Schwab. Zivilprozeßrecht.. 15 Aufl. Munchen, 1993.
58. Siebert. Vam. Wesen des rechtsmissbrauchs-berlin, 1935.
59. Самошенко И. С. Фарукшин, М. Х. Сушность Юридической Отвественности в Советском Обшестве, Изд-Юрид. Лит. М. 1974.
60. Смирнов В. Г. Функции Советского Уголовного Права, Изд-во Ленинградс. Гос- Университет. Ленинград, 1965.
61. Треушников М. К. Судебные Доказательства, изд-Городец, М, 1999.
62. Цихоцкий А. В. Теоретические Проблемы Эффективности Провосудия по Гражданским Делама, изд-во наука, Новосибирск, 1997.
63. Ченцов Н. В. Проблемы Защиты Государственных Интиресов в Гражданском Судопроизводстве, изд. Томского ун-та, 1989.
64. Чечина Н. А. Гражданские Процессуальные Отнашения, изд-во Ленинградского Университета, 1961.

65. ЧеЧина Н. А. Категория Ответственности в Советском Гражданском Процессуальном Праве, Вестник Ленинградского Университета, 1982, №17.
66. Шакариан М. С. Субьекты Советского Гражданского Процессуального Права, изд-РИО. ВЮЗИ. М. 1970, 83. 137.
67. Шегелов В. Н. Субьекты Судебного Гражданского Процесса, изд-ТГУ, Томск, 1979,
68. Шакарян М. С. Учение о Сторонах в Советском Гражданском Процессе, изд-РИО ВЮЗИ, М., 1983.
69. Шебанова Н. А. Злоупатревление Процессуальными Правами, Арбитражная Практика, 2002, №5(14).
70. Штефан М. И. Гражданская Процессуальная Ответственность, Из-во Киевского Ун-Та, Киев, 1988.
71. Юков М. К. Гражданское Процессуальное Право, Структура и Применение, Научные Труды, Свердловск, 1976.
72. Юделсон К. С. Промлема Доказывания в Советском Гражданском Процессе, Изд-Юрид. Литература. М. 1951.
73. Юдин А. В. Злоупатребление Процессуальными Правами в Гражданском Судопроизводстве, Издательский дом С.- Петербург. 2005.
74. Яблочков Т. М. Учебник Русского Гражданского Судопроизводства, Издание Второе Дополнение, изд-во вестник гражданского права, Ярославль, 1912.
75. Hellwig K. Klagrecht und Klagmoghlichkeit, Leipzig, Neudruck, Aelen. 1968.
76. Windscheit. Lehrbuch des Pandektenrechts.-7Aufl-Bd. I-fr. Am. M. 1891-87.
77. Wieacker. Privatrechtsge schichte der Neuzeit: under besonderer berucksichtigung der deutschen Entwicklung-Aufl-Gottingen, 1967.

გამოყენებული ინტერნეტ მასალა

1. <Base. Garant.ru.> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 24.04.19.]
2. <Meget.kiev.ua/kodeks/gpk/> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 24.04.19]
3. < Online.zakon.kz/document> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 24.04.16.]
4. < Felldbrugge v. Netherlands, 29.05. 1986, & 44, Series A N 99> [უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 25.05.2020].
5. <Dombo beheer B.V. v. Netherlands, 27.10. 1993, & 33, Series A N 274> [უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 25.05.2020].
6. Yvon v. France, N 44962/98, § 37, ECHR 2003-V;
7. De Haes and Gijssels v. Belgium, 24.02 1997, § 54 და 58, Reports of Judgments and Decisions 1997-I;
8. Юдин А., В., Злоупотребление Процессуальными Правами в Гражданском Судопроизводстве, Дисерт. на Соискание Докт. Юрид. Наук, Санкт-Петербург, 2009, გვ. 144-145.<dissertCat-Электронная библиотека диссертаций>[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.01.21].
9. Евстифеева Т. И. Гражданские Процессуальные Правоотношения, Автореф. Дисс. Канд. Юрид. Наук. Саратов, 2001, გვ. 15 <dissertCat-Электронная библиотека диссертаций> [უკანასკნელად შემოწმებულია 07.08.19.]
10. Бабаков Б. А. Гражданская Процессуальная Обязанность, Автореф. Дисс. Канд. Юрид. Наук., Саратов, 1999, გვ. 22 < dslib.net/ библиотека диссертаций >[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07.08.19.]
11. Михайлова Е. В. Правовой Статус Сторон в Гражданском Процессе РФ., Автореферат. Дисс. Канд. Юрид. Наук., Самара, 2004, გვ. 25 <dissertCat-Электронная библиотека диссертаций>[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07.07.19.]
12. Вукот М. А. Комментарий к Гражданскому Процессуальному Кодексу Российской Федерации, “изд-Юрайт“ М., 2012, გვ.103. <Base. Garant.ru 57796508> {უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.03.19.}
13. <https://openjur.de/u/2135449.>[{უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.03.20.}
14. Белоножкин А. Ю. Содержаные и Формы Злоупотребления Субъективным Гражданским Правом. Авторефер. Канд. Юрид. Наук. Волгоград, 2005 გვ. 5- 6 <dissertCat-Электронная Библиотека диссертаций> {უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.03.19.}

15. Малиновский А. А. Злоупотребление Субъективным Правом как Юридический Феномен. Автореферат дис. Докт. Юрид. Наук, М., 2008, გვ. 16. <disserCat-Электронная библиотека диссертаций> [უკანაკნელად იქნა გადამოწმებული 25.09.2019]
17. <Thuringer oberlandersgerichts vom 04.04.2017 6w104/17. /.> [უკანაკნელად იქნა გადამოწმებული 25.09.2020]
18. <https://Openjur.de//u/865319.> [უკანაკნელად იქნა გადამოწმებული 25.09.2020]
19. < Beschluss des III Zivilsenats vom 26.11.2020-III Za 7/20.> [უკანაკნელად იქნა გადამოწმებული 25.09.2020]
20. Пилехина Е. В. Мировое Соглашение в Практике Арбитражного Суда Общей Юрисдикции, Автореф., Дисс., на Соискания Канд., Юрид., Наук, 2001. გვ. 10. <twirpx.com/file/973060> [უკანაკნელად იქნა გადამოწმებული 25.09.2019]
21. Грель Я. В. Злоупотребление Сторон Процессуальными Правами в Гражданском и Арбитражном Процессе, Диссерт.Канд. Юрид. Наук. Новосибирск, 2006, გვ 68. <disserCat-Электронная библиотека диссертаций> [უკანაკნელად იქნა გადამოწმებული 25.09.2019]
22. Юдин А. В. Злоупотребление Процессуальными Правами в Гражданском Судопроизводстве, Диссерт. На Соискание Докт. Юрид. Наук, Санкт-петербург, 2009, გვ.220 <dslib.net-Библиотека Диссертаций> [უკანაკნელად იქნა გადამოწმებული 25.08.2020.]
23. <Zakon.rada.gov.ua/lows/show/994_126#Text.> [უკანაკნელად გადამოწმებული იქნა 07.08.2020.]
24. Нохрин Д. Г. Госурдарственное Принуждения в Гражданском Судопроизводстве, Авторефер. Дис. Канд. Юрид. Наук, М., 2007, გვ. 6-7. <disserCat-Электронная Библиота Диссертаций> [უკანაკნელად იქნა შემოწმებული 16.05.2020]
25. <<https://Openjur.de//u/614420> > [უკანაკნელად იქნა გადამოწმებული 25.09.2020]